

დანართი 8ა

გენდერის შეფასება

კლიმატის მწვანე ფონდისთვის (GCF) წარდგენილი

პროექტისთვის

“საქართველოში სატყეო სექტორის რეფორმის განხორციელების ხელშეწყობა ტყის დეგრადაციით გამოწვეული სათბურის აირების ემისიების შემცირებისთვის”

შედგენილია

ნანა სუმბაძის მიერ, 2019წ.

განახლება: განახლდა 2021 წლის მაისში UNIQUE forestry and land use GmbH-ის მიერ, კომპონენტ 3-ის აქტივობებისა და ქვეაქტივობების დეტალური დაგეგმვის ასახვად.

სარჩევი

შემოკლებები	3
ცხრილების ჩამონათვალი	4
1. შესავალი.....	5
2. GCF და GIZ გაიდლაინები გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის.....	6
3. გენდერის შეფასების მეთოდოლოგია	8
3.1 მეთოდოლოგიის მიმოხილვა	8
3.2 ცვლილება მეთოდოლოგიაში	10
4. გენდერული თანასწორობა: საქართველო საერთაშორისო ინდექსებისა და ეროვნული ჩარჩო პირობების მიხედვით	13
5. გენდერული თანასწორობა საჯარო სივრცეში; წარმომადგენლობა და მონაწილეობა.....	15
6. გენდერული თანასწორობა პირად სივრცეში: გადაწყვეტილებების მიღება და დროის სიმცირე	27
7. ადამიანური კაპიტალი.....	31
8. Covid-19-ის გავლენა ქალებსა და გოგონებზე საქართველოში.....	39
9. ტყისა და საწვავის მოხმარების გენდერულად სპეციფიკური მახასიათებლები .	42
10. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პერსონალის გენდერული შემადგენლობა	51
11. სატყეო განათლებასთან და ტყესთან დაკავშირებულ ღირებულებით ჯაჭვებთან დაკავშირებული გენდერული მოსაზრებები	54
12. ზოგადი დასკვნები და მითითებები პროექტისთვის	56
13. გამოყენებული წყაროები:	67
დანართი 1: სამართლებრივი დებულებები და გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ინსტიტუციური მექანიზმები საქართველოში	71
დანართი 2: კონსულტირებული ჯგუფებისა და ცალკეული პირების ჩამონათვალი	73

შემოკლებები

AF	ალტერნატიული საწვავი
APA	დაცული ტერიტორიების სააგენტო
CBO	სათემო ორგანიზაცია
CEDEW	ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი
CENN	კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი
DES	გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
ENPARD	სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა
ECF	ეკო-დერეფნის ფონდი
EE	ენერგოეფექტური
EU	ევროკავშირი
GA	გენდერის შეფასება
GAP	სამოქმედო გეგმა გენდერულ საკითხებზე
GCF	კლიმატის მწვანე ფონდი
GII	გენდერული უთანასწორობის ინდექსი
GNTA	საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
IDP	იძულებით გადაადგილებული პირები
LEPL	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
MoEPA	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MDG	ათასწლეულის განვითარების მიზნები
MP	პარლამენტის წევრი
NDI	ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტი
NFA	ეროვნული სატყეო სააგენტო
NGO	არასამთავრობო ორგანიზაცია

NTFP	ტყის არამერქნული პროდუქტი
RDA	სოფლის განვითარების სააგენტო
SDC	შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო
SDG	მდგრადი განვითარების მიზნები
SFM	ტყის მდგრადი მართვა
SOP	სტანდარტული საოპერაციო პროცედურები
STEM	საბუნებისმეტყველო, ტექნოლოგიური, საინჟინრო და მათემატიკური მეცნიერებები
UNDP	გაეროს განვითარების პროგრამა
UNFPA	გაეროს მოსახლეობის ფონდი
TVET	ტექნიკური პროფესიული განათლება და ტრენინგი
WB	მსოფლიო ბანკი
WWF	ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი

ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი 1	მე-3 კომპონენტის შემუშავებისთვის ინფორმაციის შესაგროვებლად 2021 წლის იანვარში ჩატარებული ადგილობრივი კონსულტაციები
ცხრილი 2	სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრების რაოდენობა
ცხრილი 3	რეგიონებისა და გენდერის მიხედვით მოსახლეობის დაყოფა და ოჯახის წევრთა საშუალო რაოდენობა
ცხრილი 4	სიღარიბის მაჩვენებელი რეგიონების მიხედვით (2.5 USD დღეში)
ცხრილი 5	ადამიანები ოფიციალურად აღიარებული შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსით სქესისა და რეგიონის მიხედვით
ცხრილი 6	ოჯახური ძალადობის ინციდენტების რიცხვი 2013-2018 წლებში რეგიონების მიხედვით
ცხრილი 7	15-17 წლის გოგონათა ქორწინების პროცენტობა რეგიონის, დასახლების არეალისა და კავშირის ტიპის მიხედვით (ყველა ქორწინება და მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინება)
ცხრილი 8	ტყის მართვაზე პასუხისმგებელი პერსონალის გენდერული განაწილება სამინისტროში

1. შესავალი

გენდერის ანალიზი და გენდერის სამოქმედო გეგმა მომზადდა კლიმატის მწვანე ფონდისთვის წარსადგენად, საპროექტო შეთავაზებით „საქართველოში სატყეო სექტორის რეფორმის გახორციელების ხელშეწყობა, ტყის დეგრადაციით გამოწვეული სათბური აირების ემისიების შემცირებისთვის“. ეს შეფასება მიზნად ისახავს საქართველოში გენდერული ვითარების მიმოხილვას, იმ გენდერული საკითხების დადგენას, რაც შესაძლოა რელევანტური იყოს პროექტივისთვის, და ასევე პოტენციურად გენდერის საკითხების ფართო მასშტაბიანი ჩართულობის შესაძლებლობების შემოწმებას.

პროექტი მიზნად ისახავს ტყის დეგრადაციით გამოწვეული ემისიების შემცირებას ტყის მდგრადი მართვის მეშვეობითა და ენერგო ეფექტური და ალტერნატიული საწვავის გამოყენების ხელშეწყობით, რათა შემცირდეს საშეშე მერქნის მოხმარება, რაც ტყეების დეგრადაციის მთავარი გამომწვევი მიზეზია. პროექტის შედეგად შემცირდება ეროვნული სათბური აირების ემისიები, რაც დაახლოებით უდრის 5.2 მილიონ ტCO₂, პროექტის 7 წლიანი განხორციელების პერიოდში. ის შედეგება სამი განსხვავებული, მაგრამ მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული კომპონენტისგან:

- კომპონენტი 1 - ტყის მდგრადი მართვა,
- კომპონენტი 2 - ენერგოეფექტურობისა (EE) და ალტერნატიული საწვავისთვის (AF) ბაზრის განვითარება
- კომპონენტი 3: შემოსავლის წყაროები და ადგილობრივი თვითმმართველობა ტყის მართვაში

ტყე საქართველოში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს: ის აფერხებს ბუნებრივი საფრთხეების წარმოქმნას, მათი არსებობა აუცილებელია წყლის რესურსების დაცვისა და სუფთა ჰაერის უზრუნველყოფისთვის, ტყე არის მთავარი წყარო საწვავი მერქნისა და სამასალე ხის მოპოვებისთვის, წარმოადგენს ადგილს ძოვებისთვის, ნადირობისა და კენკრის შეგროვებისთვის, საოჯახო მოხმარებისა თუ კომერციული მიზნებისთვის საჭირო საკვები და სამკურნალო მცენარეების მოპოვებისთვის, ხოლო ტურისტული საქმიანობის ზრდა ამაღლებს ტყეების სარეკრეაციო მნიშვნელობას.

ტყეს, გარდა უნივერსალური გრძელვადიანი ეფექტებისა, ასევე გააჩნია გენდერულად დიფერენცირებული ეფექტი. ტყის დეგრადაციის გავლენა ქალებზე უფრო მკვეთრად აისახება, ვიდრე მამაკაცებზე, ვინაიდან ქალები უფრო მეტად არიან ჩართულნი სასოფლო სამეურნეო საქმიანობაში და ძირითადად სწორედ ისინი არიან ოჯახის წევრების მოვლა-პატრონობით დაკავებულნი, შესაბამისად, მოიხმარენ უფრო მეტ წყალსა და საწვავს, ვიდრე მამაკაცები და უფრო მეტ დარტყმას იღებენ საკვების წარმოებასთან დაკავშირებული პრობლემებით (Schimall, 2015). ამასთან, სწრაფად მზარდ მასპინძლობის ბიზნესში უფრო მეტი ქალია ჩართული, ვიდრე მამაკაცი. ხშირ შემთხვევაში ქალები არიან ე.წ. გესტჰაუსებისა და მცირე სასტუმროების მფლობელები და მენეჯერები. აქედან გამომდინარე, ისინი მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებულნი ტყეების სარეკრეაციო ღირებულებაზე. მეორეს მხრივ, ხის ჭრა და დამუშავება თუ შეშის გაყიდვა შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს ბევრი იმ მამაკაცისთვის, რომელიც ტყის მახლობლად ცხოვრობს. კაცები უფრო ხშირად დადიან ტყეში და იყენებენ მას, ვიდრე ქალები. ისინი

ტყეს იყენებენ არა მხოლოდ ხეების ჭრითვის, არამედ ნადირობისთვის და მენახირობისთვის. ამავე დროს, ქალები რჩებიან საწვავი მერქნის ძირითად მომხმარებლებად, რადგან ისინი მართავენ და აკონტროლებენ სივრცისა და წყლის გათბობას და საჭმლის მომზადებას.

ეფექტური ღონისძიებები, რომელთა მიზანია ტყეების შენარჩუნება, უნდა დაეფუძნოს როგორც ქალების, ისე მამაკაცების საჭიროებების, ინტერესების და შესაძლებლობების აღიარებას ტყის გამოყენებასთან დაკავშირებით. ამრიგად, ტყის განახლების პოლიტიკის დაგეგმვამდე, აუცილებელია ქალთა და მამაკაცთა საჭიროებების აღიარება და გათვალისწინება.

ბიოლოგიური მახასიათებლებისა და როლების ტრადიციული გამოიყენების საუფძვლზე, გენდერი განსაზღვრავს განსხვავებას ქალებისა და მამაკაცების შესაძლებლობებში, პასუხისმგებლობასა და საჭიროებებში, სხვადასხვა თვალსაზრისით. აუცილებელია ამ განსხვავებების აღიარება და მათი მოგვარება. მიუხედავად იმისა, რომ გენდერული თანასწორობა გაგებულია როგორც ორივე სქესისთვის თანაბარი შესაძლებლობების ქონა, ეს უნდა დარჩეს ნებისმიერი პოლიტიკის შექმნისა თუ გადაწყვეტილებების ცენტრში.

2015 წელს, გაერომ დაამტკიცა მთელი რიგი მიზნები, სიღარიბის აღმოსაფხვრელად, პლანეტის დასაცავად და ყველასთვის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად, რაც წარმოადგენს მდგრადი განვითარების ახალი დღის წესრიგის ნაწილს. მდგრადი განვითარების 17 მიზნიდან (SDG), თითოეულს გააჩნია კონკრეტული მიზანი, რომელიც უნდა მიიღწეს შემდეგი 15 წლის განმავლობაში. ყველა ამ მიზნისთვის (SDG) გენდერული თანასწორობა წამყვანი მიმართულებაა, მაგრამ ამავდროულად ერთი მთლიანი SDG (SDG5) მიძღვნილია მხოლოდ ამ თემისთვის, რაც მიზნად ისახავს გენდერული თანასწორობის მიღწევასა და ყველა ქალისა და გოგონას უფლებათა გაძლიერებას. ის მოიცავს ცხრა მიზანს, რომელთა შორისაც არის: ქალთა და გოგონათა მიმართ ყოველგვარი დისკრიმინაციის შეწყვეტა, ქალებისა და გოგონების წინააღმდეგ ძალადობის ყოველგვარი ფორმის შეწყვეტა, ისეთი მავნე პრაქტიკების აღმოფხვრა, როგორცაა ადრეული, იძულებითი და ბავშვთა ქორწინება, ქალთა სრული და ეფექტური ჩართულობა და ლიდერობის თანაბარი შესაძლებლობების მინიჭება გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში; ასევე გონივრული პოლიტიკის გატარება და განმტკიცება, აღსრულებადი კანონმდებლობის შექმნა გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და ყველა ქალისა და გოგონას უფლებების გაძლიერების მიზნით. (UNWOMEN, 2018a). პროექტი თანხვედრაშია იმ მიზნებთან, რომლებიც მდგრადი განვითარების მიზნებშია გაწერილი.

2. GCF და GIZ გაიდლაინები გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის

კლიმატის მწვანე ფონდის გენდერული პოლიტიკის მიხედვით, „ფონდისთვის წარდგენილი პროგრამები თუ შეთავაზებული პროექტები შესაბამისობაში უნდა იყოს როგორც გენდერის ეროვნულ პოლიტიკასა და პრიორიტეტებთან, ისე ფონდის გენდერულ პოლიტიკასთან“. GCF-ის 2019 – 2021 წლების სამოქმედო გეგმაში კიდევ უფრო ვრცელადაა აღწერილი, თუ რას მოიცავს მთავარი ელემენტები:

- 1) აკრედიტირებულ უწყებებს მოეთხოვებათ განახორციელონ სავალდებულო საწყისი სოციო-ეკონომიკური და გენდერული შეფასება, რაც არის გარემოსდაცვითი და

სოციალური უზრუნველყოფის (ESS) პროცესის დამატებითი კომპონენტი, რათა შეაგროვონ საბაზისო მონაცემები და:

- (i) განისაზღვროს, თუ როგორ პასუხობს პროექტი/პროგრამა ქალებისა და მამაკაცების საჭიროებებს, კლიმატის ცვლილების სპეციფიკური საკითხის გათვალისწინებით;
 - (ii) დადგინდეს ცვლილებების გამომწვევი მიზეზები და გენდერული დინამიკა, რათა მიიღწეს პროექტის/პროგრამის ადაპტაციისა თუ შერბილების მიზნები.
 - (iii) დადგინდეს და შეიქმნას გენდერთან დაკავშირებული სპეციფიკური ელემენტები, რომლებიც უნდა ჩაერთოს პროექტის/პროგრამის აქტივობებში.
 - (iv) შეფასდეს განხორციელების ბიუჯეტი;
 - (v) შეირჩეს მყისიერი და გრძელვადიანი შედეგებისა და გავლენის ინდიკატორები; და
 - (vi) შემუშავდეს პროექტის/პროგრამის განხორციელებისა და მონიტორინგის ინსტიტუციონალური სტრუქტურა.
- 2) გენდერულად მიუკერძოებელი დაინტერესებული მხარეების კონსულტაციები, პოლიტიკაში მოცემულ გენდერულ პარამეტრების გათვალისწინებით.
 - 3) გენდერული ხედვის ჩართვა პროექტისთვის/პროგრამისთვის სავალდებულო გარემოსდაცვით და სოციალური უზრუნველყოფის გამოყენებისას, რაც თანხვედრაშია ფონდის ESS -ის პროექტის/პროგრამის სპეციფიკურ მოთხოვნებთან, გადაწყვეტილება B.07/02"-ის თანახმად.
 - 4) პროექტის სკრინინგი გენდერულ მგრძობელობაზე, პროექტის სხვადასხვა ეტაპზე - პროექტის მომზადების, შეფასების, დამტკიცების და მონიტორინგის პროცესში, შესაბამისი ორგანოების მიერ (დანიშნული ეროვნული უწყებები [NDA], აკრედიტირებული უწყებები, სამდივნო).

GCF-ის განახლებული გენდერული პოლიტიკა და 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა დაშენებულია მთავარ ელემენტებზე. განახლება და ნასწავლი გაკვეთილები შეიძლება შეჯამდეს ხუთ მთავარ ასპექტად:

- 1) პოლიტიკა გენდერულად პასუხისმგებლობიანობას უფრო მეტად უსვამს ხაზს, ვიდრე გენდერულ მგრძობელობას. იყო გენდერულად პასუხისმგებლიანი, ნიშნავს რომ არა მხოლოდ გამოავლინო გენდერთან დაკავშირებული პრობლემები ან უზრუნველყო „არ ავნო“ მიდგომა, არამედ პროცესით არსობრივად შეუწყო ხელი ისტორიულად დამკვიდრებულ გენდერული მიკერძოების გადალახვას. ეს არის იმ ენასთან თანხვედრაში, რომელიც გამოყენებულია „გაეროს კლიმატის ცვლილებების ჩარჩო კონვენციის“ გადაწყვეტილების მხარეთა მე-20 კონფერენციასა (ლიმას სამუშაო პროგრამა) და პარიზის შეთანხმებაში.
- 2) გენდერის შეფასების მოთხოვნასთან ერთად, პოლიტიკას გააჩნია სავალდებულო მოთხოვნა - მომზადდეს პროექტის დონის გენდერული სამოქმედო გეგმები.
- 3) პოლიტიკაში გაწერილია ცალსახა მოთხოვნები პროექტის საწყის, განხორციელების, მონიტორინგისა და ანგარიშგების ეტაპებზე, ისევე როგორც გაწერილია კლიმატის

მწვანე ფონდის, აკრედიტირებული ერთეულების და დანიშნული ეროვნული პირების/საკომუნიკაციო პირების როლები და მოვალეობები.

- 4) პოლიტიკა თანხვედრაშია გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG), რომლებიც ქმნიან ცალსახა ვალდებულებებს გენდერული თანასწორობისთვის ორივე გზით - ერთი როგორც ცალკე აღებული მიზანი ქალთა თანასწორობისთვის და მათი უფლებების გაზრდის შესახებ, რომელიც გამოხატულია მეხუთე მიზანში (SDG5) და მეორე, როგორც თანამკვეთი თემა ყველა SDG-ისთვის;
- 5) სამოქმედო გეგმა უზრუნველყოფს პორტფოლიოს დონის გენდერულად მგრძობიარე ინდიკატორებს, გენდერის განახლებული პოლიტიკის სამოქმედო გეგმისთვის, დასაბუთებულ საბიუჯეტო დებულებებთან ერთად, რომელიც დაკავშირებულია ცოდნის მართვასთან, შესაძლებლობათა განვითარებასთან, მონიტორინგთან, შეფასებასა და სწავლასთან.

GCF-ის ზემოთ აღნიშნული გენდერული პოლიტიკისა და შესაბამისი განახლების მიხედვით, GIZ-ის გარანტიებს + გენდერის მართვის სისტემა და გენდერის სტრატეგია, საჭიროებს გენდერის ანალიზის ჩატარებას პროექტის მოსამზადებელი ფაზის ადრეულ ეტაპზე, რათა დადგინდეს გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პოტენციალი და ის რისკებიც, რომლებიც კონკრეტული ზომების მეშვეობით სულ მცირე უნდა შერბილდეს ან მთლიანად იქნას თავიდან არიდებული. ანალიზის შედეგებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება უნდა მოხდეს უშუალოდ პროექტის მიზნებში, ინდიკატორებში, მეთოდოლოგიურ მიდგომებსა და შედეგების მონიტორინგის სისტემაში.

3. გენდერის შეფასების მეთოდოლოგია

3.1 მეთოდოლოგიის მიმოხილვა

გენდერის შეფასების განხორციელებისა და გენდერის სამოქმედო გეგმისთვის გამოყენებულია შემდეგი მეთოდოლოგია და საფეხურები:

- ყველა შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის გადახედვა, მათ შორის მარეგულირებელი დოკუმენტებისა და სტანდარტებისა, რომელთა შესრულებაც საჭირო იქნება პროექტის განხორციელებისას.
- მეორადი (არსებული) დოკუმენტაციის ანალიზი;
- ინფორმაციის შეგროვება და დაინტერესებულ მხარეთა კონსულტაციები თბილისსა და საქართველოს სამ სამიზნე რეგიონში, რომელიც დადგინდა პროექტის მიერ და დაინტერესებულ პირთა ჩართულობის შესახებ ანგარიშის მომზადება.
- დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროცესიდან მიღებული პირველადი მონაცემების ანალიზი.
- გენდერის შეფასების (GA) და გენდერის სამოქმედო გეგმის (GAP) მომზადება.

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროცედურები ჩატარდა პროექტის დოკუმენტაციისა და მეორადი მონაცემების ანალიზის შედეგად. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა არის ინსტრუმენტი პროექტის დაინტერესებულ მხარეთა გამოვლენისა და მობილიზაციისთვის. ეს წარმოადგენს ყველა იმ დაინტერესებულ მხარესთან (ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობა, ცალკეული პირები, ასოციაციები, ჯგუფები) ნებისმიერი სახის ურთიერთქმედების ჩარჩოს, რომლებზეც გავლენას ახდენს ეს პროექტი ან რომლებიც დაინტერესებულნი არიან ამ პროექტით. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის შექმნის მიზანია პროექტსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის გამჭვირვალე, ორმხრივი კომუნიკაციის/დიალოგის ჩამოყალიბება, GIZ, GCF-ის მოთხოვნების დაკმაყოფილებისადმი ძლიერი ვალდებულებების გადაცემა და დაინტერესებულ მხარეთა საჭიროებების, ინტერესების, შიშებისა და მოტივაციის გაგება და მართვა, ასევე ქალებისა და მამაკაცების მხრიდან პოტენციურად უარყოფითი რეაგირების წინასწარ განჭვრეტა და შერბილების ზომების უზრუნველყოფა. დაინტერესებულ მხარეთა კონსულტაციების მიზნები განისაზღვრა შემდეგნაირად:

- 1) პროექტის გაცნობა;
- 2) დაინტერესებულ მხარეთა თვალთახედვით ზემოქმედებებისა და შერბილების გამოვლინება;
- 3) დაინტერესებულ მხარეთა შემოთავაზებების და პრობლემების გაცნობიერება;
- 4) გარემოსდაცვითი ქცევისადმი ბარიერების წინასწარი გაგება (რით არის განპირობებული ამჟამინდელი ქცევა და როგორ შეიძლება სოფლის მოსახლეობის მოტივირება ქცევის შესაცვლელად, მიუხედავად მოჭრილი ხის ღირებულებისა) და სოციო-ეკონომიკური, კულტურული და გენდერული ბარიერების გაცნობიერება, რაც ასოცირებულია ენერგო ეფექტური ღუმელებისა და ალტერნატიული საწვავის გამოყენებასთან (მაგ. არის თუ არა მათთვის საწვავი მერქნის გამოყენება უპირატესი საჭმლის მომზადებისთვის და რამ შეიძლება შეუქმნას მათ მოტივაცია შეცვალონ თავიანთი ქცევა).
- 5) გენდერული თვალსაზრისით, სათემო საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოსახლეობის ჩართულობის ხარისხის შეფასება და მათი ჩართულობის გაზრდისთვის ეფექტური გზების გათვალისწინება;
- 6) ტყეებისადმი საკუთრების განცდის შეფასება და საკუთრების განცდის გაზრდის გზები;
- 7) გენდერული შემადგენლობის შეფასება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამ დეპარტამენტში/ინსტიტუციაში, რომლებიც პასუხისმგებელია ტყის მართვაზე. (ეროვნული სატყეო სააგენტო, ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტი და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი).

დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციები ჩატარდა 2019 წლის 5 მარტიდან 8 აპრილის პერიოდში, თბილისში, კახეთში, გურიასა და მცხეთა-მთიანეთში, ESS ექსპერტთან ერთად (ასევე, დეტალებისთვის იხილეთ დაფინანსების შეთავაზების დანართი 7ა, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის შესახებ ანგარიში). დაინტერესებულ მხარეთა

კვლევის პროცესის შედეგად, გამოვლინდა და კონსულტაციები გაეწიათ შემდეგ დაინტერესებულ მხარეებს:

1. საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები

- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეროვნული სატყეო სააგენტო;
- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტი;
- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი;
- ეროვნული სატყეო სააგენტოს წარმომადგენლები კახეთში, გურიასა და მცხეთა-მთიანეთში;
- კახეთის, გურიისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონული თვითმმართველობების წარმომადგენლები;
- თელავის, ახმეტის, ყვარლის, დედოფლისწყაროს, ოზურგეთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის და თიანეთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები

2. კახეთისა და გურიის მოსახლეობა

რეგიონების მოსახლეობა შეირჩა ურბანული და არაურბანული მოსახლეობის იმ წარმომადგენლების ყოლის მიზნით, რომლებიც ცხოვრობენ ტყეებთან ახლოს ან შედარებით მოშორებით. კონსულტაციები ჩატარდა შემდეგ დასახლებებში: ვარდისუბანი, არგოხი, შილდა და დედოფლისწყარო კახეთის რეგიონში; ზოტი, ლესა და მთისპირი გურიის რეგიონში.

3. ეკოლოგიურ თემებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები

- ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) საქართველოს წარმომადგენელი
- კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (Caucasus Environmental NGO Network CENN) წარმომადგენელი

4. ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები

- „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ დირექტორი
- „ტასოს ფონდის“ დირექტორი

სულ 175 ადამიანს გაეწია კონსულტაცია, მათ შორის 36%-ს წარმოადგენდა ქალები და 64%-ს - მამაკაცი. კონსულტირებული ადამიანების და ჯგუფების სია წარმოდგენილია ანგარიშის მეორე ნადაართში.

3.2 ცვლილება მეთოდოლოგიაში

ეს გენდერის შეფასება თავდაპირველად ჩატარდა 1-ლი და მე-2 კომპონენტებისთვის. მესამე კომპონენტი დაფინანსებულია შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის

სააგენტოს (SDC) მიერ. ის ითვალისწინებს სატყეო სექტორის რეფორმისა და ახალი ტყის კოდექსის პრაქტიკაში ამოქმედებისა და განხორციელების მხარდაჭერას, სადაც განსაკუთრებული აქცენტი კეთდება საარსებო წყაროებსა და ადგილობრივ თვითმმართველობაზე ტყის მართვაში, როგორც მრავალდონორიანი პროექტის ნაწილზე.

კომპონენტი 3-ის კონკრეტული ქვეაქტივობები შემუშავდა 2021 წლის პირველ კვარტალში საბაზისო სიტუაციის, ბარიერებისა და პრიორიტეტული ღონისძიებების დეტალური შეფასების მიხედვით, მონაწილეობით პროცესების საფუძველზე. იგი შემუშავდა ისე, რომ უზრუნველყოფილი ყოფილიყო მისი შესაბამისობა დანარჩენ ორ კომპონენტთან და პროექტის ზოგად ზემოქმედებებთან. მე-3 კომპონენტის ქვეაქტივობების შემუშავების საფუძველზე, გენდერის შეფასების თავდაპირველი ვერსია განახლდა და შეიცვალა პროექტის სამივე კომპონენტის მოცვის მიზნით. ასევე ცვლილებები შევიდა გარემოსდაცვითი და სოციალური გარანტიების დოკუმენტებში.

მე-3 კომპონენტისთვის დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციები ჩატარდა 2020 წლის დეკემბერში და 2021 წლის იანვარში, ეროვნული ექსპერტების ჯგუფის მიერ. გლობალური COVID-19 პანდემიის გამო, ამ ინტერვიუებიდან ბევრი დისტანციურად ჩატარდა. თავდაპირველი შეფასებისთვის ჩატარებული კონსულტაციების გარდა, დოკუმენტის განახლებისთვის კონსულტაციები განხორციელდა ქვემოთ ჩამოთვლილ დაინტერესებულ მხარეებთან. გენდერული, სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხები შეტანილი იყო ყველა ინტერვიუს გაიდლაინებში.

1. საქართველოს მთავრობისა და საჯარო უწყებების წარმომადგენლები

- ეროვნული სატყეო სააგენტო (NFA)
- თელავის მუნიციპალიტეტის, ყვარელის მუნიციპალიტეტის, კახეთის რეგიონული სატყეო მეურნეობის, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის, თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ახმეტის მუნიციპალიტეტის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის, გურიის რეგიონის, გურიის რეგიონული სატყეო მეურნეობის, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები.
- სხვადასხვა მუნიციპალიტეტების თემების ხელმძღვანელები
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის წარმომადგენლები.
- ველური ბუნების ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები
- სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი (ASRC)
- საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი (AUG)
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
- ტექნიკური უნივერსიტეტი
- თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო (NACHP)
- საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია (GNAT)

2. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები და დონორი პროექტები

- თუშეთის დაცული ლანდშაფტის ასოციაცია (TPLA)
- „ტყის მდგრადი მართვის ხელშეწყობა კლიმატისადმი მედეგი სოფლის განვითარებისთვის საქართველოში“/ CENN,

- პროექტი „კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისთვის“ რომელიც ხორციელდება GIZ-ის მიერ
- ეკო დერეფნის ფონდი (ECF)
- WWF / აჭარის სატყეო პროექტი
- REC Caucasus
- SUCCOW-ის ფონდი
- ავსტრიის განვითარების სააგენტო (ADA)
- Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ)

3. კერძო სექტორი

- ანა ბახტაძე, ტურიზმის ექსპერტი
- კომპანია „ჯეოლენდი“
- აწარმოე საქართველოში
- ტუროპერატორი Explore Georgia
- საქართველოს საერთაშორისო ტუროპერატორთა ასოციაცია.


4. ადგილობრივი კონსულტაციები

ასევე განხორციელდა ადგილობრივი კონსულტაციები სამიზნე რეგიონებში, 8-ვე უბანში (იხ. ცხრილი 1 და სურათი 1 ქვემოთ).

ცხრილი 1. მე-3 კომპონენტის შემუშავებისთვის ინფორმაციის შესაგროვებლად 2021 წლის იანვარში ჩატარებული ადგილობრივი კონსულტაციები

რეგიონი	მუნიციპალიტეტი/სატყეო უბანი	სოფლები, სადაც კონსულტაციები განხორციელდა
მცხეთა-მთიანეთი	თიანეთი	არტანი
კახეთი	ახმეტა	შახვეტილა
	თელავი	ლაფანყური
	დედოფლისწყარო	ოზაანი
	ყვარელი	ახალსოფელი
გურია	ლანჩხუთი	ლესა
	ჩოხატაური	ზოტი
	ოზურგეთი	შემოქმედი

სურათი 1: იმ სამიზნე მუნიციპალიტეტებისა და სოფლების ადგილმდებარეობა, სადაც ადგილობრივი კონსულტაციები განხორციელდა 2020-2021 წლებში



4. გენდერული თანასწორობა: საქართველო საერთაშორისო ინდექსებისა და ეროვნული ჩარჩო პირობების მიხედვით

საქართველო არ არის გენდერული თანასწორობის კუთხით მოწინავე ქვეყნებს შორის. რეიტინგით ის უფრო დაბლა დგას, ორი, ყველაზე მეტად აღიარებული გენდერული უთანასწორობის საერთაშორისო ინდექსის მიხედვით, რომელიც ყოველწლიურად ფასდება UNDP-ისა და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ (WEF).

UNDP-ის გენდერული უთანასწორობის ინდექსის (GII) მიხედვით, რომელიც წარმოადგენს კომპოზიციურ საზომს და რომელიც შედგება რეპროდუქციული ჯანმრთელობის, (დედების სიკვდილიანობის ინდექსი და შობადობის თანაფარდობა) უფლებამოსილების (პარლამენტში ქალების მიერ დაკავებული ადგილების წილი და საშუალო განათლების მქონე ქალების წილი) და სამუშაო ძალაში მონაწილეობის (დასაქმებული ქალების პროპორცია სამუშაო ასაკის მქონე ქალ მოსახლეობაში) ასპექტებში უთანასწორობის მაჩვენებლებსგან. 2017 წელს საქართველო იკავებდა 78-ე ადგილს 160 ქვეყანას შორის (UNDP 2018 ა).

მეორე კომპოზიციური საზომი გენდერული უთანასწორობისა, გლობალური გენდერული ხარვეზის ინდექსია, რომელიც მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ დაინერგა 2006 წელს, რათა გაეზომათ გენდერზე დაფუძნებული უთანასწორობის მაგნიტუდა, ოთხ ქვე-ინდექსზე დაყრდნობით 0 დან 1-მდე შკალაზე. 2018 წელს საქართველომ დაიკავა 99 ადგილი (0.677 ქულით) 149 ქვეყანას შორის; მე-60 ადგილი საგანმანათლებლო მიღწევების კუთხით (ქულა 0,996), 85-ე ადგილი ეკონომიკაში მონაწილეობისა და ეკონომიკური შესაძლებლობების თვალსაზრისით (0.654 ქულით), 119-ე ადგილი პოლიტიკური

გამლიერების კუთხით (0.093 ქულით) და 123-ე ადგილი ჯანმრთელობის კუთხით (ქულა 0.967) (მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი 2018)

გენდერული თანასწორობის პოპულარული აღქმა ქვეყანაში საერთაშორისო ინდექსებთან თანხვედრაშია და მიუთითებს თანასწორობის დაბალ დონეზე. ერთ-ერთი ეროვნული კვლევის შედეგების მიხედვით, ქართველების ერთ მეოთხედზე მეტი (25% მამაკაცებისა და 21% ქალებისა) ფიქრობს, რომ ქვეყანაში არსებობს გენდერული თანასწორობა. (CRRC 2015)

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი უზრუნველყოფს გენდერულ თანასწორობას. 1991 წლის დამოუკიდებლობის დეკლარაციის შემდეგ, საქართველომ მიიღო რამდენიმე კანონი და რეგულაცია, რომელიც მიზნად ისახავდა გენდერულ თანასწორობაში მიღწევებს და გახდა ხელმძღვრე ყველა მთავარი საერთაშორისო კონვენციისა გენდერულ თანასწორობაზე:

- ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია (CEDAW)
- ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (სტამბულის კონვენცია)
- ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე UNDP-ის რეზოლუცია #1325
- საქართველო არის მდგრადი განვითარების მიზნების 2030 წლის დღის წესრიგის ხელმძღვრე 193 ქვეყანას შორის; მდგრადი განვითარების 17 პრინციპი ქმნის ცალსახა ვალდებულებას გენდერული თანასწორობის მიმართ როგორც ცალკე აღებული მიზანი და როგორც თანამკვეთი თემა დანარჩენ SDG-ებს შორის. SDG5 ეხება გენდერულ თანასწორობას და გააჩნია 14 ინდიკატორი რომელთაგან 11-მა დააწესა მეთოდოლოგია და სტანდარტები.

მიიღეს გენდერული თანასწორობასთან დაკავშირებული რამდენიმე კანონი, მათ შორისაა:

- საქართველოს კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ
- საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ
- საქართველოს კანონი გენდერულ თანასწორობაზე

შეიქმნა რამდენიმე ინსტიტუციური მექანიზმი გენდერული თანასწორობის მისაღწევად და მათში შედის:

- სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და მონიტორინგის მანდატით გენდერული თანასწორობის საკითხებში პარლამენტის მრჩეველთა საბჭო, გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად;
- გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი, როგორც მუდმივი განყოფილება სახალხო დამცველის ოფისის სტრუქტურაში;

- გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია.

მთავარი აღმოჩენები პროექტისთვის

არსებობს კანონიერი მექანიზმები, რომლებიც ქმნის გენდერული თანასწორობის საფუძვლებს, მაგრამ ისინი არ უზრუნველყოფს თანასწორობას. საერთაშორისო ინდექსები, ისევე როგორც გავრცელებული აღქმა გენდერული თანასწორობისა ქვეყანაში, მიუთითებს დაბალ გენდერულ პარიტეტზე. მიუხედავად იმისა, რომ პროექტის მთავარი მიზანი არ არის გენდერული თანასწორობის მიღწევა, ის მაინც ორიენტირებულია გენდერის გაძლიერების ხელშეწყობაზე არსებული საკანონმდებლო მექანიზმების გაცოცხლების გზით.

5. გენდერული თანასწორობა საჯარო სივრცეში; წარმომადგენლობა და მონაწილეობა

თანასწორობა დაკავშირებულია გადაწყვეტილების მიღებისას ძალაუფლების ქონასთან. შესაბამისად, წარმომადგენლობა და მონაწილეობა თანასწორობის მისაღწევად საჭირო პირობებია.

წარმომადგენლობა

ქალების პრობლემების ადეკვატურად გათვალისწინებისთვის, მათი ხმამაღლა თქმა და გაგონება აუცილებელია. ამგვარად, გენდერული თანასწორობის მისაღწევად, საჭიროა ქალთა წარმომადგენლობა აღმასრულებელ უწყებებში, და საჯარო და კერძო ინსტიტუტებში გადაწყვეტილების მიღების პროცესებში.

ქალთა წარმომადგენლობა პარლამენტში დაბალია, ისინი პარლამენტის წევრთა მხოლოდ 16% შეადგენენ, რაც დაბალია ვიდრე საშუალო მსოფლიო მაჩვენებელი - 23.7% (UNWOMEN, 2018a). საქართველოს პარლამენტში მაღალ პოსტებს სულ სამი ქალი იკავებს - ერთი არის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე და ორი მათგანი კომიტეტის ხელმძღვანელი. ადგილობრივ დონეზე ქალთა წარმომადგენლობა საკრებულოს¹ 2058 წევრიდან მხოლოდ 13%-ს შეადგენს. უფრო მეტიც, 64 მერიდან/გუბერნატორიდან ქვეყანაში მხოლოდ ერთია ქალი.

პროექტის სამიზნე რეგიონების საკრებულოებში ქალთა წარმომადგენლობა კიდევ უფრო დაბალია ვიდრე ქვეყანაში არსებული საშუალო მაჩვენებელი - ქალები არჩეული წევრების მხოლოდ 12.7% შეადგენენ (ცხრილი 1).

¹ საკრებულო - წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს თვითმმართველობას მუნიციპალიტეტებში „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით.

ცხრილი 1: საკრებულოს გენდერული შემადგენლობა სამიზნე მუნიციპალიტეტებში

მუნიციპალიტეტი	რაოდენობა		
	ქალი	კაცი	სულ
თელავი	3	29	32
ყვარელი	4	23	27
ახმეტა	2	17	19
დედოფლისწყარო	2	26	28
ოზურგეთი	7	38	45
ლანჩხუთი	5	27	32
ჩოხატაური	6	30	36
თიანეთი	4	23	27
სულ	33	227	260
%	12.7	87.3	100

მსგავსი მდგომარეობაა აღმასრულებელ დონეზეც. 11 მინისტრთა შორის მხოლოდ 4 ქალი მინისტრია - ესენია რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი, რომელიც ამავდროულად ვიცე პრემიერ მინისტრის პოსტს იკავებს, იუსტიციის მინისტრი, ეკონომიკის მინისტრი და სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში.

უკეთესი მდგომარეობაა იურისპრუდენციაში, სადაც მოსამართლეების 52% ქალია. საქართველოს 58 ელჩს შორის კი მხოლოდ ექვსია ქალი.

საჯარო მოხელეების უმრავლესობას მამაკაცები წამოადგენენ. 74,532 დასაქმებულიდან 166 უწყებაში, უმრავლესობა - 70.7% მამაკაცია და 29.3 % ქალი. გენდერული დისბალანსი განსაკუთრებით დიდია კანონმდებლობის სააგენტოებში, სადაც მამაკაცები პერსონალის 86,2% შეადგენენ. გენდერული დისბალანსი განსაკუთრებით ცალსახაა მაღალ პოზიციებზე, იმ კანონმდებლობის სააგენტოების გამოკლებითაც კი, სადაც მამაკაცები ჭარბობენ, გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე მამაკაცები იკავებენ 70.3% და ქალები 29.7%. უთანასწორობა უფრო ცალსახაა თვითმმართველ უწყებებში, სადაც ქალები მაღალ პოზიციებზე დასაქმებული ოფიციალური პირების მხოლოდ 24%-ს წარმოადგენენ (IDFI,2013).

მიუხედავად ქალთა შეზღუდული წარმომადგენლობისა გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე, მოსახლეობის დამოკიდებულება ქალი ლიდერების მიმართ, როგორც ეროვნულ ისე ადგილობრივ დონეზე, ძირითადად დადებითია. ბევრი კვლევა ამჟღავნებს, რომ ორივე სქესის წარმომადგენლები, მამაკაცებიც და ქალებიც, მიესალმებიან ქალების მონაწილეობას საჯარო სფეროში. მაგალითად „მოსახლეობის ცხოვრებისული გამოცდილება საქართველოში“ კვლევამ- (EBRD 2016) გამოავლინა, რომ მამაკაცების 92.5% და ქალების 95.6% მიიჩნევენ, რომ ქალები უფრო კარგ ადგილობრივ ლიდერებს ქმნიან, ვიდრე მამაკაცები. უფრო მეტიც, 89.5% მამაკაცებისა და 93.4 % ქალებისა თვლიან, რომ ქალები ისეთივე კომპეტენტურები არიან, როგორც მამაკაცები, პრეზიდენტის ან პრემიერ მინისტრის თანამდებობების დასაკავებლად ქვეყანაში. NDI-ს გამოკითხვის თანახმად, ქართველებს ჯერათ, რომ პარლამენტსა და თვითმმართველობაში ძალიან ცოტა ქალია, და

63% მხარს უჭერს საკანონმდებლო კვოტას, რომ გაიზარდოს ქალების წარმომადგენლობა (NDI 2018).

მონაწილეობა

სამოქალაქო ჩართულობა ქვეყანაში დაბალია. ისევე როგორც სხვა პოსტ-საბჭოთა ქვეყნები, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოც გადის „დემოკრატიაში გარდამავალ დაუსრულებელ პროცესს“, ისეთი საჯარო სივრცით, რომელიც ხასიათდება უძალაუფლებო მოქალაქეებით, დომინანტური სახელმწიფოთი და საჯარო პოლიტიკის განხილვისას პრობლემაზე ორიენტირებული დებატების ნაკლებობით. (ლუცევიჩი, 2013). მოსახლეობა იშვიათადაა ჩართული მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ხმის მიცემის დინამიკა წლების განმავლობაში სტაბილურია და დაბალი: საპარლამენტო არჩევნებში ხმის მიცემთა რაოდენობა 2008 წელს იყო 53.2%, 2012 წელს 59.3% და 56.2% - 2018-ის არჩევნებში (IDFI, 2019).

საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ (2014) უზრუნველყოფს საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავებაში მოქალაქეების ჩართულობას.

მუხლი 85 ავალდებულებს თვითმმართველობას, უზრუნველყონ მოქალაქეთა ჩართულობა მუნიციპალიტეტის აქტივობებში, მათ შორის მუნიციპალური უწყებების სესიებში. კანონი იძლევა 5 მექანიზმს ადგილობრივად გადაწყვეტილების მიღების პროცესებში სამოქალაქო ჩართულობისთვის. ეს მექანიზმებია:

- I. დასახლების საერთო კრება, რომელიც ლეგიტიმურია თუ მას ესწრება საერთო კრების წევრთა არანაკლებ 20%-ისა.
- II. პეტიცია;
- III. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, რომელიც არის მუნიციპალიტეტის მერის/რაიონის გამგებლის სათათბირო ორგანო. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან მეწარმე იურიდიული პირები, არასამთავრობო ორგანიზაციები და მუნიციპალიტეტის მოსახლეობა, არანაკლებ 10 წევრისა. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოში ერთი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა 1/3-ზე ნაკლები არ უნდა იყოს.
- IV. მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა.
- V. მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა.

თუმცა, ეს საკანონმდებლო დებულებები არ იძლევა ჩართულობის გარანტიას. საქართველოს მუნიციპალიტეტების ეროვნული შეფასება აღნიშნავს, რომ მოსახლეობის მხოლოდ 7% არის ინფორმირებული მუნიციპალიტეტის საქმიანობის შესახებ. მრჩეველთა საბჭოები ხშირად არ მოქმედებენ აქტიურად, ზოგიერთ მუნიციპალიტეტში ასეთი

საბჭოები არც კი ჩამოყალიბებულა. (IDFI, 2017). საჯარო პოლიტიკის კვლევის თანახმად, (საერთაშორისო გამჭვირვალობა 2014) გამოკითხულთა მხოლოდ 4% დაესწრო რაიმე სესიას საკუთარი ადგილობრივი მუნიციპალიტეტის საკრებულოში და მხოლოდ 30% პასუხობს, რომ ადგილობრივი მთავრობა წარმოადგენს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებს. გენდერული სხვაობა ამ თვალსაზრისით არ იყო მითითებული კვლევაში.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

პროექტის ფარგლებში ჩატარებული კონსულტაციების შედეგები თანხვედრაშია ზემოხსენებულ შეფასებებთან. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო ჯერ კიდევ არ შექმნილა საპროექტო ტერიტორიის ყველა მუნიციპალიტეტში. მათ შორის არც იმ 8 მუნიციპალიტეტში, რომელთაც პროექტის ფარგლებში გაეწიათ კონსულტაციები, ორ მთგანს (თიანეთსა და ახმეტას) საერთოდ არ აქვს საბჭო და დარჩენილ 6 მუნიციპალიტეტში, საბჭოები ახლახანს შეიქმნა. ისინი ჯერ კიდევ არ შეკრებილან (თელავის მუნიციპალიტეტი) ან ხვდებიან 3-4 თვეში ერთხელ და მათი მუშაობა არ არის არსებითად ეფექტური. საშუალოდ, შესწავლილ მუნიციპალიტეტებში სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოების 39% -ს ქალები შეადგენენ.

ცხრილი 2: სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრების რაოდენობა

მუნიციპალიტეტი	რაოდენობა		
	ქალი	კაცი	სულ
თელავი	4	8	12
ყვარელი	5	6	11
ახმეტა			n/a
დედოფლისწყარო	3	9	12
ოზურგეთი	9	6	15
ლანჩხუთი	4	6	10
ჩოხატაური	4	12	16
თიანეთი			n/a
სულ	29	47	76
%	38.2	61.8	100

წყარო: მუნიციპალიტეტების ინფორმაცია

ფაქტობრივად, მერისთვის მოსახლეობასთან კომუნიკაციის ძირითად გზას წარმოადგენს მერის რწმუნებული, ასეთი მექანიზმი მოქმედებს თითოეულ სამიზნე რეგიონში. თითოეულ დასახლებას ან მცირე ზომის დასახლებების ჯგუფს ყავს რწმუნებული, რომელიც ინიშნება მერის მიერ. ეს რწმუნებული მოქმედებს როგორც მედიატორი მოსახლეობასა და მუნიციპალიტეტს შორის, ავრცელებს ინფორმაციას და მობილიზაციას უკეთებს მოსახლეობას. კონსულტაციების განმავლობაში, მუნიციპალიტეტის ყველა გამოკითხული წევრი აღნიშნავს, რომ მოსახლეობასთან კომუნიკაციის ყველაზე ეფექტური გზაა პირისპირ კომუნიკაცია, ძირითადად რწმუნებულების მეშვეობით, ასევე შეხვედრები სოფლებში.

კახეთის რეგიონალურ ოფისში, მამაკაცმა წარმომადგენელმა მისი მოსახლეობის ჩართულობა შეაფასა როგორც ძალიან დაბალი. ის ამას ძალოვანი უწყებებისადმი ნდობის ნაკლებობით ხსნის.

“ზოგადად რომ ვთქვათ, ხალხი ფიქრობს, რომ მათ იდეებს არ გაითვალისწინებენ “

საჯარო ჩართულობის დაბალი დონის მიზეზად იგივე ითქვა ყვარლის მუნიციპალიტეტშიც.

ამგვარი ახსნა-განმარტების ნამდვილობაზე არაპირდაპირად მიუთითებს გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში ქალთა ჩართულობის და მონაწილეობის დადებითი მაგალითები, რაც ასოცირდება „სოფლის განვითარების პროგრამის“ განახლებასთან, ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ. სამინისტრო გამოყოფს ფინანსების ფიქსირებულ რაოდენობას თითოეული სოფლისთვის, დასახლების ზომის მიხედვით. გამოყოფილ თანხას ემატება ამ თანხის ნახევრის ოდენობით ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხაც. გადაწყვეტილება თემში განსახორციელებელი პროექტის შერჩევასთან დაკავშირებით დასახლების კრების ხმათა უმრავლესობით მიიღება, რაც იმ შემთხვევაში ითვლება ლეგიტიმურად, თუ ის შედგება სხვადასხვა სქესის მინიმუმ 30 ადამიანისგან. პროექტის განხორციელების ფაზაში, ადგილობრივ მოსახლეობას შესაძლებლობა ექნება დასაქმდნენ სატყეო სექტორში, სატყეო სამუშაოების სპეციალისტებად.

„სოფლის განვითარების პროგრამა წარმოადგენს საუკეთესო ინსტრუმენტს მოსახლეობის დიალოგში ჩართვისთვის. ეს აგრეთვე არის დიდი შესაძლებლობა მთავრობისთვის, რომ შეაგროვოს ინფორმაცია თემში არსებულ პრობლემებზე“ (მამაკაცი კახეთის რეგიონალური ადმინისტრაციის წარმომადგენელი)

მერის მრჩევლები გენდერის საკითხებში

თვითმმართველ უწყებებში ქალთა ჩართულობის გასაზრდელად შეიქმნა სპეციალური საკანონმდებლო დებულებები. გენდერულ თანასწორობაზე საქართველოს კანონში ცვლილებები მიიღეს 2017 წლის ივლისში, რომელიც აღნიშნავს, რომ მერმა შეიძლება დანიშნოს გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი საჯარო მოხელეები. ვინაიდან გენდერულ საკითხებზე მერის მრჩევლთათვის შესაძლებლობათა ზრდის თაობაზე არც ერთი დებულება არ შექმნილა კანონში, ხშირად ამას მხოლოდ ფორმალური ხასიათი აქვს და არაფერს მატებს გენდერული თანასწორობის ხელშეწყობას. ზოგიერთ მუნიციპალიტეტს, როგორცაა თიანეთს, ყავს მრჩეველი, რომელიც გენდერულ საკითხებზე მუშაობას უთავსებს მერის ასისტენტის პოზიციას. მსგავსი სიტუაციაა ყვარელშიც, სადაც მრჩეველი ითავსებს სხვა მოვალეობებსაც და მას არ ეძლევა ანაზღაურება გენდერის საკითხებზე მუშაობისთვის და ეს პოზიცია არც მისი საქმიანობის აღწერილობაშია გაწერილი. გურიაში, სამი სამიზნე მუნიციპალტეტიდან, არც ერთს არ გააჩნია გენდერულ საკითხებზე მრჩევლის პოზიცია. თელავის, დედოფლისწყაროსა და ახმეტის მუნიციპალიტეტებში, გენდერულ საკითხებში მრჩეველი ამ პოზიციისთვის ანაზღაურებასაც იღებს და შესაბამისი საქმიანობის მკაფიო აღწერილობაც აქვს.

გენდერის საკითხებზე მრჩევლის პოზიციის ფორმალური ხასიათი ხაზგასმულია UNDP-ის გენდერული თანასწორობის შესახებ ანგარიშშიც. ანგარიში გვთავაზობს ქვე-ეროვნულ დონეზე გენდერული თანასწორობის მექანიზმების გაძლიერებას: ა) გენდერის საკითხებზე საკომუნიკაციო პირების პოზიციის ფორმალიზებით ბ) 64-ივე მუნიციპალიტეტში მათი არსებობის უზრუნველყოფით და გ) გენდერზე მომუშავე პირების სამუშაო აღწერილობის სტანდარტიზაციითა და მათი უწყვეტი ტრენინგებით UNDP, 2018 ბ).

ქალთა ოთახები

იმისათვის, რომ ქალთა ჩართულობა გაძლიერდეს, 2012 წლიდან მუნიციპალიტეტებში მოიაზრება ქალთა ოთახების არსებობა. ქალთა ოთახების იდეა, კახეთის რეგიონალური ადმინისტრაციის მიხედვით, წარმოადგენს დიალოგისთვის გამოყოფილ სივრცეს, დაინტერესებულ მხარეებს შორის, როგორც ქალებს ისე მამაკაცებს შორის. ქალთა ოთახები კახეთის ყველა მუნიციპალიტეტს აქვს და ისინი 2018 წელს “Mercy Corps”-ის და EKS/ESPER მიერ შეიქმნა, ასე რომ, რეგიონს ამჟამად აქვს 8 ქალთა ოთახი, 7 მათგანი - მუნიციპალიტეტებში და ერთი აზერბაიჯანელებით დასახლებულ სოფელ იორმუნდალოში. აქტივობები, რომელიც ამ სივრცეში ტარდება, ჯერჯერობით შემოიფარგლება მუნიციპალიტეტის ფუნქციებზე რჩევების მიცემით, მასალების დაქსეროქსებითა და ბავშვების მოვლით, სანამ მათი მომვლელები ოფიციალურ პირებს სტუმრობენ. გენდერის საკითხებში მრჩევლებს არ აქვთ რაიმე სტრატეგიული გეგმა ოთახების გამოყენებისთვის, თუმცა ზოგ მუნიციპალიტეტში, მაგ. ახმეტაში, ამჟამად მიმდინარეობს ამაზე მუშაობა. ქალთა ოთახს ძირითადად უყურებენ როგორც შშმ პირებთან შეხვედრების მოსაწყობად განკუთვნილ სივრცეს და აგრეთვე მას იყენებენ ენის კურსებისთვის. დღეს, ერთიანი სტრატეგიის არქონის გამო, ოთახის ეფექტურობა დამოკიდებულია ამ ოთახების მენეჯერების ინიციატივებსა კრეატიულობაზე. ოთახები კახეთის ყველა მუნიციპალიტეტში ერთნაირადაა აღჭურვილი - დივნით, თაროებით, მაგიდითა და სკამებით, აგრეთვე საბავშვო მაგიდითა და სკამებით, ქსეროქსის აპარატით და კომპიუტერით.

“ჩვენ ახლა რეგიონში არსებული ქალთა ოთახებისთვის საოპერაციო სტრატეგიის განსაზღვრის პროცესში ვართ, რათა გავხადოთ ისინი უფრო მეტად ეფექტური და ცოცხალი“ (ქალი წარმომადგენელი კახეთის რეგიონალური ადმინისტრაციიდან)

შენიშვნა: გურიასა და მცხეთა-მთიანეთის მუნიციპალიტეტებს არ აქვთ ქალთა ოთახები.

არასამთავრობო ორგანიზაციები და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები (სსო) და არასამთავრობო ორგანიზაციები ჩართულობისთვის ყველაზე გავრცელებულ სივრცედ ითვლება. არასამთავრობო სექტორი კარგადაა განვითარებული საქართველოში, თუმცა ის არათანაბრადაა გადანაწილებული ქვეყნის მასშტაბით. ორგანიზაციების დიდი უმრავლესობა მდებარეობს დედაქალაქში - თბილისში. ამჟამად, საქართველოში 32 ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციაა აქტიური.

რეგიონებში წარმოდგენილია უფრო მეტი ორგანიზაცია, სადაც დონორები არიან აქტიურები.

ქვეყანაში დაახლოებით 50 არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობს გარემოსდაცვით საკითხებზე. მათი უმეტესობა ფოკუსირებულია კლიმატის ცვლილებაზე, ნარჩენების მართვაზე, ტყეებსა და ბიომრავალფეროვნებაზე (გარემოსდაცვითი საინფორმაციო და განათლების ცენტრი, 2014).

კონსულტირებულ რეგიონებში, არასამთავრობო სექტორი განვითარებად სექტორად ითვლება. საერთო ჯამში ათი არასამთავრობო ორგანიზაციაა რეგისტრირებული კახეთის რეგიონში, მათ შორისაა NGO „პანკისის უხუცეს ქალთა საბჭო“ პანკისის ხეობაში. კიდევ თექვსმეტი NGO არის რეგისტრირებული გურიაში, საიდანაც ორი ცალსახად მუშაობს გენდერთან დაკავშირებულ თემებზე - „ქალები გურიისთვის“ და „ქალთა საინიციატივო ჯგუფი“. 21 NGO არის წარმოდგენილი მცხეთა-მთიანეთის რეგიონში და ორი მათგანი მუშაობს ქალთა გაძლიერებაზე რეგიონში - ქალთა ასოციაცია „ბაზალეთი“ და „ქალები ჯანსაღი მომავლისთვის“. როგორც სამთავრობო სექტორთან, ასევე ადგილობრივ მოსახლეობასთან კონსულტაციები, აჩვენებს რომ NGO სექტორი არ არის ძალიან აქტიური რეგიონულ ან მუნიციპალურ დონეზე. ერთადერთი გამონაკლისი, სადაც NGO სექტორი საკმაოდ აქტიურია, არის პანკისის ხეობა კახეთის რეგიონში. ზოგიერთი NGO, რომელიც განთავსებულია თბილისში, მუშაობს გენდერის საკითხებზე საპროექტო რეგიონებში, მაგ. „ტასოს ფონდი“ გურიაში და „ქალები მშვიდობისთვის“ დედოფლისწყაროში.

იშვიათია სათემო ორგანიზაციებიც (CBO). მცხეთა-მთიანეთში ერთადერთი ასეთი ორგანიზაცია არის ყაზბეგში, გურიაში კი ასეთი ორი ორგანიზაციაა წარმოდგენილი. ამ მხრივ, სიტუაცია უკეთესია კახეთში. კახეთის რეგიონული ადმინისტრაციის წევრები აღნიშნავენ თავიანთ დადებით გამოცდილებას სათემო ორგანიზაციებთან მიმართებაში.

“გადაწყვეტილებები უფრო იოლად და ეფექტურად მიიღება იმ სოფლებში, რომელთაც სათემო ორგანიზაციები ყავთ “

კახეთში არსებული სათემო ორგანიზაციების უმრავლესობას ქალები ხელმძღვანელობენ და ისინი არჩეულნი არიან უმრავლესობათა ხმით.

კოოპერატივები

ბიზნეს კოოპერატივების შექმნის სტიმულირების არაერთი მცდელობის მიუხედავად, მათი რიცხვი შეზღუდულია. ქვეყნის მასშტაბით, არსებობს 1538 რეგისტრირებული სასოფლო სამეურნეო კოოპერატივი, რომელიც შედგება 13,677 ადამიანისგან და რომელთა შორის 3674 ქალია. მათ შორისაა 61 კოოპერატივი, რომელშიც ყველა წევრი ქალია და ჯამში 389 ადამიანს ითვლის. (UNWOMEN, 2019b)

სამიზნე რეგიონებს შორის, კოოპერატივების დიდი უმრავლესობა წარმოდგენილია კახეთში, სადაც 100 კოოპერატივზე მეტი არსებობს. მათი წევრები უმეტესად მამაკაცები არიან. თუმცა, დონორების მიერ დაფინანსებულ კოოპერატივებში, ქალთა ჩართულობას ხელი ეწყობა კარგადაც მუშაობს. მაგალითად, არსებობს თავლის წარმოების

კოოპერატივები, რომელიც მთლიანად ქალებისგან შედგება. უმეტესად კახეთის ასოციაციის ქალი წევრები თავლის მწარმოებლები არიან. მეცხოველეობისა და ვიტიკულტურის კოოპერატივებში კი უმეტესად მამაკაცები ჭარბობენ.

გურიაში 45 კოოპერატივია დარეგისტრირებული. 22 ლანჩხუთში, 13 ოზურგეთში და 10 ჩოხატაურში.

თიანეთის მუნიციპალიტეტში (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი) მოქმედებს 12 კოოპერატივი. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ENPARD პროგრამის ფარგლებში, გაიხსნა ხილის გადამამუშავებელი რამდენიმე მცირე საწარმო. თიანეთის ქარხანა წარმოადგენს კოოპერატივს, რომელიც შედგება 11 წევრისგან, საიდანაც 7 ქალია. ტყის ხილსა და სასარგებლო ბალახებს, აგრეთვე ადგილობრივი ბალებიდან და ფერმებიდან მიღებულ ხილს, ახმობენ როგორც მზის ენერჯის, ასევე ელექტრო ენერჯის საშუალებით. ძირითადი საწარმოო სეზონის განმავლობაში, ქარხანა ასაქმებს დამატებით 200 ადამიანს.

მაშინ როდესაც ბევრ არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციას ქალები ხელმძღვანელობენ, ბიზნეს კოოპერატივებს უმეტესად მამაკაცები უდგანან სათავეში. თუმცა, ზოგიერთი დონორის მიერ დაფინანსებული პროექტისთვის ქალთა ჩართულობა ერთ-ერთ მოთხოვნაა. ასეთ შემთხვევებში, ქალები როგორც წესი არიან ლიდერთა შორის. ზოგიერთ პროექტს კარგი გამოცდილება აქვს ქალთა კოოპერატივების ჩამოყალიბების ხელშეწყობაში, სადაც ისინი უზრუნველყოფენ გრანტებს ქალთა კოოპერატივებისთვის, რომლებიც ტყის რესურსებს იყენებენ დამატებითი შემოსავლის მისაღებად. მაგალითად, ფშავში CENN-ის მხარდაჭერით შეიქმნა კოოპერატივი, რომელიც ამზადებს ტყის პროდუქტების გამოყენებით შეღებილ ხალიჩებს. კიდევ ერთი ქალთა კოოპერატივი იქნება ტყის არამერქნულ პროდუქტებთან დაკავშირებული, როგორც კომერციული, ასევე სოციალური მომსახურებების მიმწოდებელი. ისინი გეგმავენ ქსელური მარკეტინგის გამოყენებას, სხვადასხვა პროდუქტის პირდაპირ ბაზარზე შემოტანას ან ონლაინ გაყიდვების გამოყენებას. ჯგუფის სამართლებრივი სტატუსი ჯერ დადგენილი არ არის, მაგრამ ჩატარდა საჭიროებების შეფასება და შემუშავდა სტრატეგია. ქალთა კოოპერატივების შექმნით შესაძლებელია პოლიტიკური დიალოგის ხელშეწყობა, რომელიც დააყენებს საკითხებს მისი წევრი ორგანიზაციების სახელით და დაიცავს მათ ინტერესებს.

ქალთა წარმომადგენლობა და მონაწილეობა სოფლის განვითარების კონტექსტში

UNDP-ის (2018, გვ. 5) თანახმად, რომ ქალების ჩართულობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მცირეა და კიდევ უფრო მცირეა სოფლად, ვიდრე ქალაქებში. მათ მოჰყავთ მაგალითი, რომ რეგიონებში ქალები იშვიათად მონაწილეობდნენ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ გამართულ კონსულტაციებში, რეგიონული განვითარების პროგრამების დაგეგმვასთან დაკავშირებით. მსგავსად, USAID-ის გენდერული შეფასება საქართველოში (2010) (როგორც ციტირებულია Krieg 2018, გვ. 35-ზე) ამტკიცებს, რომ „ხელშეწყობი ზომების გარეშე, ქალები არ იქნებიან ჩართული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. მაგალითად, როდესაც გამოკითხვა ჩაატარეს ქალების ასეთ პროცესებში ჩართვის შესახებ, კაცების 28%-

მა, და ქალების 14%-მა განაცხადა, რომ ქალთა მონაწილეობას „არანაირი ღირებულება“ არ ჰქონდა, ორი მიზეზის დასახელებით - რომ ქალები ძალიან დაკავებულნი არიან საოჯახო საქმეებით და, შესაბამისად, არ აქვთ დრო სხვა საქმიანობისთვის ან რომ ქალები მხოლოდ საოჯახო საკითხებით უნდა იყვნენ დაინტერესებულნი. ამის საპირისპიროდ, კითხვაზე, პირადად მზად იყვნენ თუ არა ისინი ჩართულიყვნენ ბუნებრივ რესურსებზე გადაწყვეტილებების მიღებაში, შესაძლებლობის მიცემის შემთხვევაში, ქალების 66%-მა დაადასტურა თავისი სურვილი.”

გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია მიწის საკუთრება. საქართველოში ქალის ხელმძღვანელობაში არსებული ოჯახების მიერ მიწის ფლობა უფრო ნაკლებად მოსალოდნელია, ვიდრე მამაკაცის ხელმძღვანელობაში არსებული ოჯახების მიერ, თუ ყველა სხვა პირობა თანაბარია (Gassmann et al., 2013). საქართველოს სოფლებში მიწის საკუთრების, ადმინისტრირებისა და მემკვიდრეობის საკითხები, როგორც წესი, ქმრების ხელშია და გადაწყდება ვაჟების სასარგებლოდ. (Krieg 2018). ქონებრივი უფლებების არარსებობა ან გაურკვევლობა გავლენას ახდენს გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობისა და საკუთარი ბიზნესის განვითარების შესაძლებლობაზე. დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების დროს მოყვანილი მაგალითის თანახმად, ქალი მეწარმეები შეიძლება უფრო მოწყვლადები იყვნენ, ვიდრე სხვა ჯგუფები. მაგალითად, თელავის მუნიციპალიტეტში, სვიანას ტყის ტერიტორიაზე, ფშაველის ქალთა საბჭომ ტერიტორიის გამოყენება დაიწყო უზუფრუქტის სარგებლობის უფლებით (2 წელი) და დაიწყო პურის გამოცხობით, ყავის შეთავაზებით, ჭურჭლის გაქირავებით შემოსავლის გამომუშავება. ამ ორი წლის შემდეგ მუნიციპალიტეტმა არ გაახანგრძლივა უზუფრუქტი და გადაწყვიტა ამ მიწიდან შემოსავლის მისაღებად აუქციონი გამოეცხადებინა, რის გამოც ამ ქალებმა შემოსავლის წყარო დაკარგეს.

ქალები ძირითადად მოწყვლად ჯგუფს წარმოადგენენ ადგილობრივ მოსახლეობაში. მიუხედავად ამისა, ქალებს შორის არის განსხვავებები კონსულტაციებისა და გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უნარის თვალსაზრისით, ზოგიერთი ჯგუფი მრავლობით დისკრიმინაციას განიცდის. მაგალითად, სოფლად მცხოვრები ქალები და იძულებით გადაადგილებული ქალები ნაკლებ შესაძლებლობებსა და უფრო მეტ შეზღუდვებს აწყდებიან (USAID Georgia, 2010). ორი შიდა კონფლიქტის გამო, საქართველოს ბევრი იძულებით გადაადგილებული პირი (დევნილი) ჰყავს. იძულებით გადაადგილებულ პირთა 2009–2012 წლების სახელმწიფო სტრატეგია მოიცავს გენდერულ ასპექტებს, მაგრამ დევნილი ქალები და სოფლის ქალები ყველაზე დაუცველ პირობებში არიან, რაც იწვევს დაბალი ეკონომიკურ სტატუსს და სიღარიბეს, ასევე ინფორმაციაზე, უფლებებსა და უნარებზე ნაკლებ ხელმისაწვდომობას (Krieg 2018).

ახალი ტყის კოდექსით ადგილობრივ მოსახლეობაში ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესება გარანტირებული არ არის. დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების თანახმად, ახალი ტყის კოდექსის ერთ-ერთი გამოვლენილი სისუსტე არის ის, რომ იგი არ ავალდებულებს მართვის ორგანოებს უზრუნველყონ ქალებისა და მამაკაცების დაბალანსებული ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ახალ ტყის კოდექსში ნათქვამია: „ტყესთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილე სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის/მუნიციპალიტეტის ორგანოები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფენ ტყის მართვის

შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას, აგრეთვე ტყის მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობას“ (მუხლი 17, მე-2 პუნქტი). თუმცა, არის ინტერპრეტაციის შესაძლებლობა; ტყის კოდექსი სავალდებულოს არ ხდის ჩართულობას ადგილობრივი მოსახლეობისთვის და არც სქესს ახსენებს. კოდექსის პრაქტიკაში განხორციელების კუთხით, ზოგიერთი გამოკითხული დაინტერესებული მხარე ვერ ხედავს ქალების საკმარის წარმომადგენლობას ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღებაში და ხაზს უსვამს, რომ საჭიროა არსებითი მუშაობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს ქალების წარმომადგენლობა და ჩართვა სოფლის საკრებულოს წევრებად და აქტიურად ჩართვა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ასეთ პროცესებში გათვალისწინებული უნდა იყოს ქალების შესაძლებლობები და პოტენციურად, ლიდერობისა და შესაძლებლობების განვითარების ტრენინგის საჭიროება. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთ-ერთმა გამოკითხულმა წარმომადგენელმა რეკომენდაცია გაუწია არსებულ ქალთა საბჭოებთან მუშაობას და პოტენციურად ასეთი საბჭოების ხელშეწყობას სხვაგან, როგორც ინოვაციური პლატფორმის ქალთა ჩართულობის მხარდასაჭერად ტყის მართვის მონაწილეობით დაგეგმვაში და მდგრადი ეკონომიკური აქტივობების განხორციელებაში.

ადგილობრივ დონეზე ქალთა გაძლიერების გამოცდილება

საქართველოში მიმდინარე თუ განხორციელებულ პროექტებს აქვთ გამოცდილება გენდერული მინისტრიმინგისა და ქალთა გაძლიერების სხვადასხვა მიდგომების გამოყენებაში. CENN-ი ქალთა მონაწილეობის ძლიერ პოტენციალს ხედავს ეკოტურიზმსა და ტყის არამერქნული პროდუქტების შეგროვებაში, რაც შესაბამისობაშია ზემოაღნიშნულ დასკვნებთან. მათი აზრით, სოფლის განვითარების ხელშეწყობა შესაძლებელია მთავრობის და დონორების მიერ, რომლებიც უზრუნველყოფენ და მხარს უჭერენ ქალთა ბიზნესის წამოწყების პროგრამებს და ახდენენ „სტარტაპების“ მხარდაჭერას. ტურიზმის სექტორში ჩართულობა სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა ასევე ხაზი გაუსვეს ამას, როგორც სოფლად ქალთა გაძლიერების ძირითად მიმართულებას. მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობაში მილიარდების ინვესტიციაა ჩადებული, კვლევებმა აჩვენა, რომ სოფლის მეურნეობიდან მიღებული შემოსავლები მცირდება და მოსახლეობა ამ სფეროში დიდ პოტენციალს ვერ ხედავს. ბევრმა გამოკითხულმა აღნიშნა, რომ ადგილობრივი კაცები და ქალები სულ უფრო მეტ შესაძლებლობებს ხედავენ საკუთარი თავისთვის ტურიზმის მზარდ სექტორში.

ქალი მეწარმეებისა და ქალების ხელმძღვანელობაში არსებული ბიზნესების მხარდაჭერის მნიშვნელობა ხაზგასმულია სხვადასხვა აქტორების მიერ, რომლებიც აღნიშნავენ ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების და განათლებისა და უნარების განვითარების გაძლიერებას საჭიროებას (მაგ. მსოფლიო ბანკი, 2021). ინტერესთა ჯგუფების ფორმირებით ქალთა გავლენისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის გაზრდის თვალსაზრისით, ECOserve-ის პროექტმა დააგროვა გამოცდილება სოფლის ქალთა საბჭოებთან მუშაობისას. ECOserve-ის გენდერული ანალიზი (Krieg 2018), ხაზს უსვამს სოფლის ქალთა საბჭოების ხელშეწყობას, რომლებიც ჩამოყალიბდა მათ უშუალო სივრცეში გარემოსდაცვითი პრობლემების გადასაჭრელად, როგორცაა: წყალმომარაგება, ნარჩენების მართვა, ენერჯისა და ბუნებრივ რესურსებზე

ხელმისაწვდომობა. ისინი მჭიდრო კოორდინაციაში იყვნენ ადგილობრივ საბჭოებთან და კერძო სექტორთან (Krieg 2018). ყველა დონეზე გადაწყვეტილებების მიმღებ ორგანოებში ქალთა მონაწილეობის გაზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება იყო კვოტების დაწესება, რომელიც უზრუნველყოფდა ქალების წარმომადგენლობას შესაბამის სტრუქტურებში და ხელს უწყობდა ამომრჩეველთა დამნიშვნელი ორგანოების წინააღმდეგობის დაძლევას და ქალთა არჩევაში (UNEP et al. 2013, როგორც ციტირებულია Krieg 2018 მიერ).

მთავარი აღმოჩენები პროექტისთვის

- ქალთა წარმომადგენლობა ეროვნულ და ადგილობრივ წარმომადგენლობით და აღმასრულებელ უწყებებში არასათანადოა.
- ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის დონე ადგილობრივ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში არასათანადოა.
- ზოგიერთი ქალისთვის, საზოგადოების ჩართულობის ნაკლებობის მიზეზი გახლავთ ის, რომ ისინი ფიქრობენ, რომ მათ პოზიციას არ გაითვალისწინებენ.
- თვითმმართველობის ინიციატივები ქმნის სტრუქტურას მოქალაქეების ჩართულობისთვის, მაგრამ ხშირად ეს არ არის ეფექტური და სხვადასხვა წინააღმდეგობას აწყდება: მოქალაქეთა მრჩეველთა საბჭოები ბევრ მუნიციპალტეტში არც კი დაარსებულა და სადაც დაარსდა, ხშირად არ ფუნქციონირებს ეფექტურად. მიუხედავად ამისა, გამოკითხულმა დაინტერესებულმა მხარეებმა აღნიშნეს ასეთი პროცესებისა და ინიციატივების ხელშეწყობის გაგრძელების საჭიროება, და რეკომენდაცია გაუწიეს სხვადასხვა მოქნილი მიდგომების შემუშავებას, რომლებიც შეიძლება მოერგოს სხვადასხვა ადგილობრივ კონტექსტს. თუმცა, ასეთ მექანიზმებსა და პლატფორმებს თან უნდა ახლდეს შესაძლებლობების განვითარება ადრეულ წლებში, მონაწილე მამაკაცებისა და ქალების შესაძლებლობების გასაძლიერებლად და მექანიზმების არსებობის უზრუნველსაყოფად, სარგებლის სამართლიანი განაწილების, გადაწყვეტილებების გამჭვირვალედ მიღების, სოციალური და გარემოსდაცვითი გარანტიების მართვისა და კონფლიქტების მართვისთვის.
- რეგიონებში, სსო-ები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და არასამთავრობო ორგანიზაციები ცოტაა და უსიცოცხლო. სათემო ორგანიზაციები არჩეული ხელმძღვანელებით, ეფექტურია, მაგრამ ჯერჯერობით იშვიათი.
- კოოპერატივების რიცხვი განსხვავებულია, მაგრამ მაინც მცირეა სამიზნე რეგიონებში, კოოპერატივების ყველაზე მეტი რიცხვი არის კახეთში და ყველაზე ცოტა მცხეთა-მთიანეთში.
- მოქალაქეებსა და თვითმმართველ უწყებებს შორის მთავარი საკომუნიკაციო არხი არის პირისპირ შეხვედრები მერის მიერ დანიშნული რწმუნებულების მეშვეობით.
- მუნიციპალიტეტებს გააჩნიათ სამი მექანიზმი, რომელიც ფოკუსირებულია ქალთა გაძლიერებაზე: გენდერის საკითხებში მერის მრჩეველის პოზიცია, ქალთა საბჭოები

(პილოტირდება კახეთში), და ქალთა ოთახები მუნიციპალიტეტში. თუმცა ყველა მუნიციპალიტეტს არ ყავს მრჩეველი ან არ აქვს ქალთა ოთახი. კახეთის რეგიონში სადაც ოთახები არსებობს, არ ფუნქციონირებს ეფექტურად.

- პროექტი უნდა ცდილობდეს ქალთა ორგანიზაციების მეტ ჩართულობას, მაგ. საზოგადოებაში ქალთა მეტი ხილვადობისათვის და თემში ცნობიერების შექმნის მიზნით, ენერგოეფექტური გადაწყვეტების წარმატებით განხორციელებაში ქალთა როლის მნიშვნელოვნობის შესახებ, უზრუნველყოს ამ საკითხის პროპაგანდა და მოაწყოს საინფორმაციო კამპანიები.
- ახალი ტყის კოდექსის ფარგლებში, ტყის მონაწილეობითი მართვის მიდგომებში ქალების ჩართულობის გამაძლიერებელი აქტივობების შემუშავებისა და განხორციელების ხელშეწყობა, ისეთი აქტივობებისთვის, რომლებიც შეიძლება გამეორებული იქნას სხვა მუნიციპალიტეტებში. ასეთი მიდგომები უნდა იყოს მრავალფეროვანი და მოქნილი, რათა მოხდეს მათი ადაპტირება საქართველოს მრავალფეროვან სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ და გარემოსდაცვით კონტექსტში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გენდერს გადაწყვეტილების მიღების პროცესებში წარმომადგენლობისა და მონაწილეობის, სარგებლის გაზიარების, კონფლიქტების მოგვარების, ტყის ინკლუზიური მართვისა და მასთან დაკავშირებული ბიზნეს შესაძლებლობების კონტექსტში.
- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და დონორთა პროექტების გენდერულ გაძლიერებასთან დაკავშირებული არსებული გამოცდილების გამოყენება ღირებულებითი ჯაჭვების გაძლიერებისას. ეს შეიძლება იყოს ღირებულებითი ჯაჭვები, სადაც ქალები უკვე არიან წარმოდგენილი, როგორცაა ტყის არამერქნული რესურსების კომერციალიზაცია ან სტუმართმასპინძლობა, მაგრამ ასევე სხვა ღირებულებითი ჯაჭვები, როგორცაა ხე-ტყისა და ეკოტურიზმის.
- ქალთა ჯგუფების შექმნის (მაგ. კოოპერატივები ან მუნიციპალური ქალთა ოთახები/საბჭოები) ხელშეწყობა და თანამშრომლობა უკვე არსებულ ინიციატივებთან, შესაძლებლობების განვითარების გასაგრძელებლად.
- ქალების მონაწილეობის კვოტების შემოღება გარკვეულ საპროექტო აქტივობებში, როგორცაა ტყის მონაწილეობითი მართვა, ტრენინგები ან ღირებულებითი ჯაჭვების განვითარება. ამას თან უნდა ახლდეს ასეთ სტრუქტურებში მონაწილე მამაკაცებისა და ქალების, ასევე ასეთ სტრუქტურებთან კოორდინაციასა და ურთიერთქმედებაში ჩართული ორგანოების (მაგ. მუნიციპალური ხელისუფლება) გენდერული სენსიბილიზაცია.
- ქალთა უნარების განვითარების და განათლების ხელშეწყობა, ფორმალური განათლების (მაგ. ტექნიკური პროფესიული განათლებისა და ტრენინგის - პროფესიული განათლების დაწესებულებები, ან უნივერსიტეტები) ან ტრენინგის შესაძლებლობების მეშვეობით.
- უზრუნველყოფილი იქნას, რომ „ტყის მართვის გეგმების შემუშავებასა და განხორციელებაში ადგილობრივი თემების მონაწილეობის გაძლიერება“, რომელიც გათვალისწინებულია აქტივობა 3.2-ით, საკმარის ზომებს მიმართავს ქალთა საჭიროებებისა და ინტერესების წარმოდგენის უზრუნველსაყოფად (მაგ. გენდერულად

თანასწორი კონსულტაციები, მიზნობრივი კონსულტაციები ქალთა ჯგუფებთან ან ასოციაციებთან, ოჯახების გენდერულად პასუხისმგებლობიანი გამოკითხვების ჩატარება, ცოდნის გაცვლის ხელშეწყობა სხვა დონორებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიმდინარე გენდერზე ორიენტირებულ აქტივობებთან და საჭიროების შემთხვევაში გარე ექსპერტების ჩართვა გენდერთან დაკავშირებით (მაგ., მოკლევადიანი კონსულტანტები ან ტრენერები).

6. გენდერული თანასწორობა პირად სივრცეში: გადაწყვეტილებების მიღება და დროის სიმცირე

საჯარო სივრცის გარდა, გენდერული უთანასწორობა აგრეთვე ცალსახაა პირად სივრცეშიც. ქალები უფრო ნაკლებ მატერიალურ რესურსს ფლობენ, ვიდრე მამაკაცები, უფრო ნაკლები ძალაუფლებით სარგებლობენ ოჯახში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და უფრო მეტად განიცდიან დროის სიმცირეს, დიდი დოზით არა-ანაზღაურებადი საშინაო სამუშაოს შესრულების გამო.

გენდერული როლების ტრადიციული განაწილება საქართველოში ჯერ კიდევ გავრცელებულია და ხშირია, განსაკუთრებით სოფლებში. ამას მხარს უჭერს და მისდევს ორივე სქესის წარმომადგენლები - როგორც მამაკაცები, ისე ქალები. გენდერული როლები დაკავშირებულია საკუთრებასა და გადაწყვეტილებების მიღებასთანაც, სადაც ხაზგასმულია მამაკაცის, როგორც ოჯახში შემომტანის და ქალის, როგორც დიასახლისის როლი. ასეთ დამოკიდებულებას ადასტურებს კვლევის შედეგებიც, რომ მამაკაცების 85.1% და ქალების 81.6% ფიქრობს, რომ ქალებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი როლია ოჯახის მოვლა. 68.3% მამაკაცებისა და 59.0% ქალებისა მიიჩნევს, რომ ყველასთვის უმჯობესია თუ მამაკაცი გამოიმუშავეს ფულს და ქალი მოუვლის სახლსა და ბავშვებს.

შინამეურნეობის შემადგენლობა

შინამეურნეობების უფრო მეტ რიცხვს მამაკაცები უძღვებიან, ვიდრე ქალები - შინამეურნეობები, რომელსაც ქალები უძღვებიან, შეადგენს 39%. ასეთი შინამეურნეობების წილი უფრო დიდია ურბანულ დასახლებებში (საქსტატი, 2018). ერთსულიანი ოჯახების 34%-ში ქალები შეადგენენ 28%. ეს ტენდენცია შეიძლება აიხსნას ერთის მხრივ ქალების სიცოცხლის ხანგრძლივობით და მეორეს მხრივ, იმით, რომ დაუქორწინებელი ქალების წილი უფრო მეტია, ვიდრე დაუქორწინებელი მამაკაცების. ზოგადად კი, ქალების მიერ მართული ოჯახები უფრო მოწყვლადია სიღარიბისადმი. (UNDP, 2017)

ოჯახები შედგება საშუალოდ 3.3 წევრისგან. კახეთში და გურიაში ეს რიცხვი 3.2-ა და მცხეთა მთიანეთში 2.

ცხრილი 3: რეგიონებისა და გენდერის მიხედვით მოსახლეობის დაყოფა და ოჯახის წევრთა საშუალო რაოდენობა

რეგიონი	მოსახლეობა	კაცი %	ქალი %	ოჯახის წევრთა
---------	------------	--------	--------	---------------

				საშუალო რაოდენობა
საქართველო	3,713,804	47.7	52.3	3.3
თბილისი	1,108,717	45.4	54.6	3.3
იმერეთი	533,906	48.4	51.6	3.1
ქვემო ქართლი	423,986	49.2	50.8	3.7
აჭარა	333,953	48.8	51.2	4.0
სამეგრელო ზემო სვანეთი	330,761	48.1	51.9	3.3
კახეთი	318,583	49.0	51.0	3.2
შიდა ქართლი	263,382	48.7	51.3	3.3
გურია	113,350	48.2	51.8	3.2
სამცხე-ჯავახეთი	160,504	48.9	51.1	3.6
მცხეთა-მთიანეთი	94,573	50.4	49.6	3.1
რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი	32,089	48.6	51.4	2.5

წყარო: UNFPA

ოჯახის აქტივების მფლობელობა

გენდერული თანასწორობის შესახებ კანონი (მუხლი 10.1) უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებს ქალებსა და მამაკაცებს შორის. თუმცა, მემკვიდრეობის გადაცემის პრაქტიკა უფრო ხშირად ეფუძნებოდა სამომხმარებლო კანონს და მშობლების სახლსა და მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების გადაცემისას, უპირატესობა მამაკაცებს ენიჭებათ. ოჯახებში, სადაც ზრდასრული მამაკაცი ცხოვრობს, ოჯახის ქონება ჩვეულებრივ დარეგისტრირებულია მამაკაცის სახელზე. ეს პრაქტიკა ხსნის საკუთრების ასპექტში გენდერული ნიშნით არაპროპორციულობას, რომელიც მამაკაცებს შორის უფრო გავრცელებულია, ვიდრე ქალებს შორის. საცხოვრებლის მფლობელობა, ისევე როგორც სასოფლო სამეურნეო და მეცხოველეობის საშუალებების საკუთრების რიცხვი უფრო მაღალია მამაკაცებს შორის. მამაკაცთა დაახლოებით 80% და ქალების 76% ფლობს საცხოვრებელ სახლს. სასოფლო სამეურნეო ნაკვეთების 62.3%, მსხვილფეხა საქონლის 53.4%, და მსხვილი სასოფლო-სამეურნეო აღჭურვილობის 66.7%-ს მამაკაცები ფლობენ. (საქსტატი, 2018). მიწის ნაკვეთები, რომელსაც ქალები ფლობენ, უფრო პატარაა ვიდრე მამაკაცების მფლობელობაში არსებული ქონება. (UNWOMEN, 2015)

საპროექტო რეგიონებიდან, გურიაში ქალები ფლობენ სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთების 43.8%-ს, კახეთში 39.1%-ს და მცხეთა-მთიანეთში 39.1%-ს.

გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება

ობიექტური ინფორმაციის მოპოვება იმის შესახებ, თუ ვინ იღებს ოჯახში საბოლოო გადაწყვეტილებას არ არის ადვილი საქმე. როგორც წესი, მეუღლეებს შორის მოსაზრებები განსხვავდება, მაგრამ ხშირად, კვლევები იგივეს არ აჩვენებს. მაგ. EBRD (2016) კვლევის თანახმად, გადაწყვეტილების მიღების ძალა უფრო ხშირად მამაკაცებს აქვთ. არსებული პრაქტიკის თანახმად, უმრავლესობა ამას სწორად მიიჩნევს. ორივე სქესი, ქალებიც (56%) და

მამაკაცებიც (76%) ფიქრობს, რომ გადაწყვეტილება ოჯახში მამაკაცმა უნდა მიიღოს. მამაკაცების 57.8% და ქალების 42.2% აცხადებენ, რომ ისინი იღებენ სოფლის მეურნეობით მიღებული შემოსავლების დახარჯვაზე გადაწყვეტილებას (EBRD, 2016). მეორე კვლევა კი აღნიშნავს, რომ უმეტესად ერთობლივად იღებენ გადაწყვეტილებას შემოსავლის დახარჯვასთან დაკავშირებით. ეს ეხება შემოსავალს სოფლის მეურნეობის პროდუქტების გაყიდვიდან (73%), ხელფასებიდან (71%), ბიზნესიდან (67%) და დასაქმების არაფორმალური წყაროდან (64%), ეს ასევე ეხება პენსიებსა და სამთავობო დახმარებას (49%). თუ გადაწყვეტილებას ძირითადად ერთი მეუღლე იღებს, ყველა შემთხვევაში, გარდა ბიზნესიდან მიღებული შემოსავლების დახარჯვისა, უმეტეს შემთხვევაში ესენი არიან ქალები, და უფრო ნაკლებად მამაკაცები. (UNWOMEN, 2018a)

პროექტის კონსულტაციების განმავლობაში, კონსულტირებული მოსახლეობა აცხადებს, რომ გადაწყვეტილებას ორივე მეუღლე, ან მთელი ოჯახი ერთობლივად იღებს, თუმცა ზოგიერთი მათგანი აცხადებს, რომ უფრო მაღალი შემოსავლის მქონე ოჯახის წევრი უფრო მეტ ძალას ფლობს და ეს შეიძლება იყოს როგორც კაცი, ისე ქალი, თუმცა რელაურად უმეტეს შემთხვევაში, ასეთი მამაკაცია.

დროის სიმცირე და საშინაო საქმეები

ერთ-ერთი პრობლემა, რომელსაც ქალები ეჯახებიან, დროის სიმცირეა. საშინაო საქმეების რაოდენობა და მზრუნველობითი აქტივობები, რისი შესრულება მათ ყველაზე ხშირად სამსახურებრივ მოვალეობებთან და/ან ფერმაში სამუშაოებთან ერთად უწევთ, არ უტოვებთ მათ ბევრ დროს დასვენებისათვის, გართობისა და პირადი განვითარებისთვის. საბავშვო ბაღებთან ხელმისაწვდომობის ნაკლებობა ბევრ რეგიონში კიდევ უფრო ამძაფრებს ამ პრობლემას - ერთადერთი გამონაკლისი კონსულტაციებისას იყო დედოფლისწყარო.

ქალები ასრულებენ საშინაო საქმეების უმეტესობას. ამ საქმიანობის დაახლოებით 46.3% მხოლოდ ქალების მიერაა შესრულებული, ხოლო მხოლოდ მამაკაცების მიერ ასეთი საქმიანობის 23.7% სრულდება, დარჩენილ 30%-ს კი ისინი ერთობლივად ასრულებენ (კვლევა გენდერსა და თაობათა შესახებ, 2010). შესაკეთებელი სამუშაოები და გადასახადების გადახდა არის მხოლოდ ის საქმიანობები, სადაც მამაკაცები ჭარბობენ ქალებს (UNDP, 2017). გარდა საშინაო საქმეებისა, ქალები თავიანთი დროის დიდ ნაწილს ბავშვების ან ავადმყოფი ოჯახის წევრების მოვლას უთმობენ. კვლევის თანახმად, კვირაში 45 საათს ქალები ატარებენ საშინაო საქმეების შესრულებასა და ბავშვების, მოხუცი და ავადმყოფი ოჯახის წევრების მოვლაში, მაშინ როდესაც მამაკაცები ამაში მხოლოდ 15 საათს ხარჯავენ. (UNWOMEN, 2018b)

ქალები ასევე ჩართულნი არიან ფერმის და სოფლის მეურნეობის საქმიანობაში და მუშაობენ 80.33 დღით მეტს ვიდრე მამაკაცები. წლის განმავლობაში, ქალები მუშაობენ 344.25 დღეს, ხოლო მამაკაცები 263.92 დღეს. ქალები ასევე უფრო მეტ დღეს ხარჯავენ მეცხოველეობისთვის. ის უდიდესი სხვაობა, რაც შეადგენს 130 დღეს, აღნიშნულია კახეთის რეგიონში. გენდერული დაყოფა ცალსახაა ბევრ სასოფლო-სამეურნეო და ფერმერულ აქტივობაში და საქმიანობის ნაირსახეობებში, რომელიც იქ სრულდება. შინაური ფრინველებისა და პატარა ცხოველების მოვლა ჩვეულებრივ აღიქმება როგორც ქალების მოვალეობა, მაშინ როდესაც უფრო დიდ ცხოველებს მამაკაცები და ქალები ერთობლივად

უვლიან. თუ მამაკაცები უფრო მეტად არიან ჩართულნი შემოსავლის გამოსამუშავებლად სასოფლო სამეურნეო და ფერმერულ საქმიანობაში, ქალები ჩვეულებრივ უფრო მეტ დროს ატარებენ საყოფაცხოვრებო ფერმერობაში. მაგ. მამაკაცები ხარჯავენ 91.34 დღეს და ქალები 54,76 დღეს მოსავლის ღირებულებათა ჯაჭვში სამუშაოდ. (UNWOMEN, 2016).

მთავარი აღმოჩენები პროექტისთვის

- მიუხედავად არსებული დებულებებისა, რომლებიც უზრუნველყოფენ თანასწორობას საკუთრებაში, კაცები უფრო მეტ მატერიალურ აქტივებს ფლობენ, ვიდრე ქალები;
- გადაწყვეტილებები შინამეურნეობების დონეზე უმეტესად ერთობლივად მიიღება მეუღლეების მიერ, მაგრამ უთანხმოების შემთხვევაში, ბოლო სიტყვას მამაკაცი ამბობს;
- ქალები აწყდებიან დროის სიმცირის პრობლემას, ვინაიდან ისინი ასრულებენ საშინაო საქმიანობების უმრავლესობას. გარდა ამისა, ისინი ატარებენ მთავარ პასუხისმგებლობას ბავშვების და ავადმყოფი ოჯახის წევრების მოვლისთვის და ყველაფერი ეს ხშირად უწევთ სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებასა და / ან საარსებო ფერმერობასთან შეთავსებით.
- რამდენადაც ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილი კერძო (და საჯარო) გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და შეიძლება ნაკლები სარგებელი მიიღონ პროექტით. უნდა მოხდეს იმ პოტენციური გამოწვევების მჭიდრო მონიტორინგი, რომლებიც ხელს უშლის ქალების ჩართვას პროექტის აქტივობებში, მათ შორის: მონაწილეობის ბარიერები (მაგ. შეხვედრების დრო), ფინანსური ბარიერები (მაგ., ფინანსებზე დაბალი ხელმისაწვდომობა ან სესხებზე წვდომის ნაკლებობა), ძალაუფლებითი დინამიკა კომიტეტებში (მაგ. სარგებლის არასამართლიანი განაწილება, გადაწყვეტილების მიღების დინამიკა). ზომები უნდა იქნას მიღებული ამ გამოწვევების დასაძლევად (მაგ. ქალების ხელმძღვანელობაში არსებული მცირე და საშუალო ბიზნესების და ქალი მეწარმეების მხარდაჭერა ბიზნეს გეგმების შემუშავებაში და ფინანსებზე წვდომაში, ქალთა უნარების განვითარებისა და განათლების ხელშეწყობა, ქალების ლიდერთა ტრენინგის უზრუნველყოფა, მამაკაცებისა და ქალების გენდერული სენსიბილიზაციის ხელშეწყობა და გენდერულად მგრძობიარე მექანიზმების შემუშავება სარგებლის განაწილების, კომუნიკაციის და კონფლიქტების მოგვარებისთვის). პროექტმა ხელი უნდა შეუწყოს გენდერულ გაძლიერებას, განსაკუთრებით ქალთა მხარდაჭერას მათი ეკონომიკური მდგომარეობის გაძლიერებაში. ეს შეიძლება მოიცავდეს ტექნიკურ მხარდაჭერას ქალი მეწარმეებისთვის და ქალების ხელმძღვანელობაში არსებული ბიზნესებისთვის, ბიზნეს გეგმების შემუშავებაში და ფინანსებზე წვდომაში და ქალების მხარდაჭერას უნარების განვითარების შესაძლებლობებსა და განათლების მიღებაში, და სხვა.
- როგორც მამაკაცების, ასევე ქალების გენდერული სენსიბილიზაცია უნდა იყოს გადამკვეთი საკითხი მთელი პროექტისთვის, სადაც გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლება ხდება როგორც საჯარო, ისე კერძო სფეროში, და შესაძლებლობები მუდმივად ძლიერდება გენდერულ თანასწორობასა და სოციალურ ჩართულობაში, პროექტის კონტექსტში.

- პროექტის ქვეაქტივობების დაგეგმვა და განხორციელება უნდა მოხდეს გენდერული სენსიტიურობით და უნდა ითვალისწინებდეს ინფორმაციას შემდგი წყაროებიდან (შესაბამისობის მიხედვით): გენდერული თანასწორობის კონსულტაციები, მიზნობრივი კონსულტაციები ქალთა ჯგუფებთან ან ასოციაციებთან, ოჯახების გენდერულად პასუხისმგებლიანი გამოკითხვები, ცოდნის გაცვლა სხვა დონორებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიმდინარე გენდერზე ორიენტირებულ აქტივობებთან, მონაწილეობის აქტიური მონიტორინგი და დაინტერესებული მხარეების გამომხატურება, თუ როგორ გახდეს შეხვედრები უფრო ხელმისაწვდომი, და გარე ექსპერტების ჩართვა გენდერულ საკითხებში (მაგ., მოკლევადიანი კონსულტანტები ან ტრენერები), და სხვა.

7. ადამიანური კაპიტალი

სიღარიბე

სიღარიბე, რომელიც ასოცირდება უმუშევრობის მაღალ პროცენტთან, წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ პრობლემას ქვეყანაში. მშპ ერთ სულ მოსახლეზე 2017 წელს იყო 4,100 USD (მსოფლიო ბანკი, 2018), მოსახლეობის 32% ცხოვრობს დღეში 2.5 USD შემოსავლით. 18.8% სოფლად მცხოვრები მოსახლეობისა და ქალაქში მაცხოვრებლების 14.3% კვალიფიცირდება როგორც უკიდურესად ღარიბი მოსახლეობა (მსოფლიო ბანკი, 2016). საქსტატის მიხედვით, სიღარიბეში მცხოვრები მოსახლეობის რიცხვი შემცირდა 38.8%-დან 2007 წელს 21.9%-მდე 2017 წელს (საქსტატი, 2018). საქართველოს მთლიანი 3.72 მილიონი მოსახლეობიდან, 258.595 იძულებით გადაადგილებული პირი ყავს, რომელთაგან ბევრი მათგანი, უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრებთა მსგავსად, განსაკუთრებულად მოკლებულნი არიან ისეთ უპირატესობებს, როგორცაა წვდომა საბაზისო სერვისებსა და სოციალურ ინკლუზიაზე. ბავშვები სიღარიბის უფრო მაღალი რისკის ქვეშ არიან, ვიდრე ნებისმიერი სხვა ასაკობრივი ჯგუფი. ოჯახები, რომლებსაც ქალები უძღვებიან, მრავალსულიანი ოჯახები და ოჯახები, რომლებსაც ყავს 15 წლამდე ასაკის ბავშვები, ასევე არიან განსაკუთრებულად მოწყვლადები სიღარიბის მიმართ. ბავშვებიანი ოჯახები შეადგენს უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრები მოსახლეობის 78%, რაც უფრო მეტია ბავშვის რაოდენობა ოჯახში, უფრო მაღალია სიღარიბის რისკი (UNDP, 2017).

სიღარიბის მაჩვენებელი განსხვავდება არა მხოლოდ დასახლების ტიპების მიხედვით ან ოჯახების შემადგენლობით, არამედ რეგიონების მიხედვითაც.

ცხრილი 4: სიღარიბის მაჩვენებელი რეგიონების მიხედვით (2.5 USD დღეში)

No	რეგიონი	პროცენტი
1	შიდა ქართლი	51.9
2	მცხეთა-მთიანეთი	49.3
3	გური ა	45.3
4	ქვემო ქართლი	42.4
5	სამეგრელო ზემო სვანეთი	36.8
6	კახეთი	35.3
7	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	34.6
8	იმერეთი	34.6
9	აჭარა	31.9

No	რეგიონი	პროცენტი
10	თბილისი	18.6
11	სამცხე-ჯავახეთი	17.6

წყარო: მსოფლიო ბანკი, 2016

როგორც ცხრილიდან ჩანს, პროექტის სამიზნე რეგიონები იმ რეგიონებს შორისაა, სადაც სიღარიბის მაჩვენებელი მაღალია. მცხეთა-მთიანეთში სიღარიბის ინდექსი 49.3%-ს ითვლის, გურიაში 45.3% და კახეთში 35.3%.

კონსულტაციების დროს, სიღარიბე დასახელდა როგორც ყველაზე გადაუდებელი პრობლემა. ყველა პერსპექტიული გადაწყვეტილება ენერგო-ეფექტური ღუმელების, თბო-იზოლაციისა და ალტერნატიული საწვავის შექმნასთან დაკავშირებით, განიხილებოდა მხოლოდ ფასთან მიმართებაში.

როგორც ადრე აღინიშნა, სიღარიბის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არის უმუშევრობის მაღალი დონე ქვეყანაში. ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, მოსახლეობის 12.7% უმუშევარია, მაგრამ ნამდვილი რიცხვები უფრო მაღალია, რადგან ისინი, ვისაც ნაკვეთები აქვთ, ითვლებიან დასაქმებულებად (საქსტატი, 2019). 2014 წლის აღწერის თანახმად, დასაქმებული მამაკაცების მხოლოდ 36.3% და დასაქმებული ქალების 28.6% არიან დაქირავებული მუშაკები (ჰაკკერტ და სუმბამე, 2017). ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას შორის უფრო მეტი მამაკაცია 63% დასაქმებული, ვიდრე ქალი (51%) (საქსტატი, 2018). 2018 წელს, სამუშაო ძალაში ქალებისა და მამაკაცების შეფარდება იყო 73.4% უფრო მაღალი ვიდრე მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელი, რომელიც 67.3%-ია (მსოფლიო ბანკი, 2018 ა).

მოსახლეობისა 23%-ზე მეტი არაფორმალურადაა დასაქმებული. ამ მიმართულებით მამაკაცებიც და ქალებიც თანაბრად არიან ჩართულები. არაფორმალური დასაქმება უფრო ფართოდაა გავრცელებული სოფლებში, ვიდრე ურბანულ არეალში. უმრავლესობა (60%) მუშაობს სოფლის მეურნეოში, 23% უზრუნველყოფს სხვადასხვა მომსახურებას, 8%, უმეტესად მამაკაცები, დაკავებულნი არიან შეკეთებითი სამუშაოებით, 7%, უმეტესად ქალები, დაკავებულნი არიან საშინაო საქმეებით და 6% დასაქმებულები არიან გაყიდვების სფეროში (UNWOMEN, 2018b).

გენდერული ნიშნით სახელფასო განსხვავება შეიძლება ითქვას, დიდია და 2017 წლის მონაცემებით აღწევს 437 ლარამდე, მამაკაცები გამოიმუშავენ საშუალოდ 1197 ლარს, განსხვავებით ქალებისა, რომლებიც გამოიმუშავენ 770 ლარს. განსხვავება შემოსავლებში გამოთვლილია ორივენიური დაყოფით - ჰორიზონტალური და ვერტიკალური სეგრეგაციით. ჰორიზონტალური სეგრეგაცია არის ქალების მიერ, ტრადიციულად ქალების პროფესიების არჩევანის შედეგი, იმ პროფესიებისა, რომელიც ყველაზე დაბალ ანაზღაურებადია. ქალებს უმეტესად შეხვდებით ისეთ პროფესიებში, როგორცაა საბუნებისმეტყველო და ჯანდაცვის სფეროები; სწავლება ან ასოცირებული პროფესიონალები; ასევე დასაქმებულნი არიან მომხმარებელთა მომსახურების მიმართულებით. მამაკაცები უმეტესად დასაქმებულნი არიან შეიარაღებულ ძალებში; ისინი არიან კანონმდებლები, ზოგადი ტიპის მენეჯერები, ფიზიკის, მათემატიკისა და ინჟინერიის მეცნიერებათა პროფესიონალები ან ასოცირებული პროფესიონალები. 2015

წელს, ქალების 47,2% დასაქმებულნი იყვნენ სამ სექტორში - ჯანდაცვა, განათლება და კულტურა (მსოფლიო ბანკი, 2018 ბ).

ყველა პროფესიაში ასევე სახეზეა ვერტიკალური სეგრეგაცია, რაც გამოიხატება იმით, რომ ქალები უფრო მეტად არიან დასაქმებულნი დაბალ პოზიციებზე, ვიდრე მამაკაცები და შესაბამისად, გამოიმუშავენ უფრო ნაკლებს. მაგალითად სამედიცინო პერსონალის 65%-ს ქალები წარმოადგენენ, მაგრამ ჩვეულებრივ, იშვიათად იკავებენ მაღალ მმართველ პოზიციებს და ამგვარად კარგად ანაზღაურებად პოზიციებს. (საქსტატი, 2018).

დასაქმებული ქალები ხშირად ატარებენ ორმაგ ტვირთს, ვინაიდან მათ უნდა შეასრულონ როგორც სამსახურებრივი მოვალეობები, ისე საშინაო საქმეები. შრომის კოდექსი საქართველოში ხშირად გაკრიტიკებულია იმის გამო, რომ ის არ პასუხობს საერთაშორისოდ მიღებულ სტანდარტებს. ანაზღაურებადი სადეკრეტო შვებულება ითვლის 126 დღეს (შრომითი კოდექსი, მუხლი 27). დამატებით, მშობლების საშვებულებო პერიოდი ითვლის მინიმუმ 2 კვირას ყოველწლიურად, მაქსიმუმ 12 კვირას, სანამ ბავშვი არ გახდება 5 თვის და შესაძლებელი გახდება მისი დატოვება ნებისმიერი სქესის მომვლელთან. კანონი არ უზრუნველყოფს რაიმე სახის სამსახურებრივ გარანტიას ფეხმძიმე ქალბატონებისათვის, რომ დამსაქმებელმა არ გაათავისუფლოს ისინი სამუშაო ადგილიდან, რაც აიძულებს ქალს, თავი შეიკავოს დეკრეტული შვებულებისგან. კერძო სექტორში დეკრეტული შვებულების უზრუნველყოფა დამსაქმებლის კეთილგონიერებაზეა დამოკიდებული. სახელმწიფო უზრუნველყოფს მხოლოდ ერთჯერად გადახდას, 1000 ლარის ოდენობით.

სოფლის მეურნეობა წარმოადგენს დასაქმების ყველაზე დიდ სექტორს, რადგან დაახლოებით 43.4% ქვეყნის ტერიტორიისა გამოყოფილია სასოფლო სამეურნეო მიწებად. ეს დასაქმებს აქტიური მოსახლეობის 50.9%-ს, საიდანაც 54.1% ქალია. თუმცა, ქალები უფრო მეტად ჩართულნი არიან დაბალი დამატებითი ღირებულებისა და მცირე მასშტაბიანი სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში. (UNWOMEN, 2018c). პროგრამის ფარგლებში „წარმოე საქართველო“ საგრანტო ბენეფიციარების დაახლოებით 40% ქალები არიან, მაგრამ ეს ეხება მხოლოდ მცირე და საშუალო ბიზნესებს (SME). ფართომასშტაბიანი გრანტის ბენეფიციარებს შორის კი ქალები არ არიან. გენდერული თანასწორობის საკითხები არ არის ასახული რეგიონალური განვითარების 2017-2021 წლების სტრატეგიაში და არ არის დეტალიზებული საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიაში.

დაინტერესებულ მხარეთა კონსულტაციებმა აჩვენა, მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობა საუბრობს ქალთა ეკონომიკურ აქტივობებზე ბოლო წლების განმავლობაში, და რომ ბევრ შინამეურნეობაში შემოსავალს ძირითადად ქალები გამოიმუშავენ, მამაკაცებიც ჯერ კიდევ რჩებიან მთავარ ძალად შემოსავლის გამოიმუშაებაში. მთავარი ეკონომიკური აქტივობები შესწავლილ რეგიონებში ეხება: სოფლის მეურნეობას, მეცხოველეობას, მომსახურების სფეროს და საჯარო ინსტიტუციებში დასაქმებას. ბევრი ქალი დასაქმებულია ისეთ საჯარო ინსტიტუტებში, როგორცაა სკოლები, ბაღები და მუნიციპალიტეტები.

მცირე მასშტაბიანი სოფლის მეურნეობა და ფერმერობა წარმოადგენს მთავარ შემოსავლისა და საარსებო წყაროს ადგილობრივი მოსახლეობისთვის. გურიაში, ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს სეზონური სამუშაოები თურქეთში. კახეთში ღვინის წარმოება, მარცვლეულისა და მზესუმზირის მოსავლის აღება, ასევე მეცხოველეობაა შემოსავლის

მთავარი წყარო. აგრეთვე, ვენახები, რაც ასოცირდება ტურისტული აქტივობების განვითარებასთანაც. ღვინის გზა - ვენახების ქსელი, ხშირად მასთან დამატებული რესტორნები და ე.წ. გესტჰაუსები - ტურისტულად გამორჩეულად მიმზიდველია, განსაკუთრებით შემოდგომაზე. თუ ღვინის წარმოებაში უფრო მეტი მამაკაცია ჩართული ვიდრე ქალი, საპირისპირო შემდეგ ითქვას ჰოსპიტალურ ბინზესზე, რომელიც უფრო მეტად ქალების ხელშია.

ყველა ტიპის სასოფლო სამეურნეო სამუშაოებსა და მეცხოველეობაში, ქალებიცა და მამაკაცებიც თანაბრად არიან ჩართულები. მიუხედავად ამისა, საქმიანობის უმრავლესობა გენდერულ ხასიათს ატარებს. მეცხოველეობის ფერმებში მამაკაცები დაკავებულები არიან მენახიერებით და თივის დამზადებით, მაშინ როცა ქალების მოვალეობა უფრო მეტად რძის პროდუქტების წარმოებაა. სოფლის მეურნეობაში, მექანიკური სამუშაოები მთლიანად მამაკაცების მიერ სრულდება, ხოლო ქალებს ევალებათ მიწის გათოხნა. როგორც მამაკაცები, ისე ქალები დაქირავებულნი არიან დღიურად. აქ უმეტეს შემთხვევაში სამუშაოები ასევე გენდერულად დიფერენცირებულია. ყველა რეგიონში არსებობს მუშათა ორგანიზებული გუნდები. კახეთში არსებობს როგორც ქალების, ისე მამაკაცების და ისე შერეული გუნდები. გურიაში კი უმეტესად ქალებისა და კაცების შერეული ჯგუფებია ჩამოყალიბებული. გუნდები კარგადაა ორგანიზებული, უზრუნველყოფენ კონტრაქტებსა და ტრანსპორტირბას. ქალების გუნდებს ძირითადად ქალები ხელმძღვანელობენ. ანაზღაურება კაცებისთვისაც და ქალებისთვისაც თანაბარია, თუმცა ანაზღაურების ოდენობა დამოკიდებულია დავალების ტიპზე. ანაზღაურება მერყეობს 30-50 ლარამდე გურიასა და კახეთში. ღვინის ქარხნებში დასაქმებული ქალები ბოთლებისათვის იარლიყების მიკვრასა და მსგავს სამუშაოებს ასრულებენ.

გურიაში, მთავარი მოსავალი სიმინდია. თხილი წარმოადგენდა რეგიონის მთავარ საიმპორტო პროდუქტს, მაგრამ ბოლო წლებში თხილის პლანტაციები დაავადებებმა გაანდაგურა. გურიიდან ბევრი ქალი მუშაობს ფოთის საკერავ ქარხნებში, სადაც ისინი ყოველ დღე მიდიან. სულ 200 ქალია დასაქმებული ოზურგეთის საკერავ ქარხანაში სადაც ცნობილი ბრენდები იკრება.

უმუშევრობა წარმოაგენს მთავარ პრობლემას როგორც ქალებისთვის ისე მამაკაცებისთვის მთელი ქვეყნის მასშტაბით - იგივე ითქმის სამიზნე რეგიონებზეც. ეს კი ხელს უწყობს მოსახლეობის როგორც საქართველოს რეგიონებს შორის, ისე საზღვარგარეთ მიგრაციას. ამ მხრივ, მთიან სოფლები განსაკუთრებული საფრთხის წინაშეა, მაგ. მცხეთა-მთიანეთის რეგიონში 289 სოფლიდან 50 გაუდაბნოებულია, დამატებით 50 სოფელში კი მოსახლეობა 10 ადამიანს არ აჭარბებს.

ჯანმრთელობა

ქალთა სიცოცხლის ხანგრძლივობა საქართველოში აჭარბებს მამაკაცთა სიცოცხლის ხანგრძლივობას 8.6 წლით. – 2014 წლის მიხედვით, ქალებისთვის ეს არის 77.2 წელი და 68.6 წელი არის მამაკაცებისთვის. ქალები 65 წელს გადაცილებული ადამიანების 62,2% შეადგენენ საქართველოში.

საერთო ჯამში, მამაკაცების 40% და ქალების 25% მათ ჯანმრთელობის მდგომარეობას აფასებენ როგორც კარგს ან ძალიან კარგს - წარმომადგენლობით კვლევაში (CRRC, 2018), თუმცა წილობრივად, რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე ადამიანებს შორის, უფრო მეტი მამაკაცია (2.8%) ვიდრე ქალი 2.4% (Hakkert & Sumbadze, 2017).

როგორც ამას ცხრილი 5 გვიჩვენებს, სამიზნე რეგიონებში შეზღუდული შესაძლებლობების მაჩვენებელი მაღალია. გურიაში 3.4 % მამაკაცებისა და 3.1% ქალებისა, კახეთში 3.1% მამაკაცებისა და ქალების 2.5% და მცხეთა-მთიანეთში 3.1% მამაკაცებისა და 2.6% ქალებისა რეგისტრირებულნი არიან შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსით.

ცხრილი 5: ადამიანები ოფიციალურად აღიარებული შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსით სქესისა და რეგიონის მიხედვით

რეგიონი	მოსახლეობა მამაკაცები	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მამაკაცები	%	მოსახლეობა ბაქალები	შშმ ქალები	%
თბილისი	502,890	11,115	2.2	605,827	10,986	1.8
აჭარა	162,928	4,104	2.5	171,025	4,319	2.5
გურია	54,660	1,886	3.4	58,690	1,822	3.1
იმერეთი	258,598	9,691	3.7	275,308	8,954	3.2
კახეთი	156,154	4,886	3.1	162,429	4,067	2.5
მცხეთა-მთიანეთი	47,645	1,469	3.1	46,928	1,224	2.6
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	15,584	887	5.7	16,505	935	5.7
სამეგრელო-ზემო სვანეთი	159,070	4,779	3.0	171,691	4,572	2.7
სამცხე-ჯავახეთი	78,521	2,113	2.7	81,983	1,849	2.3
ქვემო ქართლი	208,532	3,685	1.8	215,454	3,355	1.6
შიდა ქართლი	128,282	4,454	3.5	135,100	3,789	2.8
საქართველო	1,772,864	49,069	2.8	1,940,940	45,872	2.4

წყარო: გამოთვლილია 2014 წლის მოსახლეობის ზოგად აღწერის საფუძველზე

დედათა გარდაცვალება კვლავ რჩება პრობლემად. 2013 წელს მსოფლიო ბანკის შეფასებებმა უჩვენა, რომ ყოველ 100 000 დაბადებულ ბავშვზე 23 დედა გარდაიცვალა (საერთაშორისო გამჭვირვალობა, 2016)

განათლება

საქართველოს განათლებასთან დაკავშირებით კარგი მონაცემები აქვს. გოგონებო საბაზისო დონის განათლების მქონე პირთა 47% და უმაღლესი განათლების მქონე პირთა 49%

შეადგენენ - გოგონების აკადემიურ მოსწრება უფრო მაღალია ვიდრე ბიჭების ეროვნული გამოცდების თითქმის ყველა საგანში, მათ შორის საბუნებისმეტყველო, ტექნოლოგიურ, საინჟინრო და მათემატიკურ (STEM) საგნებში. გოგონებისა და ბიჭების წილი ერთნაირია პროფესულ განათლებასა და ტრენინგებშიც, მაგრამ გოგონები შეადგენენ უნივერსიტეტის სტუდენტების უმრავლესობას 54%-ით.

ოჯახური ძალადობა და ადრეული ქორწინება

ოჯახური ძალადობა და ადრეული ქორწინება წარმოშობს ბარიერებს ჯანდაცვის და განათლების კუთხით, რაც უფრო დიდი მასშტაბით ქმნის პორბლემას ქალებისთვის, ვიდრე მამაკაცებისთვის. ოჯახურ ძალადობას პრობლემად მოსახლეობის დაახლოებით 81% მიიჩნევს, ხოლო ადრეულ ქორწინებას 72%. (NDI, 2018). ოჯახური ძალადობის შემთხვევები მაღალია და 2015 წლიდან ნაჩვენებია ამ რიცხვის 50%-ით მატება, თუმცა ზოგიერთი ექსპერტი ამას ხსნის არა ინციდენტების მომატებული რაოდენობით, არამედ ინციდენტების შესახებ გაცხადების გაზრდილი პროცენტით. ოჯახური ძალადობისა და გენდერული ნიშნით ძალადობის ინციდენტების მაჩვენებელი პასუხობს გლობალურ და რეგიონულ საშუალო მაჩვენებელს (მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, 2013). 2017 წელს, 3,599 ქალი და 497 მამაკაცი დარეგისტრირდნენ როგორც ოჯახური ძალადობის მსხვერპლნი და 393 ქალი და 3,492 მამაკაცი როგორც მოძალადეები (IDIF, 2019).

საქართველოს რეგიონები განსხვავდება ოჯახური ძალადობის ინციდენტების გაცხადების კუთხით. 2013-2018 წლებში, ყველაზე მცირე რიცხვი ინციდენტებისა დარეგისტრირდა გურიაში, მაშინ როდესაც სხვა სამიზნე რეგიონში კახეთში, ეს რიცხვი იყო ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ქვეყანაში. როდესაც ინციდენტების რიცხვები გამოთვალეს მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, კახეთმა ამ სიაში მეორე ადგილი (0.25%) დაიკავა, ხოლო მცხეთა-მთიანეთმა მესამე (0.24%), დარეგისტრირებული ინციდენტების წილობრივი განაწილების მიხედვით. მაშინ როდესაც გურიაში ეს რიცხვი ერთ-ერთი ყველაზე პატარაა. (0.16%).

ცხრილი 6: ოჯახური ძალადობის ინციდენტების რიცხვი 2013-2018 წლებში რეგიონების მიხედვით

რეგიონი	ინციდენტების რაოდენობა	მოსახლეობა	%
სამცხე-ჯავახეთი	421	160,504	0.26
კახეთი	784	318,583	0.25
მცხეთა-მთიანეთი	231	94,573	0.24
იმერეთი და რაჭა-ლეჩხუმი	1166	565,995	0.21
შიდა ქართლი	527	263,382	0.20
აჭარა	648	333,953	0.19
გურია	187	113,350	0.16
ქვემო ქართლი	702	423,986	0.16
თბილისი	1779	1,108,717	0.16
სამეგრელო-ზემო სვანეთი	340	330,761	0.10

რეგიონი	ინციდენტების რაოდენობა	მოსახლეობა	%
საქართველო	6,785	3,713,804	0.18

წყარო: გამოთვლილია IDFI და UNFPA მონაცემებზე დაყრდნობით

მიუხედავად ამისა, ოჯახური ძალადობის ინციდენტები გაცილებით მეტია, ვიდრე ოფიციალურად რეგისტრირებული რიცხვი. 2017 წელს ჩატარდა ეროვნული დონის კვლევა, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ, რომელმაც გამოავლინა, რომ ყოველი მეშვიდე ქალიდან ერთი ქალი სექსუალური ძალადობის ქვეშა მთელი ცხოვრების განმავლობაში. კვლევა მიუთითებს რომ ქალები და მამაკაცები ურთიერთობებში ქალეთა მიმართ ფიზიკური ძალადობისადმი მაღალ შემგუებლობას იჩენენ. ისევე როგორც ქალების ერთ მეოთხედს (22%) და მამაკაცების ერთ მესამედს (31%) ჯერა, რომ ცოლის ცემა გამართლებულია, სულ მცირე გარკვეულ პირობებში. უფრო მეტიც, ყველა ქალის თითქმის ერთ მეოთხედს (23%) და მამაკაცების თითქმის ნახევარს (42%) ჯერა, რომ ცოლი უნდა ემორჩილებოდეს ქმარს, მიუხედავად იმისა ეთანხმება თუ არა ის მას. (UNWOMEN, 2018).

მსოფლიო ბანკის კვლევამ გენდერული ნიშნით ძალადობის შესახებ საქართველოში (მსოფლიო ბანკი 2017) დაადგინა ოჯახური ძალადობის მიმართ მოწყვლადი ჯგუფები. სხვებთან შედარებით, ქალები, რომლებიც 18 წლამდე ასაკში დაქორწინდნენ, უფრო მეტად იტანჯებიან ემოციური, სექსუალური და ფიზიკური ძალადობით. ანალიზმა აჩვენა, რომ რესპოდენტები დასტრესილი პარტნიორებით, რომლებიც არიან უმუშევრები ან სვამენ და სახლში არ რჩებიან, ადასტურებენ უფრო მაღალი დონის ძალადობას. ქალების ნახევარზე მეტმა განაცხადა, რომ მათ არ ქონდათ პირადი შემოსავალი, განსხვავებით მამაკაცებისგან, რომელთა მეოთხედზე ნაკლებს აქვს ეს პრობლემა. მამაკაცები ასევე აკონტროლებენ უმეტეს საოჯახო აქტივებს. იმ შემთხვევებშიც კი, სადაც ქალები არიან ქონების კანონიერი მფლობელები, ხშირად, მამაკაცები აკონტროლებენ დოვლათს. ქალები ხშირად განიცდიან სამუშაო უნარების ან კავშირების შექმნის შესაძლებლობების ნაკლებობას, რათა იპოვონ სამსახური და მიაღწიონ ეკონომიკურ დამოუკიდებლობას. ეს მათ ხდით მეუღლეებზე დამოკიდებულებს. მაშასადამე მათ არ შეუძლიათ იოლად გააცხადონ ძალადობრივი ქცევა, მათი ეკონომიკური გადარჩენის გარისკვის გარეშე.

კიდევ ერთი დაბრკოლება ადამიანური კაპიტალის განვითარებაში არის ადრეული ქორწინება. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2015 წელს, 611 ბავშვთა ქორწინება დარეგისტრირდა. 2016 წელს, ამ რიცხვმა მხოლოდ 5-ით დაიკლო. ასევე შემცირდა იმ მშობლების რიცხვიც, რომლებიც ჯერ კიდევ არასრულწლოვანები იყვნენ ბავშვის დაბადებისას და მისი რეგისტრაციისას. ამ რიცხვმა 1,449-დან (2015 წ) 2016 წელს 1278-მდე დაიკლო. თუმცა მცირეწლოვანი მშობლების ეს რიცხვი მნიშვნელოვნად აჭარბებს ადრეული ქორწინების რიცხვს, რაც ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ ეს მოვლენა გრძელდება, მაგრამ ქორწინებები არ რეგისტრირდება, კანონით განსაზღვრული შეზღუდვების გამო. კანონით დადგენილი მინიმუმი ასაკი ქორწინებისთვის არის 18 წელი. სამოქალაქო კოდექსის 1108-ე მუხლში 2015 წელს შეტანილი ცვლილება ამტკიცებს, რომ თუ პიროვნება არის 18 წელზე ახალგაზრდა, ქორწინებისთვის საჭიროა სასამართლო გადაწყვეტილება.

ადრეული ქორწინება უარყოფითად ახდენს გავლენას დედებისა და ახალშობილების ჯანმრთელობაზე. ის ასევე ზღუდავს ქალთა განათლებას და ამგვარად, ზღუდავს მისი შანსებს დასაქმებასა და კეთილდღეობაში. ადრეული ქორწინება ძალიან ხშირად სრულდება სკოლის მიტოვებით. 2015 წელს, 13-17 წლის ასაკობრივი ჯგუფის 408 მოსწავლემ დატოვა სკოლა ქორწინების გამო. ქორწინების მიზეზით სკოლიდან გამოდგება უფრო ხშირია გოგონებს შორის ვიდრე ბიჭებს შორის. მაშინაც კი, როდესაც დაქორწინებულ გოგონებს სურთ სასკოლო განათლების გაგრძელება, ისინი ეჯახებიან წინააღმდეგობებს, ვინაიდან მათი თანაკლასელების მშობლები აპროტესტებენ და აცხადებენ, რომ არ სურთ მათი შვილები გათხოვილ ქალთან ერთად ისხდნენ კლასში. (სუმბაძე 2015)

კვლევებში, როგორც ზემოთ აღინიშნა, გამოჩნდა, რომ ადრეული ქორწინება ხშირად ხდის ქალებს ოჯახური ძალადობის მიმართ მოწყვლადს (მსოფლიო ბანკი, 2017). ადრეული ქორწინებები ფესვადგმულია ადათებსა და ტრადიციებში, რაც მჭიდროდაა დაკავშირებული რელიგიასა და ეთნიკურობასთან. UNFPA (2014c) დაადგინა, რომ ქვემო ქართლის რეგიონში, დაქორწინებული აზერბაიჯანელი ქალების 32% დაქორწინებულია 18 წლამდე, ხოლო 5% დაქორწინდა 13-14 წლის ასაკში და 16% - 15-16 წლის ასაკში. როგორც მერვე ცხრილიდან ჩანს, კახეთსა (12.4%) და გურიაში (10.2%) 18 წლამდე დაქორწინებული გოგონების რიცხვიც საკმაოდ მაღალ წილს იკავებს (Hakkert & Sumbadze, 2017)

ცხრილი 7: 15-17 წლის გოგონათა ქორწინების პროცენტობა რეგიონის, დასახლების არეალისა და კავშირის ტიპის მიხედვით (ყველა ქორწინება და მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინება)

რეგიონი	უბრანული		არაუბრანული		სულ	
	სულ	რეგისტრირებული	სულ	რეგისტრირებული	სულ	რეგისტრირებული
თბილისი	2.6	0.8	8.8	2.3	2.7	0.9
აჭარა	9.9	4.5	8.8	4.7	9.4	4.6
გურია	9.6	2.9	10.5	4.1	10.2	3.7
იმერეთი	5.7	2.0	8.2	3.0	6.9	2.5
კახეთი	9.0	1.7	13.5	4.1	12.4	3.5
მცხეთა-მთიანეთი	3.2	0.6	5.0	0.9	4.5	0.8
რაჭა-ლეჩხუმ- ქვემო სვანეთი	2.5	1.3	3.4	0.4	3.1	0.6
სამეგრელო-ზემო სვანეთი	6.4	2.9	8.6	3.6	7.7	3.3
სამცხე-ჯავახეთი	4.9	1.3	6.8	2.6	6.2	2.2
ქვემო ქართლი	6.0	1.2	20.8	6.4	14.4	4.2
შიდა ქართლი	4.1	1.7	7.9	2.2	6.3	2.0
საქართველო	4.4	1.5	10.9	3.8	7.1	

წყარო: Hakkert & Sumbadze, 2017

მთავარი აღმოჩენები პროექტისთვის

- სიღარიბე არის მთავარი პრობლემა ქვეყანაში, რადგან ერთი მესამედი მოსახლეობისა ცხოვრობს დღიურ 2.5 დოლარზე ნაკლები შემოსავლით.
- სიღარიბის მთავარი მიზეზია უმუშევრობა. უმუშევრობა მამაკაცებში უფრო მეტია, ვიდრე ქალებში.
- სოფლის მეურნეობა წარმოადგენს დასაქმების ყველაზე დიდ სექტორს.
- ქალები ატარებენ უფრო მეტ დროს სასოფლო სამეურნეო სამუშაოებში ვიდრე მამაკაცები, თუმცა მამაკაცები არიან უფრო მეტად ჩართულნი დამატებითი ღირებულების ჯაჭვში, მაშინ როცა ქალები უფრო დაკავებულნი არიან საყოფაცხოვრებო/საარსებო სამუშაოებით ფერმაში.
- სასოფლო სამეურნეო ამოცანების უმრავლესობა გენდერული ხასიათისაა.
- ხელფასების გენდერული ნიშნით განსხვავება შეადგენს 427 ლარს და აიხსნება ჰორიზონტალური და ვერტიკალური გენდერული დაყოფით.
- ქალების სიცოცხლის ხანგრძლივობა 8.6 წლით მეტია მამაკაცის სიცოცხლის ხანგრძლივობაზე. ქალები შეადგენენ 65 წელს გადაცილებული ადამიანების 62.2%
- ქალებს აქვთ ოდნავ უკეთესი საგანმანათლებლო მიღწევები ვიდრე მამაკაცებს.
- ოჯახური ძალადობა და ადრეული ქორწინება არის მთავარი წინააღმდეგობა ადამიანური კაპიტალისთვის - ისინი უფრო ხშირია და უფრო მძიმე შედეგები მოაქვს ქალებისთვის ვიდრე მამაკაცებისთვის.

8. Covid-19-ის გავლენა ქალებსა და გოგონებზე საქართველოში

2020 წლის დასაწყისში დაწყებულმა კოვიდ-19-ის პანდემიამ ძლიერ იმოქმედა საქართველოს ეკონომიკაზე, ისევე როგორც მოსახლეობის საარსებო პირობებზე (სხვა ზემოქმედებებთან ერთად): ეკონომიკური ვარდნა და სამუშაო ადგილების კარგვა, ბაზრის დინამიკის შეცვლა, მიწოდების ჯაჭვების მოშლა, უთანასწორობის ზრდა, მობილობის და მომსახურებების ხელმისაწვდომობის შემცირება. (UNICEF, 2020; KfW, 2020; მსოფლიო ბანკი, 2020a; ADB, 2020). ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდა 2020 წელს COVID-19-ის პანდემიის გაჩენის შემდეგ და მოსალოდნელია, რომ სიღარიბე გაიზრდება თითქმის 3%-ით (მსოფლიო ბანკი, 2020b). ისეთ სექტორებზე, როგორცაა ტურიზმი, პანდემიას დამანგრეველი ზემოქმედება ჰქონდა, მაგალითად, შიდა და საერთაშორისო ტურიზმმა განიცადა 80-90%-იანი ვარდნა 2019 წელთან შედარებით (საქართველოს ტურიზმის ეროვნული ასოციაცია).

პანდემია შეეხო როგორც მამაკაცებს, ასევე ქალებს. გლობალურად, კვლევებმა აჩვენა, რომ ქალები განსაკუთრებით დაზარალდნენ მოვლის სამუშაოების გაზრდის, სამუშაოს დაკარგვის და სხვა ფაქტორების გამო, რამაც გამოიწვია ქალების მიერ \$800 მილიარდ დოლარზე მეტი შემოსავლის დაკარგვა (Oxfam International, 2021). ეს მაჩვენებელი არ

ითვალისწინებს არაფორმალურ სექტორს, სადაც ქალები ხშირად არიან დასაქმებული. Oxfam International-ის (2021) აღმასრულებელი დირექტორი აღნიშნავს, რომ „COVID-19-ის პანდემიის ეკონომიკური შედეგები უფრო ძლიერ გავლენას ახდენს ქალებზე, რომლებიც არაპროპორციულად არიან წარმოდგენილი დაბალ ხელფასების, მცირე შეღავათების და ნაკლებად უსაფრთხო სამუშაო პირობების მქონე სექტორებში“.

საქართველოში პანდემიის გენდერულად დიფერენცირებული ზემოქმედება ბოლომდე არ არის გარკვეული. მუნიციპალიტეტებში გამოკითხულები არ ფლობდნენ ინფორმაციას ზემოქმედების სრული მასშტაბის შესახებ. ჩატარდა რამდენიმე კვლევა პოტენციური ზემოქმედების დასადგენად და ზოგიერთი წინასწარი დასკვნა შემდეგია:

- სამუშაოების დაკარგვა ან საათების შემცირება: UN Women-მა (2020)² დაადგინა, რომ მამაკაცებისა და ქალების დაახლოებით 30%-მა დაკარგა სამსახური, ხოლო 33%-ს შეუმცირდა საათები (მამაკაცებისა და ქალების შედეგები მსგავსი იყო). მან ასევე გამოავლინა, რომ ეთნიკურ უმცირესობებზე პანდემია განსაკუთრებით უარყოფითად აისახა, ეთნიკური უმცირესობის ქალებისა და მამაკაცების 53%-მა განაცხადა, რომ დაკარგა სამსახური (გენდერული განსხვავებები არ იყო მნიშვნელოვანი). კვლევამ ასევე დაადგინა, რომ სოფლის მაცხოვრებელ რესპონდენტთა 78% შიშობს, რომ ვერ გაუმკლავდება ყოველდღიურ ხარჯებს პანდემიის გამო, განსაკუთრებით ეკონომიკის შენელებისა და ადგილობრივ ეკონომიკაზე „ლოქდაუნის“ ზემოქმედების გამო. საქართველოში ჩატარებულმა მაღალსიხშირულმა კვლევამ (2020 წლის დეკემბერი) აჩვენა, რომ 2020 წლის მარტში გამოკითხული ოფიციალურად დასაქმებული პირების 42% უმუშევარი იყო, საიდანაც 50% იყო ქალი და 35% მამაკაცი (GHFS 2020 მსოფლიო ბანკში, 2021 წ.).
- გაზრდილი საშინაო სამუშაო: როგორც ქალებმა, ასევე მამაკაცებმა განაცხადეს, რომ მათი არაანაზღაურებადი საშინაო სამუშაოები გაიზარდა პანდემიასთან ერთად, ქალების 42% და მამაკაცების 35% აღნიშნავდა, რომ მეტ დროს ხარჯავდა მინიმუმ ერთ დამატებით საშინაო საქმეზე. ქალები ხშირად პასუხისმგებელი არიან ბავშვებზე ზრუნვაზე, სახლში სწავლებაზე და მოხუცებზე ზრუნვაზე და კოვიდის გამო უფრო მეტი მოთხოვნაა სახლში სწავლისა და კოვიდ- ან ქრონიკული ავადმყოფების ოჯახის წევრებზე ზრუნვაზე.
- დაბალი ხელმისაწვდომობა დასაქმებულთა დაცვაზე: ქალები უფრო მეტად არიან წარმოდგენილი არაფორმალურ სექტორებში და ნაკლები ფორმალური დაცვა აქვთ სოციალური და შრომის კანონებით (მსოფლიო ბანკი, 2020).
- შემცირებული ხელმისაწვდომობა საჯარო მომსახურებებზე: ბევრ მომსახურებასა და საქონელზე წვდომა შეიზღუდა მიწოდების პრობლემის გამო, მათ შორის სამედიცინო მარაგებზე და სამედიცინო მკურნალობაზე ხელმისაწვდომობაზე (მაგ., კოვიდ-19-ით დაინფიცირების შიშის გამო გადადებული ვიზიტები ან პერსონალის შესაძლებლობების შემცირება). ეს განსაკუთრებით გამოკვეთილი იყო სოფლად,

² გაეროს კვლევა UN Women (2020) კოვიდ-19-ის პანდემიის შედარებით ადრეულ ეტაპზე ჩატარდა, 2020 წლის მაისში, საქართველო განსაკუთრებით დაზარალდა კოვიდის მეორე ტალღით 2020 წლის ბოლოს/2021 წლის დასაწყისში.

სადაც იმ რესპონდენტთა 36%-ი, რომლებსაც ესაჭიროებოდათ სამედიცინო დახმარება, აღნიშნავდა სერვისებზე წვდომის სირთულეს (ქალაქის რესპონდენტთა 30%-თან და თბილისელ რესპონდენტთა 25%-თან შედარებით). ასევე მიიჩნეოდა, რომ სოფლის მაცხოვრებელი რესპონდენტები განსაკუთრებით დაუცველ მდგომარეობაში იყვნენ, გამოკითხულები აღნიშნავდნენ დამხმარე სერვისების ნაკლებობას (მათ შორის, სახელმწიფო ფინანსური დახმარება გათავისუფლებული თანამშრომლებისთვის).

- ოჯახში ძალადობის ზრდა: პანდემია დაკავშირებულია ოჯახში ძალადობის მატებასთან, თუმცა საქართველოსთვის სანდო სტატისტიკა არ არსებობს. UN Women (2020b) კვლევაში ოჯახში ძალადობის ზრდა მოხსენიებულია, როგორც "ჩრდილოვანი პანდემია". კომენდანტის საათი და გადაადგილების შეზღუდვები, რომლებიც მნიშვნელოვანია Covid-19-ის გავრცელების შესაჩერებლად, ზღუდავს ქალთა წვდომას მომსახურებებსა და დამხმარე ქსელებზე (Vaeza 2020). პანდემიასთან დაკავშირებული სტრესი, სამუშაოს დაკარგვა და ეკონომიკური არასტაბილურობა კიდევ უფრო ამძაფრებს ოჯახში ძალადობას. ზოგიერთ შემთხვევაში ქალთა არსებული თავშესაფრები და რესურსები გადატვირთულია მოთხოვნის ზრდის შედეგად (Vaeza 2020). საქართველოში ქალთა თავშესაფრები თბილისში აღნიშნავდნენ მათ სერვისებზე მოთხოვნის ზრდას და ხაზს უსვამდნენ დამატებითი თავშესაფრების გახსნის აუცილებლობას ქვეყნის სხვა ნაწილებში (მათ შორის, მცხეთა-მთიანეთში; აშშ-ს საელჩო, 2020 წ.).

ეს მხოლოდ რამდენიმე წინასწარი მოსაზრებაა კოვიდ-19-ის გავლენის შესახებ.

მთავარი აღმოჩენები პროექტისთვის

- Covid-19 კვლავაც დიდ გავლენას ახდენს საქართველოს მოსახლეობასა და ეკონომიკაზე. არსებობს დიფერენცირებული ზემოქმედებები მამაკაცებსა და ქალებზე, თუმცა ქალები განსაკუთრებულად განიცდიან საშინაო საქმეების ზრდას (და დროის სიმწირეს), მათ უფრო შეზღუდული წვდომა აქვთ ეკონომიკურ შესაძლებლობებზე, ვიდრე მამაკაცებს, და სამუშაო ადგილებს უფრო ხშირად ტოვებენ.
- ქალები ასევე განსაკუთრებულად განიცდიან ოჯახში ძალადობას, რომელიც გაიზარდა პანდემიის გამო.
- საჭიროა საქართველოში Covid-19-ის გენდერულად დიფერენცირებული ზემოქმედების უფრო დეტალური შეფასებები, რათა სრულად გავიგოთ ქალებსა და გოგონებზე ზემოქმედების მასშტაბები, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ პანდემია გრძელდება, კვლავაც მოქმედებს ქვეყანასა და მის მოსახლეობაზე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოციალურად დაუცველ ადამიანთა დიფერენცირებულ ჯგუფებს (მაგ. დევნილები, ეთნიკური უმცირესობები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ქვრივები და სხვა).
- სადაც შესაძლებელია, პროექტს შეუძლია გაავრცელოს ინფორმაცია (მაგ. ბროშურები) ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის ხელმისაწვდომი რესურსების შესახებ (მაგ. ინფორმაციის გაზიარება ამ თემაზე მომუშავე ორგანიზაციებისა და ინსტიტუტებისგან).

- პროექტმა ხელი უნდა შეუწყოს გენდერულად პასუხისმგებელ და თანასწორ მწვანე აღდგენას პანდემიიდან. კერძოდ, პროექტმა მხარდაჭერა უნდა გაუწიოს ქალებს, მათი ეკონომიკური მდგომარეობის გაძლიერებისთვის შესაძლებლობების ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად. ღონისძიებები შეიძლება მოიცავდეს: უნარების განვითარების, განათლებისა და ტრენინგის შესაძლებლობების გაძლიერებას; მნიშვნელოვანი გენდერული სარგებლის მქონე ღირებულებითი ჯაჭვების გაძლიერებას; მეწარმე ქალების და ქალთა ხელმძღვანელობაში არსებული ბიზნესების მხარდაჭერას მდგრადი ბიზნეს მოდელების გაძლიერებისა და დანერგვის მიზნით (სადაც შესაძლებელია, ასევე ტრენინგებს ფინანსური წიგნიერებისა და ბიზნეს უნარების განვითარებაზე), და სხვ. ამას თან უნდა ახლდეს გენდერული სენსიბილიზაცია, რათა გაიზარდოს ცნობიერება ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ბენეფიტების შესახებ და წახალისოს კაცები, მხარი დაუჭირონ ქალებს დროის სიმწირის შემცირებაში, საშინაო საქმეების გაზიარებით.

9. ტყისა და საწვავის მოხმარების გენდერულად სპეციფიკური მახასიათებლები

სტატიაში, რომელიც შეეხება საქართველოში სამუშაო ძალაში ქალთა მონაწილეობის ბარიერებს, აშშ-ს საელჩო (2018) აღნიშნავს, რომ „საზოგადოების, ან ოჯახის შეხედულებები ხელს უშლის ქალთა პოტენციურ როლს მდგრადი და პროდუქტიული საარსებო წყაროებს შექმნაში. გენდერული სტერეოტიპები იმ სამუშაოს ტიპების შესახებ, რომელიც ქალებმა და მამაკაცებმა „უნდა“ შეასრულონ, აბრკოლებს სტუდენტებს, წარმატებული კარიერა შეიქმნან არატრადიციულ სფეროებში. ნეგატიური გენდერული ნორმები და რწმენები აბრკოლებს გოგონებსა და ქალებს აირჩიონ ტრადიციულად მამაკაცების მიერ დომინირებული პროფესიები, ამის ნაცვლად ისინი ირჩევენ ქალებით დომინირებულ პროფესიებს, რომლებიც შეიძლება სულაც არ იყოს მომგებიანი. ეს განსაკუთრებით ეხება სატყეო სექტორს, სადაც ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილნი. ტყითმოსარგებლეები და მეტყევეები უფრო ხშირად მამრობითი სქესის წარმომადგენლები არიან, ხე-ტყის დამუშავებისა და სახერხი საამქროს საქმიანობების სფეროებშიც მამაკაცები დომინირებენ. ეკოტურიზმის აქტივობებში, რომლებიც ქალებისთვის არსებითად მეტი შესაძლებლობების მქონეა, ასევე გვხვდება გარკვეული პოზიციები (მაგ. მძღოლები, გიდები), რომლებშიც დომინირებენ მამაკაცები. ეს მოიცავს ქალთა არასაკმარის წარმომადგენლობას შესაბამის განათლებასა და ტრენინგებში (მაგ. უნივერსიტეტები და პროფესიული საგანმანათლებლო კოლეჯები), რაც კიდევ უფრო ზღუდავს, აღნიშნულ სექტორში, მათ სამუშაო ბაზარზე შესვლას. შემდეგ თავებში წარმოდგენილია აღნიშნული გენდერული სპეციფიკის მაგალითების მიმოხილვა.


ტყეთსარგებლობა ტყის არამერქნული პროდუქტებისთვის

ტყეებით სარგებლობენ როგორც მამაკაცები, ისე ქალები, მაგრამ განსხვავებული ინტენსივობითა და განსხვავებული მიზნით. მამაკაცები ტყეში უფრო ხშირად დადიან, ვიდრე ქალები და ისინი ამას აკეთებენ უფრო მეტად ეკონომიკური სარგებლისთვის. მაგ. საწვავი მერქნის და სამასალე მერქნის მოპოვებისთვის - არა მხოლოდ საყოფაცხოვრებო მოხმარებისთვის, არამედ კომერციული მიზნებისთვისაც. ხოლო თუ მამაკაცები ტყეს არამერქნული პროდუქტების შეგროვებისთვის იყენებენ, ისევ და ისევ კომერციული

მიზნით. არამერქნული პროდუქტებიდან ძირითადად აგროვებენ სოკოს, წაბლს, კაკალს, თხილს და დეკორატიულ მცენარეებს. ქალები თავს იკავებენ ტყეში სიარულისგან, ცხოველების თავდასხმის საფრთხის გამო. თუმცა იმ შემთხვევაში, თუ მიდიან, ისინი აგროვებენ მაცვალს, ჟოლოს, მოცვს, შინდს, „დანძილს“ - ველურ ნიორს, ასკილს და სამკურნალო მცენარეებს საყოფაცხოვრებო მოხმარებისთვის, მაგრამ ასევე კომერციული მიზნებითაც.

პროექტის შემუშავების პროცესში გამოკითხულმა დაინტერესებულმა მხარეებმა აღნიშნეს, რომ ქალებს და მამაკაცებს ტყით სხვადასხვანაირად სარგებლობის ტენდენცია ახასიათებთ. კაცები ხშირად იყენებენ ტყეს საწვავი ხე-ტყის, სამშენებლო მასალების მოსაპოვებლად და ეკონომიკურად

მომგებიანი ტყის არამერქნული პროდუქტების შეგროვებისთვის, ქალები კი ტყეებს ხშირად იყენებენ კენკრის, ხილისა და ბალახების შესაგროვებლად - ძირითადად საოჯახო მოხმარებისთვის, და ასევე გასაყიდად.



დაიგრამა 2. ტყის პროდუქტების შეგროვება ოჯახის წევრების მიერ

წყარო: ENPI East FLEG 2014

ეს ნაწილობრივ დადასტურებულია ტყეზე დამოკიდებულების კვლევით, თიანეთში ³ (ENPI East FLEG, 2014), რომელმაც დაადგინა, რომ ძირითადად მამაკაცები არიან პასუხისმგებელი შეშისა და პირუტყვის საკვების შეგროვებაზე. თუმცა, ქალები თანაბრად, ან უფრო მეტად არიან დაკავებული ტყის არამერქნული პროდუქტების შეგროვებით, როგორცაა კენკრა და ხილი (იხ. სურათი 2). კვლევა ასკვნის, რომ პროდუქტები, რომლებიც გამოიყენება საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის (შეშა, საკვები) შეგროვებულია მამაკაცების მიერ, ხოლო ქალები უფრო მეტად არიან ჩართული პროდუქტით (სასურსათო კულტურები) ვაჭრობაში.

დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრების დროს, მამაკაცებსა და ქალებს შორის არ გამოვლენილა მნიშვნელოვანი განსხვავებები ტყის არამერქნული პროდუქტების შეგროვებაში მათი ჩართულობის თვალსაზრისით. თუმცა, გამოკითხულებმა მიუთითეს, რომ ქალები ოდნავ უფრო მეტად არიან ჩართულები შეგროვების პროცესში, ვიდრე მამაკაცები, და რომ ერთის, ან მეორის ჩართულობის ხარისხი განისაზღვრება ოჯახის თითოეული წევრისთვის დროის ხელმისაწვდომობით. მთავარი განსხვავება მდგომარეობს ტყის არამერქნული პროდუქტების ტიპში და რამდენად ფიზიკურად მოთხოვნილია იგი. შედარებით ადვილად შესაგროვებელ პროდუქტს ძირითადად ქალები აგროვებენ (ველური

³ კვლევამ ჩაატარა ოჯახების გამოკითხვა თიანეთის მუნიციპალიტეტში, გამოიკითხა 200 ოჯახი ხუთ სოფელში.

ვარდები, კენკრა, სოკო და ა.შ.), ხოლო მამაკაცები ძირითადად ხეებიდან მოკრეფილი ტყის ხილის შეგროვებით არიან დაკავებულნი. ზოგიერთი გამოკითხული შემის მოხმარებას აღიქვამდა, როგორც გენდერულად მგრძობიარე თემას მოხმარებლის პერსპექტივიდან, რადგან ენერგოეფექტური ღუმელები, გათბობა, ან ცხელი წყალი გავლენას ახდენს ქალების ცხოვრების ხარისხზე. ძირითადად ქალები იყენებენ შემას და აკონტროლებენ მათ მოხმარებას. ამიტომ, მათი მტკიცებით, ქალთა კონტექსტი და საჭიროებები მოითხოვს შემდგომ კვლევებსა და ანალიზს, მითუმეტეს თუ ასევე გავითვალისწინებთ საქართველოში არსებულ მრავალფეროვან ადგილობრივ და რეგიონული კონტექსტს.

ზოგადად, ინტერვიუებმა აჩვენა, რომ ტყის არამერქნული პროდუქტების მოპოვებას მოსახლეობისთვის დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა არ აქვს. რესურსების გაყიდვის მიზნით შეგროვების შემთხვევები იშვიათია და მოსახლეობა მათ ძირითადად პირადი საჭიროებისთვის აგროვებს. ზოგიერთ შემთხვევაში სოფლებში/თემებში (კონკრეტული სეზონის განმავლობაში) მოდიან გადამყიდველები/შუამავლები და მოსახლეობისგან ყიდულობენ შეგროვებულ პროდუქტს. ერთი გამონაკლისი იყო თიანეთის მუნიციპალიტეტი, სადაც არსებობს ტყის არამერქნული პროდუქტების შედარებით მსხვილი შემგროვებელი, რომელიც აგროვებს პრაქტიკულად ყველა სახის ტყის რესურსს. ჩანს, რომ ტყის არამერქნული პროდუქტების შეგროვება უფრო მეტად მოსახლეობის ღარიბი ფენების საქმიანობაა.

ზოგიერთმა გამოკითხულმა, განსაკუთრებით არასამთავრობო ორგანიზაციებმა, აღნიშნეს, რომ ტყის არამერქნულ პროდუქტების, როგორც ქალთა ბიზნესის შესაძლებლობები არსებითად გამოუყენებელია, რადგან ბევრი ქალი უკვე აგროვებს ტყის არამერქნულ პროდუქტებს (მაგ., კენკრა, სოკო). თუმცა, არ უნდა ვივარაუდოთ, რომ ქალების მონაწილეობა ტყის არამერქნული პროდუქტების შეგროვებაში ავტომატურად მოგების მიღებას გულისხმობს. სექტორში, ყოველ შემთხვევაში პროფესიული ბიზნესის თვალსაზრისით, როგორც ჩანს, დომინირებენ მამაკაცები. შესაბამისად, პროექტმა უნდა მიიღოს ზომები ტყის არამერქნული პროდუქტების ღირებულებითი ჯაჭვის განვითარებაში თანაბარი მონაწილეობისა და შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად. ამგვარად, ამ პროცესებს თან უნდა დაერთოს მიზნობრივი ხელშემწყობი ზომები, რომლებიც გააძლიერებს ქალებს და ქალების მიერ მართულ მცირე და საშუალო საწარმოებს და აღმოფხვრის ხარვეზებს, რომლებიც აბრკოლებს მათ, სრული სარგებელი მიიღონ ტყის არამერქნული პროდუქტების მდგრადი გამოყენებისგან.

მეცხოველეობა

ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო მიწების 40 პროცენტი კახეთის რეგიონში მდებარეობს. სამოვრებისა და სათიბების მხრივ საქართველოში პირველია კახეთი, მას მოსდევს ქვემო ქართლი და სამცხე-ჯავახეთი. სამოვრების მართვა საქართველოში შედგება ნახევრად

მომთაბარე პასტორალიზმისა⁴ და არამომთაბარე პასტორალიზმისგან⁵. ბევრი ადამიანი იყენებს ტყეებს სამოვრებად, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კონფლიქტი ტყის მმართველებთან მეცხოველეობით გამოწვეული ტყის დეგრადაციის გამო. ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშრომლებმა გურიაში, აღნიშნეს შემთხვევები, როდესაც პირუტყვის უნებართვო მოვება ამცირებდა ტყის აღდგენის ეფექტურობას.

ინტერვიუებში ხაზგასმით აღინიშნა, რომ კაცები უფრო ხშირად არიან დაკავებული პირუტყვითა და მესაქონლეობით, ვიდრე ქალები. FAO (2018), ადასტურებს, რომ მამაკაცები უფრო მეტად არიან ჩართულნი პირუტყვის შესახებ ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებაში, ასევე პირუტყვის მოვლასა და მოვებაში. FAO ასევე აღნიშნავს, რომ ქალები ხშირად უფრო მეტ დროს უთმობენ პირუტყვს, ვიდრე მამაკაცები და მონაწილეობენ რძის მოპოვებისა და გადამამუშავების პროცესში. ამჟამად საქართველოში რძის წარმოება უფრო გავრცელებულია ვიდრე ხორცის.

საწვავის გამოყენება

მერქნის გამოყენება საწვავად ყველგან უნივერსალურია გათბობისთვის. იმისდა მიუხედავად აქვთ თუ არა გაზის მილი, საქართველოში მოსახლეობა გათბობისთვის საწვავ მერქანს იყენებს. ოჯახების დიდი უმრავლესობა ათბობს სახლის მხოლოდ ერთ ოთახს, სახლის სიდიდისა თუ ოჯახის სულადობის მიუხედავად. იშვიათ შემთხვევაში თბება სახლის ორი ოთახი. საჯარო შენობები ასევე თბება საშეშე მერქნით ან ბრიკეტებით,

⁴ ნახევრად მომთაბარე პასტორალიზმი/ პირუტყვის სეზონური გადარეკვა ახალ სამოვარზე ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაა საქართველოში. სისტემა ეფუძნება ბუნებრივი მდელოების მოქნილ და კლიმატზე ადაპტირებულ გამოყენებას - მაღალმთიან სამოვრებს ზაფხულში და დაბალ სამოვრებს (ხევებში და დაბლობებზე) ზამთარში. ცხვარი, ისევე როგორც პირუტყვი (განსაკუთრებით არამეწველი პირუტყვი) ალპურ სამოვრებზე მიჰყავთ ზაფხულში (მაისის ბოლოს), ხოლო დაბლობ ადგილებში, გამოსაზამთრებლად (ოქტომბრის შუა რიცხვებიდან). სამოვრების ათვისების ეს ნახევრად მოძრავი პრაქტიკა განსაკუთრებით მეცხვარეობისთვის არის დამახასიათებელი. მისი ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია ცხვრის სეზონური მიგრაცია კახეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე სამოვრებიდან (შირაქის ზამთრის სამოვრები) მაღალმთიან ალპურ სამოვრებზე (თუშეთში). ზამთრის სამოვრები გამოყენებულია როგორც მოძრავი, ასევე ადგილობრივი მეცხვარე ფერმერების/მწყემსების მიერ. ზაფხულში ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაა დასავლეთ საქართველოს რეგიონებში, სუბალპურ და ალპურ სამოვრებზე, პირუტყვის მოშენება. თუმცა, მიგრაციის მანძილი შედარებით მცირეა კახეთის მარშრუტთან შედარებით. მაღალმთიანი რეგიონების სოფლები იყენებენ უახლოეს ალპურ და სუბალპურ მდელოებს. მაღალმთიან მდელოებზე მოვება ინტენსიურია ზაფხულის დასაწყისიდან შემოდგომამდე. საზაფხულო ალპურ სამოვრებზე ძირითადად არამეწველი პირუტყვია გარეკილი. არამეწველ ძროხებს ტოვებენ ადგილზე და ისინი მოვენ ახლომდებარე სოფლის სამოვრებზე (ზოგჯერ სხვა სასოფლო-სამეურნეო მიწებსა და მეზობელ ტყეებში). ცალკეულ სოფლებში ქირაობენ მესაქონლეებს, რომლებიც მთელი ზაფხულის განმავლობაში ალპურ სამოვრებზე მწყემსავენ საკუთარ და მათზე მიბარებულ პირუტყვს. მაღალმთიან რაიონებში პირუტყვის პოპულაციის შემცირების გამო შეიმჩნევა სუბალპური და ალპური სამოვრების ბუნებრივად გატყიანება, ხოლო ზამთრის სამოვრები ყველაზე მეტად დატვირთულია.

⁵ ოჯახები სოფლების მახლობლად შემოდგომით მდელოებს პირუტყვის საერთო სამოვრებად იყენებენ. ზოგჯერ სამოვრად გამოიყენება სახნავ-სათესი მიწები, რომლებიც წლების განმავლობაში დაუმუშავებელია. გარდა ამისა, ზოგიერთ რაიონში თივის მინდვრები და მოსავალი მინდვრები სეზონურად გამოიყენება სამოვრებად გვიან შემოდგომაზე და ზამთარში. თავად სოფლის მოსახლეობა (მონაცვლე ცვლაში) ან დაქირავებული მწყემსების დაქირავებით სოფლის პირუტყვს ყოველ დღით სამოვრებზე გადაჰყავს. საღამოს პირუტყვი ბრუნდება თავის საკარმიდამოში, სადაც (ხშირად) იღებს დამატებით საკვებს. სამოვრები იშვიათად ირწყვება. სამოვრების შენარჩუნებისა და პროდუქტიულობის გაზრდის ღონისძიებები, როგორცაა ნიადაგის განაყოფიერება ან ბუჩქების და სარეველების აღმოფხვრა, იშვიათად გამოიყენება. ზოგიერთ რეგიონში სამოვრები არაფორმალურად არის განაწილებული თემებსა და სოფლებს შორის

მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში, დიდი სკოლებს გააჩნიათ გაზოგადოებრივი ცენტრალური გათბობის სისტემები.

ხალხი უმეტეს შემთხვევაში იხდის საშემე მერქნის საფასურს, მაგრამ ბევრი მათგანი უფრო მეტად დამოკიდებულია ტყიდან მერქნის უფასოდ გამოტანაზე. როგორც სოფლის ერთ-ერთმა მაცხოვრებელმა თქვა:

„რატომ უნდა ვიყიდო შეშა, როდესაც ის უხვადაა ჩემი სახლის უკან?“

კონსულტაციების დროს, ასეთი აზრები ისმოდა ძირითადად სოფლად მცხოვრები მოსახლეობისგან, რომლებიც მაღალმთიან სოფლებში ცხოვრობენ, სადაც ტყე ახლოსაა დასახლებასთან, მოსახლეობა გამოხატავს დიდ უკმაყოფილებას ლიცენზიის მქონე მეწარმეების მიერ განხორციელებული ჭრების მიმართ.

გურიაში, ზოგიერთი სოფლად მაცხოვრებელს აქვს ნაკვეთი, სადაც ისინი ზრდიან საწვავ მერქნად გამოსაყენებელ ხეებს, ეს არის სწრაფად მზარდი სახეობები - თელა და აკაცია, რომლებსაც ისინი ჭრიან და იყენებენ საშემე მასალად.

საწვავი მერქანი ჩვეულებრივ იჭრება ტყეში მამაკაცების მიერ, ეს შესაძლოა იყოს ოჯახის წევრი ან დაქირავებული ადამიანი. თუმცა, ამის შემდეგ, ხის დანაწევრება, მისი სახლში შეტანა და ღუმელში შეკეთება, ქალების მიერ ხდება. ასე რომ ფაქტიურად ქალები უფრო მეტად აკონტროლებენ საწვავი მერქნის მოხმარებას.

გარდა გათბობისა, მზარეულობისა და წყლის გათბობისა, საწვავი მერქანი გამოიყენება ბუხრისთვის, პურის ტრადიციული ცხობისთვის, ჭაჭის გამოსახდელად - სპირტიან სასმელებისა და შესანახი კონსერვების გასაკეთებლად.

დღესდღეობით, ბევრ საბავშვო ბაღში გურიაში და დედოფლისწყაროში, ბრიკეტები გამოიყენება. მასწავლებლები, რომლებიც თითქმის ექსკლუზიურად ქალები არიან, სავსებით კმაყოფილები არიან ამით.

“ჩვენ სავსებით კმაყოფილები ვართ ბრიკეტებით, ისე მარტივია მისი გამოყენება, და იმის და მიხედვით, თუ რა ტიპის ხითაა გაკეთებული ბრიკეტი, იძლევა უფრო მეტ სითბოს.
(ლესას საბავშვო ბაღის მასწავლებელი)“

ერთადერთი პრობლემა ბრიკეტებთან დაკავშირებით, გურიაში სადაც ტენიანობა მაღალია, არის საწყობი, ვინაიდან მაღალი ტენიანობა უარყოფით გავლენას ახდენს ბრიკეტების ხარისხზე.

ღუმელების გამოყენება

მოსახლეობის გარკვეული ნაწილი იყენებს უფრო ენერგო-ეფექტურ ღუმელს. (ე.წ. „სვანური ღუმელი“, რომელიც დაახლოებით 5 წელი ძლებს). თუმცა, უმრავლესობა იყენებს უფრო დაბალფასიან, ტრადიციულ ღუმელს, რომელიც ძლებს მხოლოდ ერთი ან ორი სეზონის განმავლობაში. არჩევანს მთლიანად განსაზღვრავს ოჯახის შეზღუდული ეკონომიკური სიტუაცია. ხუთ-წლიანი პერსპექტივაში ორივე სახის ღუმელი ალბათ დაახლოებით ერთი და იგივე ფასი ღირს, მაგრამ მიუხედავად იმის გაცნობიერებისა, რომ ენერგო ეფექტური

ღუმელი უფრო ეფექტურია, ბევრისთვის რთულია დიდი თანხის ერთ ჯერზე, ერთინად გადახდა.

“ჩვენ შევიძენდით გაძლიერებულ ღუმელებს, თუ ფასი სვანურ ღუმელებზე უფრო დაბალი იქნებოდა, ან თუ შესაძლებელი იქნებოდა მისი საფასურის თანდათანობით გადახდა“. (კონსულტაციების ქალი მონაწილე გურიაში).

ეს შეზღუდვა უფრო მნიშვნელოვანია იმ შინამეურნეობებისთვის, რომლებიც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ არიან, მარტოხელა ქალის შინამეურნეობები და ის შინამეურნეობები, რომელიც მხოლოდ პენსიონერი წევრებისგან შედგება.

ტყეების რეკრეაციული გამოყენება

ტყეების რეკრეაციული მიზნებით გამოყენება უფრო იშვიათია და რეგიონების მიხედვით განსხვავდება. კახეთში არსებობს ბევრი სალოცავი ადგილი, რომლებსაც ხშირად სტუმრობენ როგორც ადგილობრივი მოსახლეობა, ისე შიდა და უცხოეული ტურისტები, მაშინ როდესაც ასეთი ადგილები ძალიან ცოტაა გურიაში და თიანეთში. ზოგადად, კახეთის პრობლემა არის ასეთი ადგილების მისადგომლობა, ვინაიდან ისინი მდებარეობს ღრმა და მაღალ ტყეებში. რელიგიური ადგილები კარგადაა შენახული, მაგრამ საკემპინგე ადგილები ხშირად დაბინძურებულია.

“არგოხიდან 15-20 კმ -მდე მოშორებით ლამაზი ჩანჩქერებია. სოფლის მოსახლეობა კი მიდის იქ, მაგრამ ტურისტებისთვის გზაა საჭირო (ქალი მონაწილე არგოხში).

სკოლებს იშვიათად დაჰყავს მოსწავლეები ტყეში, მშობლებსაც იშვიათად მიჰყავთ ბავშვები იქ.

ქალები ეკოტურიზმსა და სტუმართმასპინძლობაში

როგორც აღინიშნა, ტრადიციული გენდერული ნორმები ჭარბობს საქართველოს სოფლების დიდ ნაწილში, სადაც ქალები ხშირად არიან პასუხისმგებელი იმ საოჯახო სამუშაოების უმეტეს ნაწილზე, რომელიც დაკავშირებულია დასუფთავებასთან, კერძების მომზადებასთან, მოვლა-მზრუნველობასთან და პირუტყვის და ეზოების მოვლასთან. მიუხედავად ამისა, ქალები სულ უფრო ხშირად პოულობენ ახალ შესაძლებლობებს ტურიზმის სექტორში. 2010 წელს საქართველოში სტუმართმასპინძლობის სექტორში (რესტორნები და სასტუმროები) მამაკაცებისა და ქალების დასაქმების მაჩვენებლები საკმაოდ დაბალანსებული იყო და ოდნავ მეტი ქალი იყო დასაქმებული, ვიდრე მამაკაცი (Krieg 2018). ქალები ჩვეულებრივ მონაწილეობენ შემდეგ აქტივობებში:

- ადგილობრივი კერძების მომზადება და მიწოდება: ბევრი ქალი აგროვებს ტყის არამერქულ პროდუქტებს (კენკრა, სოკო და ა.შ.), რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სტუმრებისთვის კერძების მომზადებაში.
- საოჯახო სასტუმროების ბიზნესში მუშაობა, ან მისი მართვა: ადგილობრივ საოჯახო სასტუმროებში ქალები, როგორც წესი, ასრულებენ მასპინძლობასთან დაკავშირებულ როლებს. ისინი ხშირად აკონტროლებენ ფინანსებს საქონლის

შესაძენად და მომსახურებისთვის ანაზღაურების მისაღებად. მეორეს მხრივ, მამაკაცები ხშირად არიან ჩართულნი უფრო დიდ ფინანსურ საკითხებში ბანკებსა და საგადასახადო ორგანოებთან მიმართებით. მამაკაცები ასევე უფრო ხშირად მუშაობენ მძღოლებად, ცხენების მხედრებად და ბილიკის მეგზურებად. ნელ-ნელა, უფრო მეტი ქალი ხდება გიდი, განსაკუთრებით ისეთი მოგზაურობისთვის, რომლებიც ნაკლებ ფიზიკურ დატვირთვას მოითხოვს, რაც ჯერ კიდევ კაცების დომინირების სფეროა. თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციაში, მაგალითად, ძალიან პოპულარულია ქალთა საოჯახო სასტუმროები და თუში ქალები, ზაფხულში მთაში საკუთარი ინტენსიური შრომით, ხელს უწყობენ თუშეთის თემების ფინანსურ კეთილდღეობას ქვემო ალვანში, ზემო ალვანსა და ლალისყურში.

ტურიზმის სექტორიდან ორი გამოკითხული თანხმდებოდა, რომ ზოგადად ქალებს კარგი შესაძლებლობები აქვთ სტუმართმასპინძლობის სექტორში, თუმცა ჯერ კიდევ არსებობს კულტურული ნორმები და ჩვეულებები, რომლებიც ზღუდავს ქალებს უფრო მეტად ჩართულობას ხელმძღვანელობით როლებში და სხვა პოზიციებში, რომლებიც უფრო ხშირად კაცებს უკავიათ

გარდა ამისა, არსებობს ქალთა ჩართულობასთან ასოცირებული რისკი, რომელიც დაკავშირებულია თემზე დაფუძნებული დაგეგმვის ინსტრუმენტების გამოყენებასთან, როგორცაა შემოთავაზებული ეკოტურიზმის განვითარების სამოქმედო გეგმა. ძირითადად მამაკაცები ესწრებიან საჯარო ღონისძიებებს და არსებობს რისკი, რომ ქალებმა ვერ მოახდინონ საკმარისი გავლენა ტურიზმის განვითარების პროცესებზე. ისინი თანაბრად უნდა იყვნენ ჩართული თემების ყველა დაინტერესებულ მხარეთა შეხვედრაში და უზრუნველყოფილი იქნენ იგივე დე-ფაქტო შესაძლებლობებით, რაც აქვთ მათ მამაკაც კოლეგებს. თუ კულტურულად შეუძლებელია შერეული თემის შეხვედრების გამართვა, ალტერნატიული სტრატეგია არის გენდერულად დაყოფილი შეხვედრების ორგანიზება და მოგვიანებით მამაკაცებისა და ქალების მოსაზრებების გაერთიანება, სანამ ისინი განიხილება საბოლოო შეხვედრაზე, რომელშიც მონაწილეობენ ორივე გენდერული ჯგუფის ლიდერები. ამდენად, არსებობს მნიშვნელოვანი რისკი, რომ ქალებმა ვერ მოახდინონ საკმარისი გავლენა ტურიზმის განვითარების პროცესებზე. ზოგიერთი გამოკითხული თვლის, რომ ქალები თანაბრად არ არიან ჩართულნი თემების დაინტერესებულ მხარეთა შეხვედრებში და, შედეგად, მათ ხშირად არ სთავაზობენ იგივე დე-ფაქტო შესაძლებლობებს, როგორც მათ მამაკაც კოლეგებს. გარდა ამისა, ქალების მიერ პროდუქტიული აქტივების, განსაკუთრებით მიწის ნაკლებად ფლობა და ფინანსებზე შეზღუდული წვდომა (ხშირად უზრუნველყოფის ნაკლებობის გამო) ხშირად წარმოქმნის ბარიერს, რომელიც აბრკოლებს სექტორში ქალთა მეწარმეობას.

რამდენადაც საქართველოს მთავრობა სულ უფრო მეტად ეძებს შესაძლებლობებს ეკოტურიზმის მხარდასაჭერად NFA-ის მიერ მართულ ტერიტორიებზე, არსებობს მნიშვნელოვანი შესაძლებლობა ამ სექტორში ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისათვის. რამდენიმე გამოკითხვამ (მაგ., ECF, CENN, SUCCOW) ხაზი გაუსვა ტურიზმის განვითარების მნიშვნელოვან როლს ქალების კეთილდღეობასა და გაძლიერებაში. მიუხედავად ამისა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბარიერების გადალახვას, რაც მოიცავს: გენდერული ნორმების დაძლევას და სექტორში ქალთა დაწინაურებას მრავალფეროვან როლებზე, ქალთა მხარდაჭერას პროდუქტიულ რესურსებზე ფორმალური

კონტროლის გასაუმჯობესებლად, ფინანსური ინკლუზიის გაძლიერებას და მასთან დაკავშირებული უნარების (ტურიზმთან პირდაპირ დაკავშირებული, ასევე ბიზნეს გეგმის შემუშავება და განხორციელება) განვითარებას.

ხე-ტყის წარმოება და გადამამუშავება

მერქნის წარმოებასა და გადამამუშავებაში ქალების შესახებ მონაცემები შეზღუდულია. მსოფლიო ბანკის კვლევის მიხედვით (WB 2020, გვ. 6) სამხრეთ კავკასიის რეგიონში ტყის და ხე-ტყის გადამამუშავებელი სექტორები მონაცემთა სიმწირით ხასიათდება. ეს ასევე ეხება სოციალურ და გენდერულ მონაცემებსაც. ზოგადი ინფორმაცია შრომის შესახებ არ არის ხელმისაწვდომი, რომ აღარაფერი ვთქვათ დეტალურ გენდერულ მონაცემებზე.

თუმცა, ინტერვიუებში აღინიშნა, რომ სფეროში ძირითადად მამაკაცები მონაწილეობენ. NFA-სთან ინტერვიუს მიხედვით, ქალები უფრო მეტად არიან დასაქმებულები ტყის არამერქნული პროდუქტებს შეგროვებაში, ვიდრე ხე-ტყის წარმოებაში: „ტყის სპეციალისტმა მძიმედ უნდა იმუშაოს ხე-ტყის დასამზადებლად, რაც არ ნიშნავს რომ ეს პროფესია პოპულარული არ იქნება, განსაკუთრებით ქალებში, მაგრამ როდესაც საქმე ეხება ქალებისა და ახალგაზრდების ჩართვას ტყესთან დაკავშირებულ ღირებულებით ჯაჭვებში, ისინი ტრადიციულად არამერქნული პროდუქტების შეგროვებასა და რეალიზაციაში არიან დასაქმებულები“. როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს ტრადიციული გენდერული ნორმები და შეხედულებები ზღუდავს ქალთა მონაწილეობას შესაბამის ტრენინგებსა და საგანმანათლებლო შესაძლებლობებში და სატყეო სექტორის შრომით ბაზარზე.

ტყეების მესაკუთრეობა

მესაკუთრეობა გულისხმობს გამოყენების უფლებას, კანონიერი ან ჩვეულებრივი გზით, და დაცვას. ტყეების მესაკუთრეობის განცდა განსხვავდება დასახლების ტყესთან გეოგრაფიული სიახლოვის და გენდერის მიხედვით. აღქმული მესაკუთრეობა ძალიან მაღალია იმ მამაკაცებში, რომლებიც ცხოვრობენ სოფლებში, ტყის საზღვართან ახლოს. მესაკუთრეობა გამოიხატება ორივენიარად: ერთის მხრივ, მოსახლეობას აქვს პროტესტი კერძო ბიზნესების მიერ ტყის გამოყენების მიმართ, და მეორეს მხრივ, იმ გაგებით, რომ ისინი ხედავენ ტყეების დაცვის საჭიროებას.

“ტყე ჩემი სახლის უკანაა და თუ დღეს მე მოვჭრი ხეს, ხვალ ჩემი სახლი შეიძლება დაიმეწყროს“ (მამაკაცი არგოხიდან)

სოფლის ის მაცხოვრებლები, რომლებიც ტყესთან ახლოს ცხოვრობენ, მოითხოვენ კონტროლს ტყეების გამოყენებაზე, თუმცა ეს არ არის იურიდიულად აღიარებული. მაგალითად, მოსახლეობას ზოტში, გურიის მაღალმთიანეთის მოშორებულ სოფელში, აქვთ შემოთავაზება, რომ შეიქმნას სოფლის კომიტეტი, რომელიც შეამოწმებს მაცხოვრებელთა მერქნული მასალების დადასტურებულ საჭიროებას მშენებლობისთვის ან საკუთარი ხის სახლების შესაკეთებლად და რომელიც გასცემს მოჭრის შესახებ ნებართვას, თუმცა, ახალი ტყის კოდექსის საფუძველზე, ეს არ არის ლეგალური.

ახალი ტყის კოდექსი მოიცავს დამატებით დებულებებს ადგილობრივ ტყითმოსარგებლებთან ჩართულობისთვის, ტყეების მდგრადი მართვის საფუძველზე ურთიერთსასარგებლო შედეგების პოვნის მცდელობაში. თუმცა, ეს შედარებით ახალია ქვეყნისთვის და საჭიროა გენდერული თანასწორობისა და ინკლუზიური მექანიზმების ჩამოყალიბება, რათა მოხდეს ადგილობრივ ტყითმოსარგებლებთან კოორდინაცია, სარგებლის გაზიარება და პოტენციური კონფლიქტების გადაჭრა.

მთავარი აღმოჩენები პროექტისთვის

- ხე ხშირად გამოიყენება როგოც საწვავად, ასევე სამასალედ.
- უმეტესად ქალები იყენებენ საწვავ მერქანს და აკოტროლებენ მის მომხმარებას.
- მამაკაცები უფრო ინტენსიურად იყენებენ ტყეს ვიდრე ქალები. ზოგიერთ ადგილებში ქალები ტყეში საერთოდ არ დადიან. მამაკაცები ტყეს იყენებენ უმეტესად საწვავი მერქნის და სამასალე ხის მოსაპოვებლად და ეკონომიკურად მომგებიანი ტყის არამერქნული პროდუქტების შესაგროვებლად, ხილს და სამედიცინო მცენარეებს კი უმეტესად საყოფაცხოვრებო მოხმარებისთვის აგროვებენ, მაგრამ ზოგჯერ გასაყიდადაც.
- საკუთრების შეგრძნება ტყეების მიმართ განსხვავდება დასახლებასა და ტყეებს შორის მანძილის მიხედვით. საკუთრების გრძნობა გაცილებით მაღალია იმ სოფლებში, რომლებიც ტყეებთან ახლოს მდებარეობს.
- ბრიკეტების გამოყენებისადმი დამოკიდებულება დადებითია მისი საჯარო ინსტიტუციების გამოყენების გამოცდილებიდან გამომდინარე. რადგან ასეთ ორგანიზაციებში დასაქმებულთა უმრავლესობას ქალები შეადგენენ, ისინი არიან ყველაზე აქტიური მხარდამჭერები ბრიკეტების გამოყენებისა.
- ტყეების გამოყენება რეკრეაციული მიზნებით არ არის ფართოდ გავრცელებული. სკოლის მოსწავლეები იშვიათად მიყავთ ტყეებში საკემპინგედ. შედარებით უფრო ხშირად სტუმრობენ სალოცავ ადგილებს, მაგრამ მათი მოშორებული მდებარეობიდან და გზების სიმცირიდან გამომდინარე, რთულია ამ ადგილებამდე მისვლა.
- არსებობს არაერთგვაროვანი წარმოდგენა ადგილობრივი ჩარჩოს შესახებ და შეიძლება იყოს კონფლიქტი ადგილობრივ თემებთან ადგილობრივი ტყეებით სარგებლობასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ ახალი ტყის კოდექსი და ეს პროექტი (განსაკუთრებით კომპონენტი 3) მიზნად ისახავს ამ რისკის შერბილებას, მნიშვნელოვანია გენდერულად მგრძობიარე, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი კონფლიქტების მოგვარებისა და სარგებლის გაზიარების მექანიზმების შემუშავება.
- ტყის არამერქნული პროდუქტების ღირებულებითი ჯაჭვის განვითარების კონტექსტში, უზრუნველყოფილი უნდა იყოს იმ ღირებულებითი ჯაჭვების გათვალისწინება, რომელშიც ქალები ასრულებენ აქტიურ როლს. ქალების ხელმძღვანელობაში არსებული მცირე და საშუალო საწარმოებისა და ქალი მეწარმეების მხარდაჭერის მიზნები უნდა განისაზღვროს და მოხდეს მათი მონიტორინგი. სადაც

შესაძლებელია, ტყის არამერქნული პროდუქტების ღირებულებით ჯაჭვებთან დაკავშირებული კვლევები და შეფასებები უნდა მოიცავდეს გენდერულ საკითხებს.

- ქალებისა და სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს მიზნობრივი მხარდაჭერა, დამატებითი გამოწვევების დაძლევაში დასახმარებლად, რომელთა წინაშეც შეიძლება ისინი აღმოჩნდნენ (მაგ. დროის სიმწირე, მიწის ან რესურსების შეზღუდული ფორმალური კონტროლი, რამაც შეიძლება საბოლოოდ შეზღუდოს კრედიტზე ხელმისაწვდომობა). შესაბამისი ზომები უნდა შემუშავდეს კონკრეტული ტყის არამერქნული პროდუქტების და ტყესთან დაკავშირებული სხვა ღირებულებითი ჯაჭვებისთვის.
- ტურიზმის ღირებულებითი ჯაჭვების განვითარებაში ქალები აქტიურად უნდა ჩაერთონ. ამ კონტექსტში, პროექტმა უნდა მიიღოს ზომები, რათა ქალებს ჰქონდეთ თანაბარი შესაძლებლობები სხვა სფეროებში, გარდა სტუმართმასპინძლობისა. ეს შეიძლება მოიცავდეს ტრენინგს ბიზნეს უნარებში, ეკოტურიზმის გიდობაში, თარგმნაში ან შესაბამის სფეროებში. ეს ასევე უნდა მოიცავდეს გენდერულ სენსიბილიზაციას, რათა ხელი შეუწყოს სექტორში ქალთა როლებისა და შესაძლებლობების ტრადიციული ნორმებისა და იდეების დაძლევას. სადაც ეს შესაძლებელია, პროექტმა ასევე უნდა გააძლიეროს ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, რაც რჩება ბარიერად ქალებისთვის, რადგან ისინი ნაკლებად ფლობენ საკუთრების უფლებებს.
- ტყესთან დაკავშირებულ ზემოხსენებულ ღირებულების ჯაჭვებთან დაკავშირებით, პროექტმა ასევე უნდა გაითვალისწინოს გენდერი განათლების, ტრენინგისა და უნარების განვითარების შესაძლებლობებში. ეს მოიცავს სასწავლო გეგმებისა და პროგრამების გენდერული სენსიტიურობის უზრუნველყოფას, მასწავლებლების დატრენინგებას გენდერული თანასწორობისა და სოციალური ინკლუზიის საკითხებზე, ქალებისთვის უფრო ხელმისაწვდომი პროგრამების შემუშავებას (მაგ. კურსები, რომლებიც შემოთავაზებულია პროფესიული სასწავლებლების მუნიციპალურ ფილიალებში, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამები და ა.შ.), და ქალთა ცნობიერების ამაღლებისა და მონაწილეობის გაზრდის მიზნით მიზნობრივი კომუნიკაციის განხორციელებას.

10. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პერსონალის გენდერული შემადგენლობა

სატყეო სექტორში უმეტესწილად დასაქმებულნი არიან მამაკაცები. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტი, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი და ეროვნული სატყეო სააგენტო, წარმოადგენს სამთავრობო უწყებებს, რომლებიც ტყეებზეა პასუხისმგებელი. დაცული ტერიტორიები მართულია სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტოს“ მიერ.

სამინისტროს პერსონალი

როგორც მე-8 ცხრილიდან ჩანს, მამაკაცები ტყის მმართველი სამივე უწყების პერსონალის 86.1% შეადგენენ. ასევე, უმეტესწილად მამაკაცები იკავებენ გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებს, 75%-იანი მჩვენებლით. სამივეს ხელმძღვანელი მამაკაცია.

ცხრილი 8: ტყის მართვაზე პასუხისმგებელი პერსონალის გენდერული განაწილება
სამინისტროში

პოზიციები	მამაკაცთა რაოდენობა	ქალების რაოდენობა	სულ
ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტი			
ხელმძღვანელი	1		1
ხელმძღვანელის მოადგილე		1	1
სამმართველოს უფროსი	1	1	2
გადაწყვეტილების პირთა რაოდენობა	2	2	4
დასაქმებულები	12	8	20
ს ულ	14	10	24
ეროვნული სატყეო სააგენტო (NFA)			
ხელმძღვანელი	1		1
ხელმძღვანელის მოადგილე	2	1	3
სამმართველოს უფროსი	2		2
სამსახურების უფროსი	3	1	4
გადაწყვეტილების მიმღებ პირთა რაოდენობა	8	2	10
დასაქმებულები	378	95	473
ს ულ	386	97	483
გარემოს დაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი (DES)			
ხელმძღვანელი	1		1
ხელმძღვანელის მოადგილე	2	1	3
სამმართველოს უფროსი	2		2
სამსახურების უფროსი	4	4	8
ტერიტორიული უწყების უფროსი	8		8
გადაწყვეტილების მიმღებ პირთა რაოდენობა	17	5	22
დასაქმებულები	788	82	870

პოზიციები	მამაკაცთა რაოდენობა	ქალების რაოდენობა	სულ
სულ	805	87	892
სულ			
გადაწყვეტილების მიმდებარე რაოდენობა	27	9	36
პროცენტული მაჩვენებელი	75	25	100
დასაქმებულები	1,178	185	1,363
პროცენტული მაჩვენებელი	86.4%	13.6%	100%
ყველა	1,205	194	1,399
პროცენტული მაჩვენებელი	86.1%	13.9%	100%

წყარო: დეპარტამენტების ხელმძღვანელებსა და მოადგილეებთან ინტერვიუები

მსგავსი გენდერული დისბალანსია წარმოდგენილი სატყეო სააგენტოს რეგიონალურ სამსახურებშიც. კახეთში, 44 დასაქმებულიდან, მოხლოდ 5 ქალია. ისინი მუშაობენ ანალიტიკის სფეროში (სამი ადამიანი) და მომსახურების სფეროში (2 ადამიანი). მცხეთა-მთიანეთში, 35 დასაქმებულიდან მხოლოდ 4 ქალია, რომლებიც მუშაობენ როგორც ანალიტიკოსებად, ასევე არიან კანცელარიის თანამშრომლები. გურიაში, სატყეო დეპარტამენტში დასაქმებულია 25 ადამიანი. ხელმძღვანელი და მისი მოადგილე არიან მამაკაცები. დეპარტამენტს აქვს ორი სამმართველო ოზურგეთში, ლანჩხუთსა და ჩოხატაურში და ორივე მათგანს ხელმძღვანელობს მამაკაცი. სამი ქალი მუშაობს ანალიტიკაზე, ხოლო კიდევ 2 კანცელარიაში.

გენდერული დისბალანსი სატყეო სექტორში, სამინისტროს პერსონალისა და სამიზნე რეგიონების ტერიტორიული დეპარტამენტების ხელმძღვანელების მიერ ხშირად ითვლება როგორც ფესვგადგმული, სქესობრივი ნიშნით განპირობებული განსხვავება, კერძოდ კი ფიზიკური სიძლიერე და ამტანიანობა/გამძლეობა დაკისრებული დავალებების შესასრულებლად, რაც ასოცირდება რეინჯერობის პროფესიასთან, უმეტეს შემთხვევებში წარმოადგენს ამ პროფესიის ათვისების წერტილს, საწყის ეტაპზე. ეს დაკავშირებულია შესაბამისი განათლების მქონე ქალების ნაკლებობასთან, ვინაიდან ქალები უფრო ნაკლებად არიან დაინტერესებულნი მისდონ მეტყვევის პროფესიას. ამჟამად, ქალები, რომლებიც მუშაობენ სატყეო სექტორში, არიან სატყეო პოლიტიკისა და ანალიზის სპეციალისტები და არ არიან ჩართულნი ტყეების აქტიურ ინსპექტირებაში.

2021 წელს NFA-დან ერთ-ერთმა გამოკითხულმა აღნიშნა, რომ სექტორში ქალების ნაკლებობა გამოწვეულია „ინფორმირებულობის ნაკლებობითა და მუდმივი სტერეოტიპებით“. მათი აზრით, საჭიროა მეტი ინფორმაცია და ცნობიერების ამაღლება, რათა ტყესთან დაკავშირებული სამუშაო არ განიხილებოდეს მხოლოდ მამაკაცის საქმედ, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ქალები ამ ნორმებისა და გენდერული მიკერძოების გამო ვერ ხედავენ საკუთარ თავს გარკვეულ თანამდებობებზე და არ იყენებენ შესაბამის საგანმანათლებლო შესაძლებლობებს. NFA-ს ცნობით, სააგენტო მუშაობს პოლიტიკაზე,

რომელიც განიხილავს თანაბარ ანაზღაურებას ქალებისთვის, თუმცა NFA-ში, ისევე როგორც ყველა საჯარო უწყებაში, ხელფასი განისაზღვრება თანამდებობის და არა სქესის მიხედვით.

11. სატყეო განათლებასთან და ტყესთან დაკავშირებულ ღირებულებით ჯაჭვებთან დაკავშირებული გენდერული მოსაზრებები

2021 წლის მონაცემებით, საქართველოში სამი უნივერსიტეტი სთავაზობს სტუდენტებს სატყეო კურსებს. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი სთავაზობს აკრედიტებულ საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო სატყეო პროგრამებს. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი სთავაზობს სატყეო სამაგისტრო მოდულებს, ბუნებრივი რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში. 2010-2014 წლებში სატყეო პროგრამების საბაკალავრო კურსდამთავრებულთა საერთო რაოდენობამ შეადგინა დაახლოებით 295 სტუდენტი, 29 კურსდამთავრებულს მიენიჭა მაგისტრის ხარისხი და მხოლოდ ერთმა მიიღო დოქტორის ხარისხი საქართველოს აგრარული უნივერსიტეტში. სამწუხაროდ, არ არსებობს კონკრეტული მონაცემები ჩარიცხულ ქალთა რაოდენობისა და მათი მოტივაციის შესახებ.

პროფესიული განათლება და ტრენინგი მეტყვეობაში (III, IV, V დონეები) შეიძლება მიიღოს ბათუმის უნივერსიტეტსა და I-III დონეები პროფესიულ კოლეჯში „ჰორიზონტი“, ოზურგეთსა და ჯავახიშვილის სახელობის ბორჯომის კერძო სკოლაში. პროფესიული განათლების პროგრამა - მეტყვე სპეციალისტი (IV დონე) ახალციხეში, პროფესიული განათლების და ტრენინგების (VET) კოლეჯში „ოპიზარი“, კაჭრეთის VET კოლეჯში „აისი“, ქობულეთის VET კოლეჯში „ახალი ტალღა“ და მცხეთაში - VET კოლეჯში „წინამძღვრიანთკარი“. პროფესიული სწავლების კოლეჯის ერთი სატყეო პროგრამა წელიწადში საშუალოდ უშვებს 25-35 სატყეო სპეციალისტის პროგრამის კურსდამთავრებულს, რომელთაგან 2-3% ქალია (ასლამაზაშვილი 2020; ხახუტაიშვილი 2020; ჯაფარიძე 2020).

ყველაზე პრობლემატური საკითხები, რასაც სტუდენტები აწყდებიან არის მწირი ცოდნის ბაზა, მოტივაციის ნაკლებობა გახდნენ მეტყვეები, მოძველებული კურიკულუმი და სატრენინგო მოდულები, თანამედროვე სატრენინგო ინფრასტრუქტურის და მასალების ნაკლებობა და მცირედი შესაძლებლობები სამსახურეობრივი და შუა-კარიერული ტრენინგებისთვის (სატყეო განათლება 2015). პროფესიული სწავლების კოლეჯებში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სატყეო პროგრამის განახლებაში ბოლო ხუთი წლის განმავლობაში. მიუხედავად ამისა, 2020 წელს ტყის ახალი კოდექსის დამტკიცების შედეგად, საჭიროა სასწავლო პროგრამების შემდგომი განახლება, რაც შეიძლება გახდეს მნიშვნელოვანი შესაძლებლობა მათი გადახედვისთვის გენდერული პერსპექტივიდან და გენდერული მეინსტრიმინგის ხელშეწყობა. პროფესიული განათლების მთავარი ხარვეზი ტყესთან დაკავშირებულ ღირებულებით ჯაჭვებშია. NFA-სთან ინტერვიუში ხაზგასმით აღინიშნა ახალი მოდულების დამატების მნიშვნელობა, რომლებიც დაკავშირებულია არამერქნულ რესურსებთან, ეკოტურიზმთან და ტყესთან დაკავშირებულ ღირებულების ჯაჭვებთან, ხაზგასმით აღინიშნა, რომ ეს პროგრამები უფრო მიმზიდველი გახდებოდა ქალებისთვის და უფრო მეტ მისცემდა ქალს სტიმულს, სექტორში ოფიციალურად ჩართვისთვის.

გარდა ამისა, ხაზგასმით აღინიშნა, რომ ქალების მიერ სექტორში არსებული შესაძლებლობების შესახებ დაბალი ინფორმირებულობაა და საჭიროა ადგილობრივი საინფორმაციო კამპანია მეტი ქალის მოსაზიდად. გარდა ამისა, ქალებს ჩვეულებრივ აქვთ მობილობის დაბალი დონე, ვიდრე მამაკაცებს. შეძლებისდაგვარად პროექტი ფოკუსირებული უნდა იყოს ქალებისთვის კურსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაზე. ეს მოიცავს კურსების შეთავაზებას პროფესიული განათლების მუნიციპალურ ფილიალებში ან ადგილობრივ სოფლებში (რადგან სოფლის ქალებს უფრო მეტი მობილობის შეზღუდვა აქვთ ვიდრე მამაკაცებს), მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების და/ან ტრენინგების შეთავაზებას და ტრენინგების შეთავაზებას შესაფერისი დროით ან მოქნილობის ხარისხით. ქალები იმუშაონ თავიანთი დატვირთული გრაფიკის გარშემო.

გარდა ამისა, აღინიშნა, რომ ქალები ცუდად არიან ინფორმირებული სექტორში არსებული შესაძლებლობების შესახებ და საჭიროა ადგილობრივი საინფორმაციო კამპანია მეტი ქალის მოსაზიდად. გარდა ამისა, ქალებს ჩვეულებრივ აქვთ მობილობის დაბალი დონე, ვიდრე მამაკაცებს. შეძლებისდაგვარად, პროექტი ფოკუსირებული უნდა იყოს ქალებისთვის კურსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაზე. ეს მოიცავს კურსების შეთავაზებას პროფესიული სასწავლებლების მუნიციპალურ ფილიალებში ან ადგილობრივ სოფლებში (რადგან სოფლის მაცხოვრებელ ქალებს მობილობის უფრო მეტი შეზღუდვა აქვთ ვიდრე მამაკაცებს), მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების და/ან ტრენინგების შეთავაზებას და ტრენინგების მოხერხებული და მოქნილი გრაფიკის შეთავაზებას, მათ დატვირთულ განრიგზე მოსარგებად.

მთავარი აღმოჩენები პროექტისთვის

- სასწავლო გეგმები და პროგრამები უნდა დაიგეგმოს გენდერული პასუხისმგებლობით (მაგ. კონსულტაციების ჩატარება ტყითმოსარგებლე ქალებთან და ქალთა ორგანიზაციებთან, კურსების შემუშავების დაწყებამდე და შემუშავების პროცესში, გენდერული ექსპერტების დაქირავება სასწავლო გეგმების შემუშავებაში მათი მონაწილეობისთვის).
- მასწავლებლებმა და პროფესორებმა უნდა გაიარონ ტრენინგი გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის საკითხებზე.
- უნდა განხორციელდეს ფოკუსირებული კომუნიკაცია, რათა უზრუნველყოფილი იქნას ქალთა მონაწილეობა შეთავაზებულ კურსებში და ტყის მდგრადი მართვიდან და ტყესთან დაკავშირებული ღირებულებითი ჯაჭვებიდან სარგებლის მიღება.
- პროექტის მე-3 კომპონენტის ფარგლებში შესაბამისი აქტივობების შემუშავება ამ რისკების შესამცირებლად:
 - ტრენინგის საჭიროებების გენდერულად დიფერენცირებული შეფასება ადგილობრივ დონეზე.
 - პროფესიული განათლების პროგრამების შესაბამისობისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება გენდერის გათვალისწინებით (გენდერულად მგრძობიარე პროგრამებისა და კურიკულუმების უზრუნველყოფა, კურსების ქალებისთვის ხელსაყრელ დროს დაგეგმვა, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამებისა და

ტრენინგების შემუშავება და სადაც შესაძლებელია პროფესიული სწავლების კურსების შეთავაზება პროფესიული სასწავლებლების მუნიციპალურ ფილიალებში)

- სატყეო მეურნეობასთან და ტყესთან დაკავშირებულ ღირებულებით ჯაჭვებთან დაკავშირებული პროფესიული განათლების პროგრამებში ქალთა მონაწილეობის მონიტორინგი და გაძლიერება.
- ტყესთან დაკავშირებული პროფესიული სწავლების პროგრამების გავრცელების გაუმჯობესება და ადგილობრივი მამაკაცებისა და ქალების და მცირე და საშუალო ბიზნესების მიერ მათში მონაწილეობის მიღების ხელშეწყობა.
- კერძო სექტორთან თანამშრომლობის გაძლიერება შრომის ბაზრებთან კავშირების გასაუმჯობესებლად, გენდერული საკითხების გათვალისწინებით. ქალებს ხშირად უფრო მეტად უჭირთ სამუშაოს პოვნა პროფესიული განათლების პროგრამების დასრულების შემდეგ (აშშ საელჩო საქართველოში, 2018 წ.) და განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ნეთვორქინგის შესაძლებლობებს როგორც მამაკაცი, ასევე ქალი სტუდენტებისთვის.

12. ზოგადი დასკვნები და მითითებები პროექტისთვის

ცალსახა გახდა, რომ ქალები, ერთის მხრივ ჯერ კიდევ უარყოფითი ზეგავლენის ქვეშ არიან გენდერული სტერეოტიპების გამო, მაგრამ მეორეს მხრივ, აქვთ პოტენციალი რომ იყვნენ მნიშვნელოვანი „ცვლილებათა აგენტები“ იმ ზოგადი მიზნის მიღწევაში, კერძოდ კი საქართველოში ტყის სექტორის რეფორმის განხორციელება, ტყის დეგრადაციით გამოწვეული სათბური აირების ემისიების შესამცირებლად. თუმცა, ქალების შესაძლებლობათა გაძლიერება მათი ქმედებების არეალში, არის მხოლოდ ერთი სვეტი ცვლილებათა მდგრადობისთვის. საზოგადოებრივი და ორგანიზაციული სტრუქტურები ასევე საჭიროებენ მხარდაჭერას, რათა უზრუნველყოფილი იყოს გენდერულად პასუხისმგებლობიანი მმართველობისთვის საჭირო გარემო.

შეფასების საფუძველზე, გამოვლინდა ინტერვენციის ხუთი სფერო:

- 1) გენდერული კომპეტენციების გაძლიერება პარტნიორ სტრუქტურებში
- 2) გენდერულად პასუხისმგებლობიანი ჩარჩო პირობები
- 3) ქალები, როგორც მთავარი მოთამაშეები და სამიზნე ჯგუფი
- 4) პროექტის რესურსებსა და სარგებელზე ხელმისაწვდომობა ქალებისთვის
- 5) გენდერის საკითხების უფრო მეტი ჩართულობა და მონაცემთა შეგროვება

კონკრეტული ზომები გენდერული კომპეტენციების გაძლიერებისთვის პარტნიორ სტრუქტურებში:

როგორც ანალიზი აჩვენებს, გენდერი არის კონცეფცია, რომელიც უმეტესობა პარტნიორ ინსტიტუციებში ჯერ კიდევ უცნობია ან მისი ინტეგრირების ძალიან საწყის ეტაპზე იმყოფება. პროექტში ქალების განსაკუთრებული როლის გათვალისწინებით, საწვავის

გამოყენების, საყოფაცხოვრებო მოწყობილობების გამოყენების, ტყის გამოყენების თვალსაზრისით, პროექტის რესურსებისა და სარგებელზე და გადაწყვეტილებების მიღებაზე ხელმისაწვდომობა არის უმნიშვნელოვანესი, რათა შესაბამის პარტნიორ ორგანიზაციებში შეიქმნას მოქმედების, კომპეტენციათა გაძლიერების და გენდერის ასპექტის ინსტიტუციონალიზაციის პრეცედენტი. ეს ხელს შეუწყობს ორგანიზაციებს განახორციელონ ტყის სექტორის რეფორმა და განავითარონ ბაზარი ენერგო ეფექტური მოწყობილობებისა და ალტერნატიული საწვავისთვის, გენდერულად მგრძობიარე ფორმით.

გენდერთან დაკავშირებული ხარვეზების შესავსებად, რომელიც გენდერის შეფასებისას გამოვლინდა, პარტნიორ სტრუქტურებში უნდა გაითვალისწინონ შემდეგი სახის ზომები:

- სექტორის რეფორმით გათვალისწინებული ახალი მანდატით, რომელიც ასევე ზედამხედველობას უწევს ტყის გამოყენებას, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი მომავალში კიდევ უფრო მეტად გააძლიერებს ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობას ტყეებში არაკანონიერი მოქმედების გაკონტროლების პროცესში. ამან შესაძლოა გარკვეულ კონფლიქტებიც გამოწვიოს ტყეების მომხმარებლებთან, კაცებსა და ქალებთან. ამგვარად, უმნიშვნელოვანესია დეპარტამენტის კომპეტენციის ზრდა ტყეების, მერქნული და ტყის არამერქნული პროდუქტების გამოყენების გენდერულად დიფერენცირებულ ასპექტების შესახებ. გარდა ამისა, აუცილებელია ახალ სასწავლო სისტემაში გენდერის საკითხების ფართო მასშტაბით ჩართულობა და მოდულის/კომპონენტის შედგენა, რომელიც ფოკუსირდება მხოლოდ ტყეების და საწვავის მოხმარების მოდელის გენდერულ ბუნებაზე. გენდერული ხედვის ინსტიტუციონალიზაციისთვის, გენდერზე მომუშავე საკომუნიკაციო პირები/ექსპერტები უნდა დაინიშნონ პარტნიორ სტრუქტურებში (სამინისტროში, ეროვნულ სატყეო სააგენტოში, გარემოსდაცვით ზედამხედველობის დეპარტამენტში და სოფლის განვითარების სააგენტოში).⁶ ტყის ამ პირებმა უნდა უზრუნველყონ გენდერის ასპექტების გავალსწინება შესაბამის ინსტიტუციების სტრატეგიებში, სტანდარტულ საოპერაციო პროცედურებსა (SOPs) და ღონისძიებებში. მას შემდეგ რაც შესაბამისი პირები გამოვლინდებიან, უნდა დაკმაყოფილდეს მათი ტრენინგების საჭიროება, მათი როლის, როგორც გენდერის ექსპერტების/საკომუნიკაციო პირების ტექნიკური დავალების საფუძველზე. ამასთანავე, უნდა შეიქმნას ამ საკომუნიკაციო პირების ქსელი, რათა გაადვილდეს მათ შორის გამოცდილებისა და ე.წ. ნასწავლი გაკვეთილების გაზიარება.
- გადაწყვეტილებები შინამეურნეობების დონეზე, მათ შორის, გადაწყვეტილებები ინვესტირების შესახებ, ძირითადად მეუღლეების მიერ ერთობლივად მიიღება, მაგრამ უთანხმოების შემთხვევებში გადამწყვეტი სიტყვა მაინც კაცებს ეძლევათ. ამასთანავე, ქალების მიერ მართული ბევრი შინამეურნეობა, უფრო მოწყვლადია სიღარიბის მიმართ

⁶ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს (APMA) ოფიციალური სახელწოდება 2019 წლის 1 ივლისის შეიცვალა და გახდა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სააგენტო (ARDA). 2020 წელს სააგენტოს სახელი კიდევ შეიცვალა და გახდა სოფლის განვითარების სააგენტო (RDA).

და აქვთ კონკრეტული საჭიროებები სასესხო ვალდებულებების აღების პროცესებში. ამგვარად, უმნიშვნელოვანესია ენერგოეფექტური/ალტერნატიული ენერჯის საშუალებებისთვის მომხმარებელთა დაფინანსების ინსტრუმენტების განხორციელებისას, იდენტიფიცირებული ფინანსური ინსტიტუციები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ სესხებს შინამეურნეობებისთვის, ენერგო ეფექტური ღუმელების და/ან ალტერნატიული საწვავის შესაძენად, სასესხო პროგრამების შექმნის პორიცესში ითვალისწინებდნენ რჩევებს გენდერულ ასპექტში, საჭიროებათა შეფასების საფუძველზე. ეს უზრუნველყოფს გენდერის ასპექტის გათვალისწინებას ფინანსური ინსტიტუციების მიერ.

- ტყის მართვის ინსტრუმენტებზე, პრაქტიკებსა და გეგმებზე, მუნიციპალურ დონეზე განხორციელებული შესაძლებლობების გაძლიერების ღონისძიებები უნდა იყოს გენდერულად სენსიტიური და გათვალისწინებული უნდა იყოს ქალთა საჭიროებები და ინტერესები. მუნიციპალური პერსონალი უნდა დატრენინგდეს გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის, ასევე კონფლიქტების მოგვარების საუკეთესო პრაქტიკისა და ტყის მონაწილეობითი მართვის საკითხებზე.

კონკრეტული ინტერვენციები გენდერულად პასუხისმგებლობიანი ჩარჩო პირობები

პროექტის აქტივობების წარმატებისა და მდგრადობის გასაღები შემდეგია: ა) საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩოს შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს პროექტით გათვალისწინებულ ზომებს და ბ) გეგმებისა და სტანდარტული საოპერაციო პროცედურების (SOP) შემუშავება და განხორციელება, რომელიც იქნება ერთგვარი გზამკვლევი საშუალო ვადით, ყველა დაინტერესებული მხარისთვის. ვინაიდან რეგულაციები, გეგმები და SOP-ები აყალიბებენ სტრატეგიულ მიმართულებებს, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ გენდერის ასპექტები ადეკვატურად იყოს გათვალისწინებული მათი შემუშავებისა და განხორციელების ფაზაში. გენდერულად პასუხისმგებლიანობა და გენდერული მგრძობელობა უნდა დადგინდეს როგორც მინიმუმი სტანდარტი. გენდერზე კომპეტენციების გაზრდა პარტნიორ სტრუქტურებში არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი გენდერულად პასუხისმგებლობიანი ჩარჩოს უზრუნველსაყოფად. ინტერვენციის ეს ორივე სფერო უნდა იყოს ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული.

გენდერის ექსპერტის მიერ უნდა გადაიხედოს ქვემოთ ჩამოთვლილი პროცესები, იმის გარანტიით, რომ გადახედილი ან ახალი პოლიტიკა და რეგულაციები არის გენდერულად მგრძობიარე და პასუხისმგებლობიანი. ეს პროცესებია:

- ტყის მდგრადი მართვის გეგმები და ბიზნეს გეგმები, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი გენდერული მგრძობელობა და პასუხისმგებლობიანობა, თანაბრად ასახავდეს იმ სფეროებს, რაც ტრადიციულად გამოიყენებოდა კაცებისა და ქალების მიერ.
- ხელი უნდა შეეწყოს ქალთა საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებას მუნიციპალური ტყის მართვის განხორციელებადობის კვლევებში და მუნიციპალური ტყის მართვის ინსტიტუციური, სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩოს შემუშავებაში მე-3 კომპონენტის ფარგლებში.

- მსგავსი პროცესი უნდა იქნას მუნიციპალური ტყის მართვის ინსტრუმენტთა ნაკრების შემუშავებისთვის, ეროვნული და მუნიციპალური დონის გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის მე-3 კომპონენტის ფარგლებში.
- ტყის მონაწილეობითი მართვის (როგორც დაგეგმვის, ისე განხორციელების ეტაპზე) განხორციელების მხარდასაჭერად უნდა ჩატარდეს ტრენინგი, შესაძლებლობების განვითარება და მოხდეს მითითებების მიცემა, როგორც ტყის მართვის ორგანოებისთვის (მაგ. NFA და DES), ასევე მუნიციპალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი ტყითმოსარგებლებისთვის. შესწავლილი უნდა იქნას პოტენციური მექანიზმები კოორდინაციის, სარგებლის განაწილების და კონფლიქტების გადაწყვეტისთვის, ამასთან, უზრუნველყოფილი იქნას პლატფორმებისა და მექანიზმების საკმარისი მრავალფეროვნება და მოქნილობა, რათა ისინი მოერგოს მრავალფეროვან ადგილობრივ კონტექსტს საპროექტო რეგიონებში და სამიზნე მუნიციპალიტეტებში.
- სტანდარტული საოპერაციო პროცედურები (SOP) სატყეო სააგენტოს მიერ მდგრადად წარმოებული საწვავი მერქნის უზრუნველყოფასა და ტყის მდგრადი მართვის განხორციელებაზე / გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ, ტყის ზედამხედველობაზე / სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ, ფინანსური ინვესტიციების ინსტრუმენტებზე.
- ენერჯო ეფექტურობისა და ალტერნატიული საწვავის სექტორისთვის პოლიტიკა და რეგულაციები.
- სატყეო სექტორში არ არსებობს საჩივრების განხილვის ოფიციალური მექანიზმი. პროექტმა ხელი უნდა შეუწყოს საჩივრების განხილვის მექანიზმის შექმნას, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში იმუშავებს და საშუალებას მისცემს ადგილობრივ მამაკაცებსა და ქალებს, საჭიროების შემთხვევაში, წარადგინონ საჩივრები.
- არსებული სასწავლო გეგმების განახლების ან სატყეო მეურნეობასთან და ტყესთან დაკავშირებულ ღირებულებით ჯაჭვებთან დაკავშირებული ახალი სასწავლო გეგმების შემუშავებისას, მათი გენდერულად მგრძობიარეობის უზრუნველყოფა.

ასევე, უნდა გადაიხედოს ნებისმიერი სხვა რეგულაცია და პოლიტიკა, რომელიც შესაძლოა არსებობდეს და/ან რეკომენდირებული იყოს პროექტის პერსონალის მიერ, რათა უზრუნველყოფილი იყოს გენდერულად პასუხისმგებლობიანობა და გენდერული მგრძობიარეობა.

კონკრეტული ინტერვენციები, ქალების, როგორც მთავარი მოთამაშეების ჩართულობისთვის:

შეფასება აჩვენებს, რომ ქალები ეჯახებიან შეზღუდვებს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობასთან დაკავშირებით, თავიანთ შინამეურნეობებსა და საზოგადოებრივ პროცესებში. მიზეზები მრავალმხრივია: როგორც ეს ცალსახადაა აღნიშნული გენდერის შეფასებაში, მამაკაცებს აქვთ უფრო მეტი ძალაუფლება პირად

სივრცეში, ვინაიდან მათ აქვთ უფრო მაღალი შემოსავალი და გააჩნიათ და აკონტროლებენ მეტ საკუთრებას, ვიდრე ქალები. სიღარიბე მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის წარმოადგენს პრობლემას, მაგრამ ქალებისთვის - უფრო დიდი მასშტაბით, ვიდრე მამაკაცებისთვის. შინამეურნეობები, რომელსაც ქალები უძღვებიან, ერთსულიანი ოჯახები, სადაც უფრო მეტად ქალები ან მოხუცები ცხოვრობენ, და რომელთა შორის ქალები უფრო მეტნი არიან ვიდრე მამაკაცები, ყველაზე უფრო მოწყვლად მოსახლეობას წარმოადგენენ. უფრო მეტიც, ქალები უფრო მეტად განიცდიან დროის სიმცირესაც, ვინაიდან, როგორც წესი, სამსახურეობრივ პასუხისმგებლობასთან ერთად სხვებზე ზრუნვისა და მოვლის პასუხისმგებლობებიც აკისრიათ და თითქმის არ იტოვებენ დროს დასვენებისთვის და პირადი განვითარებისთვის. ეს დინამიკა კიდევ უფრო გაამწვავა კოვიდ-19-ის პანდემიამ, სადაც საჭიროა გენდერულად პასუხისმგებლიანი და სამართლიანი მწვანე აღდგენა პანდემიისგან.

იმისთვის, რომ მიიღწეს პროექტის ზოგადი მიზანი, მნიშვნელოვანია ქალების, როგორც მთავარი მოთამაშეების და ცვლილებათა აგენტების ჩართულობა. ქალების, როგორც მთავარი მოთამაშეების აღიარებით, გაიზრდება მათი როლი და ცნობადობა/ხილვადობა საზოგადოებაში, რაც თავის მხრივ, გამოიწვევს გარდასახვას, ცვლილებას მათთვის უფრო მეტი შესაძლებლობების მიცემით. და მაინც, დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ქალების უფრო აქტიურად ჩართულობითაც კი, ქმედებები უნდა დაიგეგმოს იმგვარად, რომ გადაჭრას ის ბარიერები, რომელსაც ქალები აწყდებიან. იმისთვის, რომ ქალები, როგორც მთავარი მოთამაშეები და გადაწყვეტილებების მიმღები პირები ინტეგრირდნენ, პროექტი უნდა იყოს ფოკუსირებული შემდეგ ზომებზე:

- დროის სიმცირის ასპექტის მოსაგვარებლად, პროექტის აქტივობები (როგორცაა ტრენინგები და კონსულტაციები) უნდა ჩატარდეს საღამოს საათებში და შაბათ-კვირას, გრძლევადიანად (ორ-სამ დღეზე მეტხანს) მათი ქალაქიდან მოშორებით, რათა არ მოხდეს ამ აქტივობების დაპირისპირება მათ საშინაო საქმიანობასთან/მოვალეობებთან. თუ შესაძლებელია, დაგეგმილი ღონისძიებებისა და აქტივობების განმავლობაში, უზრუნველყოფილი იყოს ბავშვის მოვლის მომსახურება. ამასთანავე, დაცული სივრცისთვის, ქალებისთვის სპეციალური კონსულტაციები უნდა ჩატარდეს ქალთა ოთახებში (კახეთის რეგიონში).
- გურიაში, კახეთსა და მცხეთა-მთიანეთში ტყის მდგრადი მართვის გეგმების შემუშავებასა და განხორციელების პროცესში, დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში ტყის მართვის გეგმებთან დაკავშირებით, საჭიროა ქალთა ჩართულობა. იმაზე დაყრდნობით, რომ ქალთა წილი უნდა იყოს მინიმუმ 30%, სამიზნე მუნიციპალიტეტებში, ადგილობრივ თემებთან ნებისმიერი კონსულტაციის დროს, ჩართული უნდა იყოს ქალთა ეს რაოდენობა, ან იდეალურ შემთხვევაში, დაცული იყოს გენდერული ბალანსი. ვინაიდან ამ მოცემულობით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს არჩეული ქალი წევრების რიცხვი დაბალია, მიზანი უნდა იყოს ის, რომ მუნიციპალიტეტის ყველა ქალი წევრი ყოველთვის განსაკუთრებულად მოიწვიონ. იმისთვის, რომ მაქსიმალურად მოხდეს არსებული ინსტიტუციური მექანიზმების გამოყენება, მუნიციპალური საკომუნიკაციო პირები უნდა იყვნენ ინფორმირებულნი და ჩაერთონ პროცესებში, როცა ეს შესაძლებელია. უნდა წახალისდეს ქალთა დასაქმება საწვავი მერქნისა და სამასალე მერქნის მარკეტინგში. ქალებს, ზოგადად გააჩნიათ უფრო

მაღალი მიღწევები განათლებაში და მეორეც, უფრო კარგად ესმით და უფრო მეტი წვდომა აქვთ მომხმარებელთა მთავარ სამიზნე ჯგუფთან, ვინაიდან ქალები აკონტროლებენ საწვავისა და ღუმელების გამოყენებას. იმისთვის, რომ უფრო მეტი ქალი ჩაერთოს ტყის პატრულირებასა და ინსპექტირებაში, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში უნდა უზრუნველყონ ქალებისთვის შესაფერისი ინფრასტრუქტურა (სველი წერტილები, გამოსაცვლელი ოთახები, უსაფრთხოების პირობები) და მთლიანმა პერსონალმა უნდა გაიაროს შინაგანაწესი, მათ შორის სექსუალური შევიწროების ასპექტები.

- ენერგოეფექტურობის/ალტერნატიული საწვავის მომარაგების მდგრადი ჯაჭვის განვითარებისთვის, კრიტიკულად მნიშვნელოვანია ქალი მეწარმეების ხელშეწყობა. მუნიციპალიტეტებში არსებული „ქალთა ოთახები“ შესაძლოა გამოყენებული იყოს და/ან გააქტიურდეს დამატებით, მხოლოდ ქალებისთვის განკუთვნილი ტრენინგებისა და ქოუჩინგის სესიებისთვის, რათა შეიქმნას უსაფრთხო გარემო. ქალთა ჩართულობის გაზრდის მიზნით, ტრენინგები (ToT), შესაძლოა ჩატარდეს ორი გზით, პირველი ToT შესაძლოა გაიმართოს სპეციალურად ქალებისთვის „ქალები ატრენინგებენ ქალებს“ მიზნით და მეორე, ტრენინგები ფონდში გენდერული ბალანსის შესაქმნელად. ეს საშუალებას მისცემს ქალებს რომ ქონდეთ დამატებით შემოსავალი და დაიკავონ ინსტრუქტორის პოზიცია გენდერულად შერეულ ჯგუფების წინაშე (რაც დაეხმარება მათ გადალახონ/გაუმკაღვდნენ სტერეოტიპებს). პოტენციური ტრენინგების და ტრენინგების ქალი მონაწილეების მოძებნის პროცესში შესაძლოა ჩაერთოს ქალთა კოოპერატივებიც, როგორც გამავრცელებელი.
- ქალთა კოოპერატივებს ასევე აქვს გადამწყვეტი როლი ალტერნატიული საწვავის წარმოებისთვის საჭირო ნედლეულის მიწოდების ქსელში. მათ შეუძლიათ დახმარება არსებული და ახალი EE-AF პროდუქტის მწარმოებელთა დადგენასა და გაძლიერებაში, რათა შესაბამისად წარმოაჩინონ ქალები, როგორც აქტივების მფლობელები და გაითვალისწინონ მათი გამოცდილება და ხედვები. როგორც ამ შეფასებაში უკვე აღინიშნა, ქალებს აქვთ უფრო ძლიერი ხმა არასამთავრობო სექტორში. ამგვარად, მხარდაჭერი და საინფორმაციო კამპანიები უნდა მოეწყოს და წარიმართოს ქალთა ორგანიზაციების მიერ, რათა უფრო მეტად წარმოჩინდნენ ქალები და თემშიც გაიგონ ქალის მთავარი როლის შესახებ, EE-AF გადაწყვეტების წარმატებით განხორციელებაში.
- ქალების მონაწილეობის კვოტების შემოღება გარკვეულ საპროექტო აქტივობებში (მაგ. ტყის მონაწილეობითი მართვა, ტრენინგები ან ღირებულებითი ჯაჭვების განვითარება). ამას თან უნდა ახლდეს ასეთ სტრუქტურებში მონაწილე მამაკაცებისა და ქალების, ასევე ასეთ სტრუქტურებთან კოორდინაციასა და ურთიერთქმედებაში ჩართული ორგანოების (მაგ. მუნიციპალური ხელისუფლება) გენდერული სენსიბილიზაცია.
- განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ქალთა გაძლიერებას და დახმარებას პანდემიის დროს განცდილი არაპროპორციული ზემოქმედების დაძლევაში. ეს მოიცავს ქალთა მეწარმეობისა და ქალების მიერ მართული მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერას და ქალების მხარდაჭერას უნარებისა და შესაძლებლობების განვითარებაში, მათი სოციალურ-ეკონომიკური პოზიციის გასაძლიერებლად. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქალი მეწარმეებისა და ბიზნესებისთვის

არსებულ ბარიერებს, მათ შორის ხშირად მიწაზე ფორმალური უფლებების არქონას და ამით გამოწვეულ დაბრკოლებებს ფინანსებზე წვდომაში (მაგ. ხშირად, უზრუნველყოფის ნაკლებობის გამო). ქალების ხელშეწყობა უნდა მოხდეს ადგილობრივი ღირებულებითი ჯაჭვის განვითარების კონტექსტში მე-3 კომპონენტის ფარგლებში. ინტერვიუებმა აჩვენა, რომ ქალები დომინირებენ რამდენიმე სფეროში და შეუძლიათ ძირითადი აქტორების ფუნქციის შესრულება, გარკვეული პროდუქტებისა და მომსახურებებისთვის. ეს შეიძლება იყოს, მაგალითად, კენკრისა და ხილის შეგროვება და გადამამუშავება ტყის არამერქნული პროდუქტების სექტორში ან სტუმართმასპინძლობა ეკოტურიზმის სექტორში.

გარდა ამისა, სატყეო სექტორში ქალები ნაკლებად იღებენ მონაწილეობას პროფესიული განათლების პროგრამებში. საჭიროა სასწავლო გეგმებში გენდერული მენისტრიმინგის გაუმჯობესება, ცნობიერების ამაღლების მხარდაჭერა, მასწავლებლების მომზადება გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის საკითხებში, ტყესთან დაკავშირებულ ღირებულებით ჯაჭვებთან დაკავშირებული კურსების შემუშავება, სადაც არსებითი გენდერული ბენეფიტები იქნება (მათ შორის მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამები და ტრენინგი), კავშირების გაძლიერება კურსდამთავრებულ ქალებსა და კერძო სექტორს შორის კურსდამთავრებულების დასაქმების შესაძლებლობების თვალსაზრისით, და ამ პროგრამების/კურსების ხელმისაწვდომობის გაზრდა ქალებისთვის (მაგ., პროფესიული განათლების სასწავლებლების მუნიციპალურ ფილიალებში). მხოლოდ ქალებზე ფოკუსირების გარდა, რეკომენდირებულია, რომ გენდერული სენსიბილიზაცია ჯვარედინი/გადამკვეთი ელემენტი იყოს ტრენინგებსა და პროექტის აქტივობებში, რათა გააუმჯობესოს როგორც ქალების, ასევე მამაკაცების ცნობიერება გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის შესახებ, და გაზარდოს ცნობიერება მოძველებულ სტერეოტიპებთან დაკავშირებით.

კონკრეტული ზომები პროექტის რესურსებსა და ბენეფიტებზე წვდომისთვის:

ვინაიდან ქალები და განსაკუთრებით ქალის მიერ მართული შინამეურნეობები სტრუქტურულად არაპრივილეგირებულები არიან საქართველოში, უმნიშვნელოვანესია რომ მათთვის პროექტის რესურსებსა და ბენეფიტებზე წვდომა უზრუნველყოფილი და ხელშეწყობილი იყოს. ეს მოიცავს წვდომას საწვავსა და ღუმელებზე, ტყის პროდუქტებზე და ინფორმაციაზე.

პროექტმა უნდა უზრუნველყოს რომ გენდერული ხარვეზები რესურსებსა და პროექტის ბენეფიტებზე წვდომის ასპექტში გადაჭრილია შემდეგი ზომების მეშვეობით:

საწვავზე წვდომა და შესაბამისი მხარდამჭერი პროგრამები:

მაღალი ხარისხის საწვავზე წვდომა უმნიშვნელოვანესია ქალებისთვის, ვინაიდან ისინი არიან საწვავის მთავარი მომხმარებლები. საწვავი შეშის მიწოდების ახალი მექანიზმი (საწვავი შეშის მოპოვება, გაშრობა და შენახვა პლიუს შინამეურნეობებისთვის მისი მიწოდება ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ) არის გარანტია იმისა, რომ ოჯახებამდე მიაღწევს

მხოლოდ მშრალი, მაღალი ხარისხის საწვავი მერქანი. ამავდროულად, ის გამოყენებული იქნება უფრო ეფექტურ სათბობ და სამზარეულო მოწყობილობებში, რაც უზრუნველყოფს უკეთეს გათბობას და საჭმლის მომზადების უკეთეს მოდელს. ქალები, როგორც საწვავი მერქნის მომხმარებლები, ისარგებლებენ ისეთი ბენეფიტებით, როგორცაა სახლის გათბობა და საჭმლის მომზადება სახლში დაგროვილ ორთქლთან ნაკლები შემხებლობით (ჯანმრთელობაზე შემცირებული ზეგავლენით), სახლის უფრო სწრაფად და უკეთ გათბობით (გაიზრდება კომფორტი) და მოწყობილობის საწვავით შევსების ნაკლები საჭიროებით (დაიზოგება დრო). ამასთანავე, მამაკაცებს აღარ დასჭირდებათ შეაგროვონ და მოჭრან საწვავი მერქანი თავისით, რაც ასევე გამოათავისუფლებს მათ დროს ეკონომიკური აქტივობებისთვის.

იმისთვის რომ ქალებმა მიიღონ სარგებელი მაღალი ხარისხის საწვავი მერქნით და ასეთმა საწვავმა მერქანმა მიაღწიოს ქალების მიერ მართულ შინამეურნეობებამდეც, ეროვნულმა სატყეო სააგენტომ უნდა გააადვილოს წვდომა საწვავი შეშის მიწოდების სისტემაზე ქალებისთვის, განსაკუთრებით კი ქალების მიერ მართული ოჯახებისთვის. ეროვნულმა სატყეო სააგენტომ უნდა დააარსოს შესაბამისი მონიტორინგის სისტემა, რათა კონტროლი გაუწიოს ხელმისაწვდომობას.

ქალები ასევე მთავარი მომხმარებლები არიან ახალი ღუმელებისა და ალტერნატიული საწვავისა და შესაბამის მხარდაჭერ პროგრამებზე წვდომა უმნიშვნელოვანესია. პროექტმა უნდა უზრუნველყოს რომ ინფორმაცია EE დაAF-ზე ხელმისაწვდომია ქალების მიერ მართულ შინამეურნეობებისთვის და ფინანსური წამახალისებლები ასევე მიმზიდველია და ხელმისაწვდომი ქალების შინამეურნეობებისთვის, ისევე როგორც იმ ქალებისთვის, რომლებიც დაქორწინებულნი არიან.

პროექტში ასევე სპეციფიკურ სამიზნე ჯგუფს უნდა წარმოადგენდეს ქალების მიერ მართული შინამეურნეობები, რომლებსაც მიუდგებიან პროექტში გათვალისწინებული ცნობიერების ამაღლების აქტივობებში გაწერილი მიზნობრივი ღონისძიებების გზით (იხილეთ ქვემოთ - ხელმისაწვდომობა ინფორმაციაზე). ეს შედეგად გამოიღებს ქალების მიერ მართული შინამეურნეობების მაღალ რიცხვის, რომლებიც არიან განსაკუთრებულად ინფორმირებულები EE-AF საშუალებების სარგებელის შესახებ. მეორეც, იმისთვის რომ გაძლიერდეს ხელმისაწვდომობა მიკრო-საფინანსო კომპონენტებთან, უნდა მოეწყოს ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებული სემინარები, მუნიციპალიტეტების გენდერის საბჭოს და გენდერის საკითხებში საკომუნიკაციო პირების ჩართულობით. მესამე, უნდა გაკეთდეს გენდერული ზეგავლენის შეფასება, რათა შეფასდეს სასესხო პროგრამების ხელმისაწვდომობა ქალებისა და ქალების მიერ მართული შინამეურნეობებისთვის და შესაბამისი ცვლილებები განხორციელდეს პროგრამაში. მეოთხე, რეკომენდირებულია, რომ პროექტმა აიღოს ვალდებულება, რომ სავაუჩერო პროგრამის ბენეფიციარების გარკვეული პროცენტი იქნება ქალის მიერ მართული შინამეურნეობები.

წვდომა ტყის პროდუქტებზე:

შეფასებამ აჩვენა, რომ ქალები ტყის არამერქნულ პროდუქტებს ძირითად არაკომერციული გამოყენების მიზნით აგროვებენ. პრინციპში, არამერქნული პროდუქტები ასევე ქმნის

შემოსავლის პოტენციურ წყაროს ქალებისთვის ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების გზით. ახალი ტყის კოდექსის მიხედვით, ტყის არამერქნული პროდუქტების შეგროვებაზე არ იქნება შეზღუდვა შინამოხმარებისთვის. ტყეზე წვდომა და ამ პროდუქტების შეგროვება კვლავ ნებადართული იქნება. კომერციული მიზნებისთვის ამ პროდუქტების შეგროვებისთვის კი საჭირო იქნება მოლაპარაკებები, რათა ამ პროდუქტების კომერციული გამოყენება სოფლის თემების მიერ გათვალისწინებული იყოს ტყის მდგრადი მართვის გეგმებში. (იხილეთ ზემოთ შემოთავაზებული ზომები ტყის მდგრადი მართვის გეგმების შემუშავებაში ქალების ჩართულობის შესახებ).

პროექტმა უნდა უზრუნველყოს, რომ ტყის არამერქნული პროდუქტების შეგროვება პირადი მოხმარების მიზნით, ქალების მიერ, გათვალისწინებულია გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ტყის ზედამხედველობის შესახებ ფუნქციაში (იხილეთ ზემოთ შემოთავაზებული ზომები). ამასთანავე, ამან შესაძლებელი უნდა გახადოს სოფლის თემებისა და განსაკუთრებით, ქალების მიერ შემოსავლის დამატებითი წყაროს შექმნა, ტყის არამერქნული პროდუქტების კომერციულად მოხმარების გზით. კომპონენტი 3 ფოკუსირებულია დამატებითი საარსებო საშუალებების ღირებულებათა ჯაჭვის შექმნაზე, ტყის არამერქნული პროდუქტებისთვის და აგრო-მეცყევეობისთვის. ღირებულებათა ჯაჭვებს ექნებათ სპეციფიკური ფოკუსი ქალებზე და მოწყვლად ჯგუფებზე. გარდა ამისა, კომპონენტი მიზნად ისახავს მუნიციპალური სატყეო სექტორისთვის დავების გადაწყვეტის მექანიზმის დანერგვას, რათა შესაძლებელი გახდეს ტყის რესურსებზე ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებულ პოტენციური კონფლიქტების კონსულტაციების განხორციელება და საბოლოოდ, მათი გადაჭრა.

ეკოტურიზმის სექტორში შესაძლებლობების ხელმისაწვდომობა

NFA-ს ტყეების კონტექსტში, ეკოტურიზმი წარმოადგენს ახალ შესაძლებლობას, მნიშვნელოვანი პოტენციალით, სოფლად მცხოვრები ქალების გაძლიერებისა და მათი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის. ეკოტურიზმის ღირებულებითი ჯაჭვების განვითარება უნდა მოხდეს ქალების აქტიურად ჩართვით და მოიცავდეს ხელშემწყობ ზომებს, რათა წაახალისოს მათი მონაწილეობა სექტორში და არა მხოლოდ ტრადიციული სტუმართმასპონდლობის როლებში. პროექტმა უნდა განახორციელოს ტრენინგი ბიზნეს უნარებზე (მათ შორის მიზნობრივი სემინარები ქალებისთვის), ეკოტურიზმის გიდობაზე, თარჯიმნობაზე და სხვა დაკავშირებული სფეროებზე. ეს ასევე უნდა მოიცავდეს გენდერულ სენსიბილიზაციას, რათა ხელი შეუწყოს სექტორში ქალთა როლებისა და შესაძლებლობების ტრადიციული ნორმებისა და იდეების დამღეევას. სადაც ეს შესაძლებელია, პროექტმა ასევე უნდა გააძლიეროს ფინანსებზე ხელმისაწვდომობა ქალი მეწარმეებისთვის და ქალების ხელმძღვანელობაში არსებული ბიზნესებისთვის, რაც რჩება ბარიერად.

ტყითსარგებლობის, ტყესთან დაკავშირებული ღირებულებითი ჯაჭვების და ალტერნატიული საწვავისა და ენერჯო ეფექტური ღუმელების შესახებ ინფორმაციაზე წვდომა:

ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა ქალებისთვის განხილვებში მათი მონაწილეობის წინაპირობას წარმოადგენს და გააადვილებს მათთვის გადაწყვეტილებების მიღებას. ქალებს სჭირდებათ ინფორმაცია ტყითსარგებლობაში ცვლილებების შესახებ, მასთან დაკავშირებული შესაძლებლობების შესახებ და ენერჯო ეფექტური და ალტერნატიული

საწვავის გამოყენებით მიღებული სარგებელის და შესაძლებლობების შესახებ. დროული და გამჭირვალე ინფორმაცია, რომელიც მიმართულია ქალებსა და ქალების მიერ მართულ შინამეურნეობებზე, საშუალებას მისცემს მათ, მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილება შინამეურნეობების ინვესტიციებზე და პოტენციურ შემოსავალის წარმოების შესაძლებლობებზე. პროექტში გათვალისწინებულ პროექტის შესახებ ცნობიერების ასამაღლებელ აქტივობებში (აქტივობა 2.3) უნდა მოხდეს ამ ასპექტების გათვალისწინება, იმ ინსტრუმენტებისა და მექანიზმების გამოყენებით, რომელიც უშუალოდ მიზანმიმართულია ქალებსა და ქალების მიერ მართულ შინამეურნეობებზე.

ინფორმაციაზე წვდომის გასაადვილებლად სპეციფიკური ჯგუფებისთვის ცნობიერების ასამაღლებელი აქტივობები უნდა მოიცავდეს შემდეგ ელემენტებს:

- ჩაერთოს გენდერის საკითხებში მუნიციპალიტეტის საკომუნიკაციო პირები და გენდერული საბჭოს ინსტიტუციონალური მექანიზმი, პროპაგანდის მიზნით.
- დაარსდეს სამუშაო ურთიერთობები ადგილობრივ საინფორმაციო პუნქტებსა და გენდერულ საკითხებში მუნიციპალური საკომუნიკაციო პირებს შორის, რათა მიწვდნენ ქალებს და მუდმივად გაეცნონ ქალების მრავალმხრივ ხედვებს.
- EE-AF საშუალებების შესახებ მრჩეველთა სამსახურები განსაკუთრებით ფოკუსირდნენ ქალების მიერ მართულ და მოწყვლად შინამეურნეობებზე, რათა გაიზარდოს ინფორმაციული სუვერენიტეტი უკვე აღნიშნულ შინამეურნეობებს შორის.
- უზრუნველყოფილი იქნას ცნობიერების ასამაღლებელ ყველა მასალაში და ტრენინგში გენდერის საკითხების ჩართვა.
- ქალების ხელშეწყობა, რომ განავითარონ თავიანთი პროფესიული უნარები და მიიღონ ცოდნა ტყის მართვასთან და ტყესთან დაკავშირებულ ღირებულების ჯაჭვებთან დაკავშირებით, პროფესიული განათლებისა და ტრენინგის და ცოდნის ცენტრებთან საერთაშორისო საუნივერსიტეტო პარტნიორობის გზით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ადგილობრივ ქალ ტყითმოსარგებლებს, რომლებზეც ტყის რეფორმა განსზაგუთრებულად აისახება, და ფოკუსირებულ კომუნიკაციას, რათა უზრუნველყოფილი იქნას ქალების ეფექტური მონაწილეობა შეთავაზებულ კურსებში და ტყის მდგრადი მართვით და ტყესთან დაკავშირებული ღირებულებითი ჯაჭვებით სარგებლობა.

ბოლოს, შინამეურნეობათა მრჩეველთა სამსახური EE-AF საშუალებების შესახებ უნდა განსაკუთრებულად ფოკუსირდნენ ქალების მიერ მართულ და მოწყვლად შინამეურნეობებზე, რათა გაიზარდოს ინფორმაციული სუვერენიტეტი უკვე აღნიშნულ შინამეურნეობებს შორის.

სპეციფიკური ინტერვენციები გენდერის ფართომასშტაბიანი ჩართვის მიზნით:

გენდერის საკითხების ფართო მასშტაბიანად ჩართულობა, ე.წ. მეინსტრიმინგი უნდა იყოს გარანტირებული ან გარე ექსპერტების ან პროექტს შიდა შესაძლებლობების საშუალებით. ეს უმნიშვნელოვანესია, რათა მოხდეს იმის უზრუნველყოფა, რომ ნებისმიერი კამპანია, ცოდნის მართვა და ტყის სექტორის რეფორმასთან და საწვავის მოხმარებასთან

დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვება პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით მოიცავდეს გენდერის განზომილებას. გენდერის წარმატებული მეინსტრიმინგი და გენდერულად პასუხისმგებლობიანი პოლიტიკის კეთება დამოკიდებულია გენდერულად დანაწევრებული მონაცემების არსებობაზე და საჭიროებებზე, რომლებსაც ხელი უნდა შეეწყოს პროექტის განმავლობაში.

13. გამოყენებული წყაროები:

1. ADB, Asian Development Bank (2020). Georgia 's economy to recover from covid-19 impact in 2021 with 4.5% growth – ADB. Available online: <https://www.adb.org/news/georgias-economy-recover-covid-19-impact-2021-45-growth-ADB>
2. Badurashvili, I., E.Kapanadze, and Sh.Tsiklauri. (2010). “Generations and Gender Survey in Georgia.” II wave Report. Tbilisi: Georgian Centre of Population Research / UNFPA.
3. Center of environmental information (2014). Estimation of environmental protection education in Georgia. Tbilisi. In Georgian.
4. Civil Code of Georgia (2006). <https://matsne.gov.ge/document/download/31702/75/en/pdf>.
5. Constitution of Georgia. <https://matsne.gov.ge/en/document/View/30346>.
6. CRRC (2014). NDI: Women's Political Participation in Georgia, 2014. Retrieved on October 2015 from www.caucasusbarometer.org/en/no2014ge .
7. CRRC (2017). Caucasus barometer. <https://caucasusbarometer.org/en/cb2017ge/HLTHRAT-by-RESPSEX>. Last accessed in May, 10, 2019.
8. Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ), „Gender Strategy – Gender Pays Off“, March 2012.
9. EBRD (2016). Population's Life Experiences in Georgia Survey.
10. FAO, Food and Agriculture Organization of the United Nations (2018). Gender, agriculture and rural development in Georgia. Available online: <http://www.fao.org/3/ca0577en/CA0577EN.pdf>
11. Forest Education Strategy (2015). Recommendations for developing forest education strategy in Georgia.
12. GEOSTAT (2018). Women and Men in Georgia.
13. GNTA, Georgia National Tourism Association (No Date). Research. Available online: <https://gnta.ge/statistics/>
14. Green Climate Fund, “Gender Policy and Action Plan”, June 2018, GCF/B.20/07.
15. Green Climate Fund, “Guiding Framework and Procedures for Accrediting National, Regional and International Implementing Entities and Intermediaries, Including the Fund's Fiduciary Principles and Standards and Environmental and Social Safeguards”, 7 May 2014, GCF/B.07/02.
16. Green Climate Fund, “Updated Gender Policy and Action Plan 2018 - 2020”, March 2015, GCF/B.09/10.

17. Green Climate Fund, Gender Policy and Action Plan, March 2015, GCF/B.09/10, Annex II, section IV, paragraph 4.4.
18. Hakkert, R.; Sumbadze, N. (2017). Gender monograph: Gender Analysis of 2014 Georgian General Population Census Data. UNFP: Tbilisi.
19. IDFI (2013). Statistics of Public Servants in the Public Authorities of Georgia in Terms of Gender. <https://idfi.ge/en/statistics-of-public-servants-in-the-public-authorities-of-georgia>.
20. IDFI (2017). National Assessment of Georgian Municipalities. https://idfi.ge/en/national_assessment_of_georgian_municipalities. Last accessed in April, 20, 2019.
21. KfW (2020). Georgia: The collapse of international tourism hits the Caucasus republic hard. <https://www.kfw-entwicklungsbank.de/International-financing/KfW-Development-Bank/About-us/The-Corona-situation-in-our-external-offices/Georgia/>
22. Krieg, D. (2018). Gender Analysis for the Project “Management of natural resources and safeguarding of ecosystem services for sustainable rural development in the South Caucasus (ECOserve)”. Report for GIZ.
23. Labor Code of Georgia (2013). <https://matsne.gov.ge/en/document/download/1155567/5/en/pdf>. Last accessed May 5, 2019.

Last accessed May 5, 2019.
24. Law of Georgia on Gender equality. <https://matsne.gov.ge/en/document/download/91624/3/en/pdf>. Last accessed May 10, 2019.

Local Self-Government Code (2014). <https://matsne.gov.ge/en/document/download/2244429/15/en/pdf>. Last accessed May 5, 2019.
25. Lutsevych, O. (2013). Chatham House briefing paper. How to Finish Revolution. Civil Society and democracy in Georgia, Moldova and Ukraine. January. REP BP 2013/01.
26. NACRES (2019). Eco-tourism Development for Borjomi Municipality State Forest Fund. Draft Report.
27. NDI (2018). NDI Poll.
28. Oxfam International (2021). Covid-19 cost women globally over \$800 million in lost income in one year. <https://www.oxfam.org/en/press-releases/covid-19-cost-women-globally-over-800-billion-lost-income-one-year#:~:text=The%20COVID%2D19%20crisis%20cost,3.9%20percent%20loss%20for%20men>
29. Regional Development Strategies 2014-2021. www.mrdi.gov.ge/en/news/regional-development-strategies-2014-2021-regions-georgia.

30. Rural Development Strategy of Georgia 2017-2020. Enpard.ge/wp-content/.../Rural-Development-Strategy-of-Georgia-2017-2020.pdf. Last retrieved May, 10, 2019.
31. Schimall, S. (2015). Gender analysis for the GIZ program Integrated Biodiversity management in the South Caucasus (IBiS).
32. Strategy of Agricultural Development in Georgia 2015-2020. www.moa.gov.ge/Download/Files/227. last retrieved in May, 10, 2019.
33. Sumbadze, N. (2015). Access to University education: barriers and ways of overcoming them. Tbilisi. IPS.
34. Transparency International (2014). Study of Public perception on the work of local governments. (in Georgian). <http://caucasusbarometer.org/ge/ti2015ge/LOGGOVTU/>.
35. Transparency International (2016). Challenges of maternal and child health in Georgia. <https://www.transparency.ge/en/blog/challenges-maternal-child-health-georgia>. Last accessed May 10, 2019.
36. UN WOMEN (2013). Public Perceptions on Gender Equality in Politics and Business.
37. UN WOMEN (2015). Gender and employment in the South Caucasus and Western CIS.
38. UN WOMEN (2018a). Turning Promises into Actions: Gender Equality in the 2030 Agenda for Sustainable Development.
39. UN WOMEN (2018b). Women's economic inactivity and engagement in informal sector in Georgia.
40. UN WOMEN (2018c). გენდერის შეფასება of Agriculture and Local Development Systems in Georgia.
41. UN Women (2020). Rapid გენდერის შეფასება of the Covid-19 Situation in Georgia. Available online: <https://www2.unwomen.org/-/media/field%20office%20georgia/attachments/publications/2020/rga-unw.pdf?la=en&vs=143>
42. UNDP (2017). Scaling-up multi-hazard early warning system and the use of climate information in Georgia.
43. UNDP (2018a). Human Development Indices and Indicators: 2018 Statistical Update.
44. UNDP (2018b). Gender equality in Georgia.
45. UNFP. (2014) General Population Census. <https://georgia.unfpa.org/en/publications>.
46. UNICEF (2020). Estimating the Impact of Covid-19 on Child Poverty in Georgia Using a Micro-Simulation Model. Available online: https://www.unicef.org/georgia/media/4871/file/COVID-19_impact_on_child_poverty_in_Georgia.pdf

47. US Embassy of Georgia (2018). Promoting Gender Equality in Technical and Vocational Education and Training (TVET) Exchange Program. Available online: <https://ge.usembassy.gov/embassy/grant-programs/tvet/>
48. US Embassy of Georgia (2020). INL-Tbilisi delivered donated clothes, food, and toiletries to the Tbilisi domestic violence intake center. Available online: <https://ge.usembassy.gov/inl-tbilisi-delivered-donated-clothes-food-and-toiletries-to-the-tbilisi-domestic-violence-intake-center/>
49. Vaeza, M.N. (2020). Addressing the Impact of the COVID-19 Pandemic on Violence Against Women and Girls. Available online: <https://www.un.org/en/addressing-impact-covid-19-pandemic-violence-against-women-and-girls>
50. WHO (2013). Global and Regional Estimates of Violence Against Women: Prevalence and Health Effects of Intimate Partner Violence and Non-partner Sexual Violence. Geneva: WHO.
51. World Bank (2016). Georgia: Recent Trends and Drivers of Poverty Reduction.
52. World Bank (2017). Gender based violence.
53. World Bank (2018a). Occupation segregation and declining gender wage gap. Case Study of Georgia.
54. World Bank (2018b). Policy Research paper 8583.
55. World Bank (2020b). "COVID-19 and Human Capital" Europe and Central Asia Economic Update (Fall), Washington, DC: World Bank.
56. World Bank (2020b). In Georgia, Growth Projected to Slow Due to Impacts of Covid-19. Available online: <https://www.worldbank.org/en/news/press-release/2020/04/08/in-georgia-real-gdp-growth-projected-to-slow-due-to-impacts-of-covid19>
57. World Bank (2021). Country გენდერის შეფასება Georgia. Available online: <http://documents1.worldbank.org/curated/en/407151616738297662/pdf/Georgia-Country-Gender-Assessment.pdf>
58. World Economic Forum (2018). The Gender Gap Report 2018.
59. WVS (2014). World Value Survey. www.worldvaluesurvey.org.

დანართი 1: სამართლებრივი დებულებები და გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ინსტიტუციური მექანიზმები საქართველოში

1994. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის დამატებითი ოქმი (CEDAW) დათქმების გარეშე.

2004. პარლამენტში გენდერული თანასწორობის მრჩეველთა საბჭოს დაარსება, გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და მონიტორინგის მანდატით

2004. ათასწლეულის განვითარების მიზნების (MDGs) ნაციონალიზაცია MDG 3 - გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების გაძლიერების ხელშეწყობა, რომელიც მორგებულია ქართულ კონტექსტზე ორი ძირითადი მიზნის საშუალებით (i) დასაქმებაში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა და (ii) საქმიანობის თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა პოლიტიკურ სპექტრსა და მართვის ყველა დონეზე.

2006. პარლამენტის მიერ გენდერული თანასწორობის შესახებ სახელმწიფო კონცეფციის მიღება

2006. ტრეფიკინგთან ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონის მიღება.

2006. ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონის მიღება.

2010. გენდერული თანასწორობის შესახებ საქართველოს კანონის მიღება.

2013. პრემიერ-მინისტრის თანაშემწის დანიშვნა ადამიანის უფლებათა დაცვისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში.

2013. გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის, როგორც მუდმივი განყოფილების შექმნა სახალხო დამცველის ოფისში.

2014. ანტი-დისკრიმინაციული კანონის მიღება.

2014. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის ხელმოწერა (სტამბულის კონვენცია)

2016. SDG-ების ნაციონალიზაციის საწყისი გეგმის პრეზენტაცია. საქართველო მდგრადი განვითარების მიზნების 2030 დღის წესრიგის 193 ხელმომწერთა შორისაა; მდგრადი განვითარების 17 პრინციპი აშკარა ვალდებულებებს ქმნის გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით, ერთის მხრივ როგორც ცალკეული მიზანი და მეორეს მხრივ როგორც თანამკვეთი თემა ყველა SDG- სთან მიმართებაში. SDG 5 ეხება გენდერულ თანასწორობას და აქვს 14 ინდიკატორი.

2017. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის ხელმოწერა (სტამბულის კონვენცია).

2017. უწყებათაშორისი კომისიის შექმნა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებში.

2018 .შინაგან საქმეთა სამინისტროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის შექმნა.

2018. 2018-2020 წლების ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცება.

2018. ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებზე 2018-2020 წლების ეროვნული სამოქმედო სამოქმედო გეგმის დამტკიცება (UN SCR 1325).

2018. ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცება.

დანართი 2: კონსულტირებული ჯგუფებისა და ცალკეული პირების ჩამონათვალი

2019 წელს ჩატარებული პირველადი კონსულტაციების სია

#	მუნიციპალიტეტი	თემი	დაინტერესებული მხარე	მამაკაცი	ქალი	სულ
1	თბილისი	n/a	MoEPA (ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო სამმართველო, NFA)	1	3	4
2	თბილისი	n/a	MoEPA (გარემოსდაცვითი ზედამხედველობა)	0	1	1
3	თბილისი	n/a	WWF	1	0	1
4	თბილისი	თელავი	რეგიონალური მთავრობა	3	1	4
5	თბილისი	თელავი	სატყეო სამსახურის რეგიონალური დეპარტამენტი	2	0	2
6	თელავი	ვარდისუბანი	თემის წევრები	15	0	15
7	ახმეტა	ახმეტა	მუნიციპალიტეტის პერსონალი	1	2	3
8	ახმეტა	არგოხი	თემის წევრები	15	2	17
9	ყვარელი	ყვარელი	მუნიციპალიტეტის პერსონალი	0	2	2
10	ყვარელი	შილდა	თემის წევრები	16	0	16
11	თბილისი	n/a	WWF	1	0	1
12	თბილისი	n/a	ენერგო ეფექტურობა	1	1	2
13	თბილისი	n/a	მწვანე მოძრაობა და ქალები საერთო მომავლისთვის	0	2	2
14	ოზურგეთი, ლანჩხუთი, ჩოხატაური	ოზურგეთი	რეგიონალური მთავრობა, 3 მუნიციპალიტეტის პერსონალი	8	11	19
15	ლანჩხუთი	ზოდი	თემის წევრები	18	5	23
16	ოზურგეთი	მთისპირი	თემის წევრები	5	22	27
17	ჩოხატაური	ლესა	თემის წევრები	12	4	16
18	ოზურგეთი	ოზურგეთი	NFA	5	0	5
19	დედოფლისწყარო	დედოფლისწყარო და ხორნაბუჯი	თემის წევრები	5	5	10
20	დედოფლისწყარო	დედოფლისწყარო	მუნიციპალიტეტის პერსონალი	2	1	3
21	თბილისი	n/a	ქალთა საინფორმაციო ცენტრი	0	1	1
22	თბილისი	n/a	ფონდი ტასო	0	1	1
	სულ			111	64	175

